პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი 16 ივნისი
№ 24 (2700)
გამოდის 57-ე წელი
1989

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო • «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის

# წ ე რ ი ლ ი

## მსოფლიო ხალხებს

ჩვენ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, შევიკრიბეთ ჩვენს პირველ ყრილობაზე, რათა საჯაროობისა და გულახდილობის ვითარებაში სამართლებრივი საძირკველი ჩავუყაროთ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ დემოკრატიულ განახლებას. როგორც მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებს, ჩვენ სავსებით გვაქვს შეგნებული დაკისრებული ისტორიული პასუხისმგებლობა. შეგნებული გვაქვს, რომ პრობლემები, რომლებიც დღეს დადგა ჩვენი სამშობლოს წინაშე უდიდესია, და ვითვალისწინებთ, რომ მისი ცხოვრების ყველა სფეროს რადიკალურ გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს, ჩვენ ავირჩიეთ ეს გზა გააზრებულად, მტკიცედ და მას არ გადავუხვევთ.

ჩვენი ყურადღების ცენტრშია ადამიანი თავისი ჭირითა და ლხინით, საზრუნავითა და იმედებით. დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტურ საზოგადოებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ზნეობრივი ორიენტირი, გარდა ხალხის ინტერესებისა, თავისუფალი ადამიანის მისწრაფებებისა და უფლებებისა.

გარდაქმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა საშინაო საქმეა, იგი ქვეყნის საარსებო მოთხოვნილებებმა შვა. მაგრამ ჩვენ არ გამოვყოფთ თავს მსოფლიო გაერთიანებისაგან, იმ პროცესებისაგან, რომლებიც განსაზღვრავს თანამედროვე ცივილიზაციის სახეს, და აღვიქვამთ პიროვნების თავისუფლებას, დემოკრატიასა და სოციალურ სამართლიანობას ფუძემდებელ ღირებულებებად, რომლებზეც უნდა აშენდეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრება. ჩვენ გარდაქმნა მიგვაჩნია მთელი მსოფლიო წყობილების სულ უფრო მზარდი დემოკრატიზაციის ნაწილად, საბჭოთა კავშირის წვლილად იმ გლობალური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დადგა. ყველა ეს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, შეკრულია საზიმ მჭიდრო კვანძად. ეს კვანძი შეიძლება გავხსნათ და კიდევაც უნდა გავხსნათ, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მსოფლიო გაერთიანების ძალისხმევის გაერთიანება მის გადასარჩენად.

გარდაქმნა პრინციპულად ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას გარემო სამყაროსადმი. ჩვენ კარგახსნელი ვართ მსოფლიოსათვის, მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველასთან, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლე და ღირსება უზენაესი ღირებულებანია, და ურთიერთგაგების იმედი გვაქვს.

ამჟამინდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში არ შეიძლება ცხოვრება ძველი წესებითა და სტანდარტებით, არ შეიძლება ვიმედოვნებდეთ, რომ განვამტკიცებთ საკუთარ უშიშროებას და უზრუნველვყოფთ კეთილდღეობას სხვათა ინტერესების უგულებელყოფით. უგუნურებაა გადავაქციოთ საერთაშორისო ურთიერთობა იდეოლოგიური ომების ასპარეზად. დანაშაულია დავაუძლუროთ მსოფლიო ეკონომიკა გამალებული შეიარაღებით და უგულებელვყოთ ადამიანის საარსებო გარემოს შენარჩუნებისათვის ზრუნვა. რა ბარიერებიც უნდა გვთიშავდეს, ჩვენ ყველანი დედამიწელები ვართ, ჩვენ ერთი საერთო ბედი გვაქვს, ამიტომ მოგიწოდებთ, ბოლო მოვუღოთ ხალხთა მტრობასა და შუღლს. კაცობრიობის ისტორიაში ახალი მშვიდობიანი პერიოდი შესაძლებელია, და ეს შესაძლებლობა სინამდვილედ უნდა ვაქციოთ.

ყრილობა საქვეყნოდ აღუთქვამს პლანეტის ხალხებს, რომ კისრულობს პასუხისმგებლობას საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დედამიწის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ზუსტად დაცვისათვის.

ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ დაამტკიცა პრინციპები, რომლებითაც ჩვენმა სახელმწიფომ უნდა იხელმძღვანელოს საერთაშორისო საქმეებში. ეს პრინციპებია: — ჩვენი ქვეყნის უშიშროება უნდა უზრუნველვყოთ უწინარესად პოლიტიკური საშუალებებით, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის დემილიტარიზაციის, დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის პროცესში საყოველთაო და თანაბარი უშიშროების შემადგენელი ნაწილი, და დავეყრდნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტსა და შესაძლებლობებს;

— ბირთვული იარაღი ლიკვიდირებული უნდა იყოს. მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ორიენტირებული იქნება განიარაღებასა და სახელმწიფოს თავდაცვითი პოტენციალის გონივრული საკმარისობის დონემდე შემცირებაზე;

— დაუშვებელია ძალის გამოყენება და ძალის გამოყენებით დამუქრება რაიმე პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა მიზნების მისაღწევად; სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში აუცილებელია სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა;

— კონფრონტაცია კი არა, დიალოგი და მოლაპარაკება ინტერესების ბალანსის მიღწევის მიზნით უნდა გახდეს საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის, კონფლიქტების მოწესრიგების ერთადერთი საშუალება;

— საბჭოთა ეკონომიკა ორგანულად უნდა ჩაება მსოფლიო მეურნეობაში ურთიერთხელსაყრელ და თანასწორუფლებიან საფუძვლებზე, აქტიურად მონაწილეობდეს შრომის თანამედროვე საერთაშორისო დანაწილების, სამეცნიერო და ტექნიკური გაცვლის, ვაჭრობის წესების ჩამოყალიბებასა და დაცვაში.

ჩვენი ყრილობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, აცხადებს: საბჭოთა კავშირი აპირებს ზუსტად დაიცვას ეს პრინციპები თავის საგარეო პოლიტიკაში. ასეთია აწ და მარადის ჩვენი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. ასეთია საბჭოთა კავშირის და გარდაქმნის აშკარა და პატიოსანი გეზი საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთია საბჭოთა ხალხის არჩევანი.

ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ხალხებს, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ყოველნაირად განვავითაროთ იდეებისა და ადამიანების, კულტურული და სულიერი ღირებულებების გაცვლა, კონტაქტები და დიალოგი ყველა დონეზე და ყველა სფეროში, ერთად ვეძებოთ და გამოვნახოთ ურთიერთმისაღები კომპრომისები ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მთელი კაცობრიობის აყვავებისა და პროგრესისათვის.

## საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს

## საქართველოს მწერალთა კავშირის 15 ივნისის საერთო კრების

# მოთხოვნა

საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრება აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკაში შეიქმნა ურთულესი პოლიტიკური ვითარება, რომელიც დაღუპვით ემუქრება მთელ საქართველოს. ეს ვითარება განაპირობა რესპუბლიკის მოსახლეობისა და ხელისუფლების გათიშვამ, წლების მანძილზე გატარებულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ, საქართველოს გადაქცევამ ე. წ. ინტერნაციონალიზმის ექსპერიმენტულ პოლიგონად, ყველა ხიზანის მშვიდობიან და სამუდამო თავშესაფრად. საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ერთი სტრატეგიული გეგმის ნაწილებად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ტერიტორიაზე — საქართველოსა და უზბეკეთში დატრიალებული აპრილისა და ივნისის ტრაგედიები, ყოველივე ამის გამო აუცილებლად მიგვაჩნია სასწრაფოდ მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე საგანგებო სესია, რომელზეც განხილული უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

1. ცნობილ იქნას რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დარღვეულად რსფსრ-ს მხრიდან და, აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წლის 25 თებერვალს ანექსირებულად.

2. საქართველოს სსრ ფაქტიური სუვერენიტეტი განხორციელდეს მთელს მის ტერიტორიაზე.

3. შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსი.

4. სსრკ კანონები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იქნებიან დამტკიცებულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ.

5. აღდგეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში 1978 წელს ამოღებული მუხლი, რომელიც ანიჭებს რესპუბლიკას უფლებას იყოლიოს ეროვნული საჯარისო ფორმირებანი, ხოლო ამ მუხლის რეალიზაციამდე რესპუბლიკის წვევამდელებმა მოიხადონ სამხედრო სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე.

6. რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებისა და მცირემიწიანობის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის საგანგებო გადაწყვეტილებამდე შეწყდეს რესპუბლიკაში მასობრივი იმიგრაციული პროცესი და გამოსწორდეს ამ მხრივ ადრე დაშვებული შეცდომები.

თუ საქართველოს ამჟამინდელ უმაღლეს საბჭოს არ ძალუძს აღნიშნული საკითხების დადებითად გადაჭრა, მოვითხოვთ რეფერენდუმის გზით სსრკ კონსტიტუციის 72 მუხლით მონიჭებული უფლების განხორციელებას (რომელიც გულისხმობს სსრკ შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლას).

კრება მიმართავს წინადადებით რესპუბლიკის შემოქმედებით კავშირებსა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებს, შემოგვიერთდნენ ამ მოთხოვნებში.



# თენგიზ ბუაჩიძე

# ყრილობაზე წარმოუთქმელი სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარე!

პატივცემულო სახალხო დეპუტატებო!

როგორც იქნა, გაიმართა თავისუფლად არჩეული სახალხო დეპუტატების დიდი ხნის ნანატრი ყრილობა. მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიო საზოგადოებრიობა მისგან მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მოელის და წარმატებას უსურვებს საბჭოთა კავშირის ახლად არჩეულ უმაღლეს საბჭოს.

ჩვენ, საქართველოს დეპუტატები, ვუერთდებით ამ სურვილებს, თუმცა რთულ მდგომარეობაში ვიმყოფებით: ჯერ ერთი, ბოლომდე მოუფიქრებელი გამონათქვამებითა და მოქმედებით უნებურად ყრილობის ზოგიერთი მონაწილის ნეგატიური დამოკიდებულება გამოვიწვიეთ და მეორე — ჩვენზე ძლიერ მორალურ ზემოქმედებას ახდენენ თანამემამულენი, განსაკუთრებით, თბილისიდან, საიდანაც განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი და მოდის უამრავი დეპეშა, რომლებშიც გვკიცხავენ — პასიურად და უსუსურად იქცევითო.

ასეთ რთულ ვითარებაში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მეტი სიბრძნე და სიდინჯე, თუმცა მარტო ჩვენ კი არა, თქვენც, პატივცემულო დეპუტატებო, უნდა გაგვიგოთ და გულისხმიერად მოგვექცეთ, ხოლო ჩვენს თანამემამულეებს მეტი მოთმინება, სიბრძნე და სიმშვიდე მართებთ.

შევეცდები ავხსნა, რატომ წარმოიქმნა ასეთი რთული ვითარება. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმებით, რომ 9 აპრილს თბილისში დატრიალდა ტრაგედია, რის შედეგადაც დაიღუპნენ ადამიანები. ეს ფაქტია. ამას ვერავინ უარყოფს. გარდაცვლილები დავკრძალეთ, დაშავებულნი საავადმყოფოებში წვანან.

ვფიქრობ, არც ისაა სადავო, რომ მიტინგის დაშლის ოპერაციაში მონაწილეობდნენ არმიის ქვედანაყოფები, რომლებიც თვით რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მოიწვიეს. ამას ნათლად მოწმობს აქ წაკითხული საქართველოს კპ ცკ-ის დაშიფრული დეპეშები სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

იბადება ორი მთავარი კითხვა.

პირველი: შეესაბამება თუ არა დეპეშებში წარმოდგენილი სურათი რეალობას, და სწორია თუ არა მომხდარი ამბის შეფასება უკანასკნელ დეპეშაში.

მეორე: შეეფერება თუ არა სინამდვილეს გენერალ როდიონოვის მიერ ოპერაციის დროს ჯარის ნაწილების მოქმედების დახასიათება და სწორია თუ არა თბილისის ამბების მისეული შეფასება.

ჩვენ კი ვიცით სიმართლე საქართველოში, მაგრამ არ იცით სიმართლე თქვენ, რაც განსაკუთრებულ დაღს ასვამს ჩვენს დღევანდელ ურთიერთობას. თუმცა, ისიც გვესმის, რომ სახალხო დეპუტატთა ყრილობა არც მთლად მოსახერხებელი ადგილია საიმისოდ, რომ დაწვრილებით განვიხილოთ და გამოვიკვლიოთ ამ კითხვებთან დაკავშირებული ყველა გარემოება.

სწორედ ამიტომ შექმნა ყრილობამ განსაკუთრებული კომისია, რომელიც იმუშავებს ამ საკითხებზე. უნდა შეიქმნას პირობები, რომ ყრილობის კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს თბილისის კომისიის (ასე ვუწოდოთ მას) ზოგიერთმა წევრმა მთელი თავისი მასალებით, დაკითხვებით, სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის აქტებით.

ოღონდ, არ უნდა გავაჭიანუროთ ეს საქმე, კომისიამ უნდა იმუშაოს სწრაფად და ენერგიულად, ყველაფერი ხომ მასზეა დამოკიდებული.

სანამ ყრილობის კომისია იმუშავებს, ორივე მხარემ თავი უნდა შეიკავოს, თბილისში კი მშვიდობიანი ვითარება უნდა შევინარჩუნოთ.

მაგრამ დაღუპულთ ვეღარაფერს ვუშველით. ჩვენ მადლობას მოგახსენებთ თქვენ, სახალხო დეპუტატებო, იმისათვის, რომ ყრილობის დაწყების პირველსავე წუთებში ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეთ დაღუპულთა ხსოვნას და თანაგრძნობა გამოხატეთ დაზარალებულთა მიმართ.

მხოლოდ სიმართლეს, მხოლოდ სრულ სიმართლეს, როგორიც უნდა იყოს ის, შეუძლია ოდნავ მაინც დაამშვიდოს ქართველი ხალხი, რომელიც შეიძლება დაიპყრო და დასაჯო, შეიძლება დათრგუნო და გაანადგურო, მაგრამ შეუძლებელია წაართვა მისი მხნეობა, მოუსპო სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

ეს ვერავინ შეძლო და ვერც ვერავინ შეძლებს.

ჯერჯერობით კი მშვიდად უნდა ვიმუშაოთ და ველოდოთ. ამ თხოვნით მივმართავ ჩემს თანამემამულეებს თბილისში და მთელ საქართველოში.

ახლა შევეცდები ორიოდე სიტყვა ვთქვა იმ მიზეზებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, დროდადრო დაძაბულობას ქმნიდნენ და ქმნიან რესპუბლიკაში.

ჯერ ერთი, ის, რომ არ გამოვიდა მუდმივი და გულახდილი დიალოგი (დიალოგი და არა მონოლოგი) ხალხთან, ახალგაზრდობასთან, რომელიც იძულებულია მიტინგები გამართოს. მიტინგებზე კი ვნებები ბობოქრობს და ხშირად გაისმის უკიდურესი გამოთქმები თუ მოწოდებები.

მაგრამ არის კიდევ უფრო ღრმა მიზეზები, ხალხს რომ აღელვებს. რამდენიმე გულახდილი სიტყვა მათ შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენმა ხალხმა რთული გზა გამოიარა — ბევრი რამ მოიპოვა, ბევრიც დაკარგა.

მონაპოვარი ყველასათვის ცნობილია.

ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც დაიწყო სამრეწველო და კულტურული მშენებლობა, ხორციელდებოდა საყოველთაოდ ცნობილი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ახალორძინებლად, იყო ნეპი, იყო სრული კოლექტივიზაცია, ნახტომები ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ. შენდებოდა ქარხნები, ფაბრიკები, ჰიდროელექტროსადგურები, სკოლები, საავადმყოფოები, აშრობდნენ ჭაობს, სწავლობდა ახალგაზრდობა, როგორც ყველგან, სრულდებოდა ან ვერ სრულდებოდა ხუთწლიანი გეგმები, სხვებივით ვომობდით, სხვებთან ერთად გავიმარჯვეთ დიდ სამამულო ომში, გამოვიარეთ „დათბობისა“ თუ „უძრაობის“ პერიოდები. ვცხოვრობთ სხვებივით, უღიმღამოდ, თუმცა, უკეთესის იმედით.

დანაკარგი ყველასთვის ცნობილი არ არის. ამის შესახებ მომიწევს საუბარი, ამხანაგებო რადგან ბევრმა თქვენგანმა არ იცის ეს ფაქტები.

ჯერ ერთი, ჩვენ დავკარგეთ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, 1918 წლის 26 მაისს რომ მოვიპოვეთ და თითქმის სამი წელი რომ გაგრძელდა.

ამ სამ წელიწადში არჩეული იყო მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები. ისინი ხან ედავებოდნენ და ხან ურიგდებოდნენ ბოლშევიკებს. ბევრს, თუმცა აკრიტიკებდა, მაგრამ პატივს სცემდა ვ. ი. ლენინი. სამაგიეროდ, ისინი სასტიკად სძულდათ სტალინს, ორჯონიკიძესა და მათ დამქაშებს, როგორც კონკურენტები ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც მხარს უჭერდა ლენინი. ამის შემდეგ ევრომპა არა მხოლოდ ევროპის სახელმწიფომ ცნო საქართველო თვითმყოფად, დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

1921 წლის თებერვალში, დაარღვია რა ეს ხელშეკრულება, საქართველოში შემოვიდა წითელი არმია, რომლის სათავეში, ორჯონიკიძესთან და სხვა ბოლშევიკებთან ერთად, როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, იყო საბჭოთა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სერგეი კიროვი, ხოლო ერთ-ერთი ჯარისკაცი ნიკიტა ხრუშჩოვი გახლდათ.

ლენინი ამ უკანონო აქციას თითქმის ბოლო მომენტამდე ეწინააღმდეგებოდა, სანამ სტალინმა და სხვა ქართველმა ბოლშევიკებმა, რუსეთში ემიგრანტის უფლებით დარჩენისა რომ ეშინოდათ, არ დაარწმუნეს იგი, მთელი საქართველო პროლეტარიატისა და გლეხების აჯანყების ალშია გახვეული და საბჭოთა რუსეთისაკენ ისწრაფვისო. რა თქმა უნდა, არავითარი აჯანყება არ ყოფილა, მაგრამ სტალინი, როგორც ცნობილია, ამგვარი პროვოკაციების დიდოსტატი იყო. ცნობილია ისიც, რომ ე. წ. „საქართველოს საქმე“ სიცოცხლის ბოლო წუთამდე ლენინისთვის ერთ-ერთ მტკივნეულ თემად დარჩა.

ამგვარი „გასაბჭოების“ შემდეგ საქართველოში დაიწყო განუწყვეტელი რეპრესიები და, რა თქმა უნდა, უპირველესად ინტელიგენციის წინააღმდეგ. ეს რეპრესიები „დაგვირგვინდა“ 37 წლის დიდი განადგურებით, რომელსაც თქვენთვის ცნობილი ლ. ბერია ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ „დიადი გმირობის“ შემდეგ დაწინაურდა ეს საკუთარი ხალხის ჯალათი — სტალინმა, უკვე უფლებამოსილი უდავო რომ მოიცილა, 1938 წლის ბოლოს ბერია დასვა შინსახკომის უფროსად.

რეპრესიები ამის შემდეგაც გრძელდებოდა საქართველოში. მათ შორის — 1956 წლის 9 მარტის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა უკვე ხრუშჩოვის დროს.

მაგრამ ხალხი არ გატყდა, ვერ წაართვეს სწრაფვა თავისუფლებისა და სამართლიანობისაკენ. ის გარდაქმნას იმედითა და ენთუზიაზმით შეეგება.

საშინელ 9 აპრილსაც მოვესწარით. ამის მერე როგორ ვიცხოვრებთ — ეს ახლა უნდა გადაწყდეს.

ქართველი ხალხი ელოდება ჩვენს დაბრუნებას, თავისი წარგზავნილების დაბრუნებას.

თუკი ჩვენ, ქართველი დეპუტატები, ხელცარიელი დავბრუნდებით, ორიდან ერთიღა დაგვრჩენია: ან უნდა შევძვრეთ ჩვენს სახლებში და პილატესავით ხელი დავიბანოთ, ან დავდგეთ ჩვენ ამომრჩევლებს, ახალგაზრდებს შორის და გავაგრძელოთ ბრძოლა რესპუბლიკის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტისათვის. სხვა გზა ჩვენ არ გაგვაჩნია...

ღრმად პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

ჩემი გამოსვლის ამ ნაწილით უშუალოდ თქვენ მოგმართავთ.

ცოტა რამ ვიცი თქვენს შესახებ. თქვენი ჰუმანურობის იმედი მაქვს და ისე კი არ დაგელაპარაკებით, როგორც პარტიის რიგითი წევრი ამავე პარტიის გენერალურ მდივანს, არამედ, როგორც თქვენზე ხუთიოდე წლით უფროსი კაცი; ისე კი არა, როგორც მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი მრავალმილიონიანი ხალხის წარმომადგენელს, არამედ როგორც ტოლი ტოლს, რადგან არარსებობის წინაშე ყველა თანასწორნი ვართ და ამ არარსებობას ვერცერთი ჩვენგანი ვერ გაექცევა.

მე თქვენ გეუბნებით, მიხეილ სერგის ძევ: ქართველმა ხალხმა შეიძლება მიგატოვოთ, მიგატოვოთ არა ფიზიკურად, რადგან წასასვლელი არსად აქვს, არამედ, რაც კიდევ უფრო საშიშია, სულიერად: მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით — ხალხსა და ხელისუფლებას შორის 1921 წელს გაჩენილი ბზარი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა, 9 აპრილის შემდეგ კი უფსკრულად იქცა.

ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ბოროტების სიკეთით შესაცვლელად.

დამიჯერეთ, ამ პატივცემული ყრილობისა და თქვენს წინაშე ცარიელ და უბრალო სიტყვებს არ ვამბობ. ამას გეუბნებით საქმის ცოდნით და სრულიად გულახდილად, რადგან აღარაფრის მეშინია — ამაზე უარესი რაღა დამემართება, ქართველ ხალხს დასაკარგი აღარაფერი აქვს, რადგან ის კარგავს უმთავრესს — კარგავს რწმენას, რომელიც ამა წლის 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ, მოედანზე გათელეს.

გარდაქმნასა და პირადად თქვენ, გარდაქმნის შთამაგონებელს, ყველაზე მძიმე დარტყმა მოგაყენათ სწორედ ამ საშინელმა აქტმა, რომელიც, სამწუხაროდ, აღსრულდა და რომლის ახსნა ან გამართლება სამწუხაროდ, არავითარ ზოგად სიტყვებს არ შეუძლია.

ზოგს ეს ჯერ არ ესმის, მაგრამ თქვენ, დარწმუნებული ვარ, რომ გაიგებთ.

დამიჯერეთ, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ პატივს გცემთ იმისთვის, რაც უკვე გააკეთეთ, ძალზე ვაფასებ არა მარტო თქვენს უნარს — დაარწმუნოთ ადამიანები, არამედ იმის უნარსაც, მოუსმინოთ და გაუგოთ სხვებს.

მოვლენებს არ ვაზვიადებ, მხოლოდ სიმართლეს ვამბობ, სიმართლეს და მეტს არაფერს. მე მესმის, რომ მოიძებნება ხალხი, ვინც გირჩევთ — საკმარისია ამისა და ამის თქმა, რომ მდგომარეობა განიმუხტება, ყველაფერი მოგვარდება, დრო ჭრილობებს მოაშუშებსო.

არა, მიხეილ სერგის ძევ, არ მოტყუვდეთ, სხვებს არ მოატყუებინოთ თავი, არაფერი არ განიმუხტება და არ მოგვარდება. შეიძლება, გარეგნულად ვინმეს მოეჩვენოს, რომ ყველაფერმა ჩაიარა, მაგრამ მე თქვენ გეუბნებით — ყველაფერი წინაა.

ქართველი ხალხი ძალით ვერავინ დაიმორჩილა, ეს ახლაც შეუძლებელია.

ამას გეუბნებით, როგორც ადამიანს, ვინც იცნობს და აფასებს ქართველ ხალხს, ვინც არაერთხელ გამოხატა ამ ხალხის, მისი ისტორიის, კულტურის, ხასიათისადმი პატივისცემა.

ამას თქვენ იმიტომ გეუბნებით, რომ სხვას ვერავის ვეტყვი. თქვენს ისედაც მძიმე სახელმწიფოებრივ ტვირთს იმიტომ ვუმატებ კიდევ ერთ სიმძიმეს, რომ გიმტყუნეს ადამიანებმა, ვისაც ენდობოდით. ამიტომ, ამ ტვირთის ნაწილი, კანონზომიერად, თქვენი ხვედრია.

ახლა ერთადერთი წამალია ორმხრივი სიკეთე და გულითადობა.

სხვა გამოსავალი არა ჩანს.

ვამთავრებ.

ჩვენ სიმართლე უნდა ვუთხრათ არა მხოლოდ ჩვენს ამომრჩევლებს, არამედ მთელ ხალხსაც.

რამდენიმე დღის წინ თქვენთან შეხვედრაზე ვიყავით. ცხარე და გულახდილი საუბარი გვქონდა. მადლობას გიხდით გულახდილობისა და დაპირებისათვის, რომ დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან. სწორად უნდა გაიგოთ ჩვენი გაცხარება და დაჟინება. თქვენ თქვით, რომ მხარს უჭერთ სრულ სიმართლეს. ჩვენც ამ სრულ სიმართლეს ვეძებთ.

გავიგე, რომ საქართველოში ჩამოსვლას და ხალხთან ასევე გულახდილად საუბარს აპირებთ. არ ვიცი, როდის მოხდება ეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩამოსვლა აუცილებელია. შეიძლება ასე დაიწყოს რთული, მაგრამ არცთუ ისე უიმედო გზა ქართველი ხალხის გულისაკენ; ხალხისა, რომელიც არა მარტო გლოვობს უდანაშაულოდ დახოცილთა გამო, არამედ ეძიებს მომავლისკენ სავალ გზას.

მეტი არაფერი მეთქმის.

დავამთავრე. გმადლობთ.

---

სსრკ სახალხო დეპუტატების ყრილობაზე წარმოსათქმელად განზრახული სიტყვა, რომელიც ავტორისაგან დამოუკიდებელ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ წარმოითქვა.

# ადვილად ნუ დავთმობთ!

ინფორმაციამ, რომელიც 1988 წლის 20 ოქტომბრის ნორილსკის გაზეთ „Заполярная правда"-ში ამოვიკითხე, ისე გამაოცა, რომ, თავდაპირველად, კვაჭი კვაჭანტირაძისა და ოსტაპ ბენდერის მემკვიდრეთა დაუოკებელი ფანტაზიის ნაყოფი მეგონა — შეთხზული მიამიტთა გასაბრიყვებლად. „Заполярная правда" ნორილსკელებს საქართველოში დასახლებას სთავაზობს...

საიდან სადაო, — გაიოცებს მკითხველი, — სად პოლარული წრის მიღმა მდებარე ქალაქი და სად საქართველო? მაგრამ ამგვარი განცდა უცხოობისა და სიშორისა იოლად გადაულახავთ ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მესვეურებს, რომელთაც ადგილობრივ პენსიონერთა ჩვენთან ჩამოსახლება განუზრახავთ. მეტი სიზუსტისათვის მოვიტან ამონაწერს ზემოთ დასახელებული გაზეთიდან:

**«Вниманию пенсионеров Норильского комбината, состоящих на учете для получения жилой площади в других районах страны:**

**Норильский комбинат получил согласие на строительство государственной жилой площади в 1990 году в ряде городов Средней Азии и Закавказья, в том числе...»** და ჩამოთვლილია რესპუბლიკები, სადაც ნორილსკის კომბინატს პენსიონერებისათვის საბინაო მშენებლობის უფლება მიუღია, ესენია: ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი და ბოლოს — საქართველო. თუ 20 ოქტომბრის «Заполярная правда"-ს დავუჯერებთ, ბინათმშენებლობის უფლება ნორილსკელთათვის ორ ქალაქში მიუციათ — თბილისსა და ტყიბულში. ორიოდე კვირის მერე გაზეთმა გაასწორა შეცდომა და თბილისის ნაცვლად ქუთაისი დაასახელა (ეს რომ შევიტყვე, პლატონ სამანიშვილივით აღმომხდა: „ამაზეც გმადლობთ, უფალო!").

მართალია, Заполярная правда" წერს, ნებართვა მივიღეთო, მაგრამ მაინც გავბედავ და ქუთაის-ტყიბულისა და სრულიად საქართველოს მესვეურთა მისამართით ვიკითხავ: ვინ მისცათ ამგვარი უფლება ქვეყნის დასალიერში მცხოვრებთ და საერთოდ, ჩვენც გაგვაგებინონ, ვის ხელეწიფება ეს? ეგებ ვინმემ ისიც იფიქროს, ნორილსკში სხვადასხვა მიზეზით გადახვეწილ რამდენიმე ათეულ ქართველს უპირებენო სამშობლოში დაბრუნებას. ნურას უკაცრავად! თურმე ასე არ „წირავს" არც ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატი, არც ქალაქის აღმასკომი და არც ნორილსკის ვეტერანთა აღრიცხვის ბიურო. ქართველებს არავითარი უპირატესობა არ ჰქონიათ საკუთარ სამშობლოში გადმოსახლებისას. ეს ერთმა ქართველმა ქალბატონმა შემომჩივლა, რომელმაც თავისი ორი შვილით სამშობლოში დაბრუნება დააპირა. მისთვის უარი განუცხადებიათ იმ მოტივით, რომ ასეულობით შრომის ვეტერანია რიგში, რომლებიც შენზე უხნესნი არიან და ამდენად, მათ უფრო დროულად ესაჭიროებათ სამხრეთში დაბინავებაო. ასე რომ, საკუთარ სამშობლოში დასაბრუნებლად ქართველმა თანხმობა გადამთიელი მოხელისაგან უნდა მიიღოს, უცხო კაცს კი ჩვენს მიწაზე დასასახლებლად ჩვენგან არავითარი ნებართვა არ სჭირდება. ერთი სიტყვით, ქართველებზე მეტად უცხო ტომის ხალხს გაუმართლა. ამაზეა ნათქვამი: „იღბალი ბრმა-ყრუდ დადისო" და ჩვენც ბედის ანაბარა გვყავს მიტოვებული თანამემამულენი შორეულ მხარეში. არადა, არც ისე მცირე უნდა იყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ სამუშაოდ გაგზავნილთა რიცხვი. აგერ, ახლა არ იყო, ასეულობით ახალგაზრდას ზარ-ზეიმით რომ ვაგზავნიდით ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე? მერედა იკითხა ვინმემ, რა ბედი ეწია ამ ხალხს, ვინ შეძლო უკან, სამშობლოში დაბრუნება და ვის დღესაც ნატვრად ქცევია ეს? ახლა ამაზე ვდუმვართ, ადრე კი ავავსეთ პრესა და რადიო-ტელევიზია რეპორტაჟებითა და მხატვრული ნარკვევებით ბამზე მომუშავე ქართველებზე. მწერლები და ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნია-გრუზინსკაიას ამბების ხატოვანი აღწერით. მერე ბამიც ყველამ მიივიწყა, ქართველების მიერ შერქმეული სახელიც — ნია-გრუზინსკაია (ახლა ქალაქს ისევ ნია ჰქვია) და აღარც „ნათლიები", იქაური ქართველები, გახსენებია ვისმეს. აღარავინ წუხს მათზე; არავინ ეკითხება ამ ხალხს, ხომ არ სურთ სამშობლოში დაბრუნება? ნუთუ მხოლოდ პოეტური ფრაზაა და მეტი არაფერი — „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!" ხოლო მაშინ, როცა ჩვენს თანამემამულეებზე ვერ გვიზრუნია და უკან ვეღარ დაგვიბრუნებია, ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მესვეურნი ტყიბულსა თუ ქუთაისში დასასახლებლად მავანს და მავანს ეპატიჟებიან: **«Желающим получить в 1990—1991 годах квартиру в указанных городах необходимо обратиться в бюро учета ветеранов. Адрес: бюро ул. Севастопольская. 2».**

სამწუხაროდ, მე ვერ მოგახსენებთ, თუ რამდენმა კაცმა მიმართა აღნიშნულ მისამართზე ვეტერანთა აღრიცხვის ბიუროს, მაგრამ ეგებ იმან მაინც იცოდეს, ვინც ქუთაის-ტყიბულის სახელით ამისი დასტური მისცა.

ხოლო ვიდრე ის ანონიმური პირი გვიპასუხებდეს, ჩვენ თვითონ შევეცადოთ, გავარკვიოთ — ნორილსკელების განზრახვა რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებას ემყარება, თუ მათ თვითნებობის უფლება მისცეს თავს? როგორც ირკვევა, თვითნებობა აქ არაფერ შუაშია. ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მესვეურნი სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მოქმედებდნენ. ამიტომაც ურიგო არ უნდა იყოს ამ დადგენილების გაცნობა. იგი 1985 წლის 10 ოქტომბრით (№ 956) თარიღდება და გვაუწყებს, რომ იმ პირებს, რომლებმაც იმუშავეს უკიდურეს ჩრდილოეთსა და მასთან გათანაბრებულ რაიონებში არა ნაკლებ ათი წლისა, ნება ეძლევათ, გაწევრიანდნენ სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მშენებარე საბინაო კოოპერატივებში. ხოლო, ამავე დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად, სამინისტროებსა და უწყებებს ნება ეძლევათ, საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი მოახმარონ საბჭოთა კავშირის დასახლებულ პუნქტებში (მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, მოსკოვის, ლენინგრადის, მოსკოვის ოლქის, საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების გარდა) იმ პირთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რომლებმაც უკიდურეს ჩრდილოეთში (ან მასთან გათანაბრებულ რაიონებში) იმუშავეს არა ნაკლებ ოცი წლისა. ამგვარი უფლება ეძლევათ, აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც მუშაობის პერიოდში დაინვალიდნენ ან მიიღეს პროფესიული დაავადება. აი, ამ ყოვლისშემძლე დადგენილების საფუძველზე მოუპოვებიათ ნორილსკელებს ქუთაისსა და ტყიბულში დასახლების უფლება.

აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს, აგრეთვე სკკპ ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება (1988 წ., 31 მარტი, № 406), რომელიც გარკვეულად ზღუდავს უკიდურეს ჩრდილოეთში მომუშავეთა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში გაწევრიანებას. აღნიშნული დადგენილების თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნას ცალკეული ქალაქებისა და რაიონების სოციალურ-დემოგრაფიული ვითარება, მაგრამ იგი მთლიანად არ აუქმებს 1985 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებას და, რაც მთავარია, შეეხება მხოლოდ კოოპერაციულ ბინათმშენებლობას. კომუნალური ბინათმშენებლობის შესახებ კი ყველაფერი კვლავინდებურად რჩება ძალაში. ჰოდა, ნორილსკის კომბინატიც ამდგარა და პირდება თავის პენსიონერებს კომუნალურ ბინებს 1990 წლისათვის ტყიბულსა და ქუთაისში.

ისიც უნდა ითქვას, რომ თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ ვიფიქრებთ — ტყიბულსა და ქუთაისში მხოლოდ პენსიონერები ჩამოსახლდებიანო. ვინ აუკრძალავს მერე მათ შვილებისა და შვილიშვილების ჩამოყვანას? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოხუცებულ ადამიანს იურიდიულად აქვს უფლება მზრუნველის აყვანისა. მაგრამ საკითხავია, ჩვენ თუ გვაქვს უფლება, ხელოვნურად გავართულოთ ჭარბმოსახლეობის პრობლემა? მცირემიწიან საქართველოში ხომ თავსატეხად ისიც გვექცევია, თუ სად დავასახლოთ სტიქიური უბედურებისაგან აყრილი ჩვენივე თანამოძმენი? ან რა ვუყოთ იმ თანამემამულეებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სამშობლოს გარეთ ცხოვრობენ და დაბრუნებას ისურვებენ? როგორც არ უნდა გვიჭირდეს, რა პირით ვუთხრათ მათ უარი და სხვათა მიღება-დაბინავებაზე ვიზრუნოთ? ან რა ქნას იმ კაცმა (ქართველი იქნება იგი, რუსი, ოსი, თუ აფხაზი), რომელიც წლობით ელოდება ჩვენთან ბინის მიღებას, მიწის ნაკვეთის გამოყოფასა თუ სამუშაოზე მოწყობას? ჩრდილოელთა ჩამოსახლება განა არ შეუქმნის მათ დამატებით პრობლემებს?

ასეთ ვითარებაში, როგორც საქართველომ, ისე ნებისმიერმა სხვა რესპუბლიკამ თავისივე თვისტომთა მიღებაზე უნდა იზრუნოს. ჩვენი თანამემამულეების დასახლებას, ქართველი იქნება ის თუ აფხაზი, სხვას ვერ მოვახვევთ თავს, რადგან არც სხვა საქართველოა სადმე და არც აფხაზსა აქვს სადმე სხვაგან სამშობლო საქართველოს გარეთ. თუ ყველა რესპუბლიკა ამ პრინციპით იხელმძღვანელებს, გაცილებით უმტკივნეულოდ გადაწყდება აღნიშნული საკითხი. ერთი სიტყვით, უკიდურეს ჩრდილოეთსა და მასთან გათანაბრებულ რეგიონებში მცხოვრებთა განსახლება უნდა განხორციელდეს ეროვნული პრინციპით. იგივე ითქმის დემობილიზებულ სამხედრო მოსამსახურეებზეც. მხოლოდ ასე შეიძლება ეროვნებათა შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეიცვალოს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 10 ოქტომბრის № 956 დადგენილება და იგი სრულიად სხვა რედაქციით ჩამოყალიბდეს, სადაც ჩრდილოეთის მცხოვრებთა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩამოსახლებას საფუძვლად ეროვნული პრინციპი დაედება. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც მთელმა საზოგადოებამ, ისე ჩვენმა სახალხო დეპუტატებმა, რადგანაც დადგენილების შეცვლის გარეშე ნებისმიერ თანამდებობის პირს გაუჭირდება, წინ აღუდგეს უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრებთა გადმოსახლების მოთხოვნას.

ამჟამად კი კვლავ გავიმეორებ შეკითხვას იმის თაობაზე, თუ რა იციან შესაბამისმა ინსტანციებმა ჩვენში ნორილსკელთა იმ განზრახვის შესახებ, რომელსაც 1988 წლის 20 ოქტომბრის „Заполярная правда" იუწყება და თუ იციან, რა პასუხი გაუგზავნეს მათ?

ნუთუ, ასე ადვილად გვეთმობა ჩვენი მამული?

ამირან გომართელი

# ღია წერილი ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, კულტურის სამინისტროს!

1989 წლის 10 ივნისს გაზეთში „Советская культура" ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი აცხადებს კონკურსს ბალეტის არტისტებისა და სოლისტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად (კონკურსის გავლით). განცხადებაში მოცემულია საქართველოს კულტურის სამინისტროს სათანადო განყოფილებების ტელეფონის ნომრები. დავინტერესდით, დავრეკეთ კულტურის სამინისტროში. გვიპასუხეს: თეატრი საჭიროებს დაახლოებით ათ წყვილ მსახიობს (სასურველია — ცოლ-ქმარი). კონკურსში გამარჯვებულნი მუდმივად ჩაეწერებიან ქუთაისში.

რესპუბლიკაში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციის ფონზე, გაკვირვებას იწვევს თეატრისა და კულტურის სამინისტროს მესვეურთა პოზიცია. იმ დროს, როცა თბილისში არსებობს ქორეოგრაფიული სასწავლებელი, თეატრი რესპუბლიკის გარეთ ეძებს „მშვილდილს".

–მავანი იტყვის, რა ბედენაა 10-20 არაქართველის ქუთაისში მუდმივად ჩამოსახლება, როცა თეატრს უჭირსო. საკითხის ასე დაყენება რბილად რომ ვთქვათ, დემოგრაფიული პრობლემის სიმწვავის გაუთვალისწინებლობაა.

კატეგორიულად მოვითხოვთ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა უარი თქვან თავის ოფიციალურ განცხადებაზე და ეძებონ უფრო ოპტიმალური გზები პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლების სახელით: ნ. ნადარაია, გ. ბარათაშვილი, ი. მელიქიშვილი, მ. დადიანი და სხვები.

რედაქციისაგან: ამ წერილებში დასმული პრობლემა მეტად დამაფიქრებელია და ყურადსაღები. დღეს, როცა საკუთარი მოსახლეობა ვერ დაგვიკმაყოფილებია საცხოვრისით, სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ან თვითონ ვიწვევთ, ან საკავშირო მთავრობის დადგენილებით ეძლევათ ჩამოსახლების უფლება. ქართველ ხალხს სტუმრისთვის უარი არასდროს უთქვამს, ამას ნათლად მოწმობს ჩვენი ისტორია, მაგრამ მწვავე სოციალურ და დემოგრაფიულ ვითარებაში რესპუბლიკის გარედან მოსახლეობის შემოყვანა, თუნდაც ეს კულტურული და სამეურნეო მიზნებით იყოს ნაკარნახევი, გაუმართლებელია. ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს მსგავს ფაქტებს.

# ქართლის მიწავ, მშობლიურო...

1989 წლის 7 მაისს ტელევიზიის საშუალებით ვნახეთ გადაცემა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რომელიც მარნეულის რაიონში მიწების მიტაცებას შეეხებოდა. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც ბევრია. რაღა დავიმალოთ, აღშფოთებას ვერ ვმალავთ. ისიც ვიცით, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და რუსთაველის საზოგადოების მეცადინეობით ამ საკითხებზე მიდის გარკვეული მუშაობა, არის გადაცემები ტელევიზიით, აშუქებს პრესაც, მაგრამ შედეგები არ ჩანს. ამაში დამნაშავენი ვართ პირველ რიგში ქართველები, ასე უმოწყალოდ რომ გავყიდეთ ჩვენი მიწები. ზოგიერთებს დღემდე კიდევ არა აქვთ შეგნებული, თუ რა საშიშროება ემუქრება ერის მომავალს. ის კადრები, რაც ტელევიზიით ვნახეთ, უნდა წამოსულიყო არა სხვებისაგან, არამედ ჩვენგან, რკინიგზელებისაგან. საქმე სურათია რკინიგზის ლიანდაგების გაყოლებაზე გადასარბენებზე: ა) სადგური მარნეული-შულავერი-სადახლო; ბ) სადგური მარნეული-ბოლნისი-ფოლადაური-კაზრეთი; გ) სადგური თბილისი-დამახარისხებელი-კუმისი; დ) სადგური ქსანი-ხანდაკი-კავთისხევი, ე) სადგური თბილისი-დამახარისხებელი-ველი-გაჩიანი-რუსთავი-გარდაბანი, რაც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. სასურველია, აუცილებელიც, უახლოეს მომავალში ტელევიზიის საშუალებით გამოვიდნენ რკინიგზის ტრანსპორტის პროკურატურის თანამშრომლები, რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობა და აცნობონ საზოგადოებას, თუ რა ზომები მიიღეს მიწების უკანონოდ მიტაცებაზე. გაფუჭებული საქმე როგორმე უნდა გამოვასწოროთ.

ქართველი ერი, უძველესი დროიდან ებრძოდა შემოსეულ მტერს, რათა დაეცვა თავისი მიწა-წყალი და ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის შენარჩუნებამაც დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოგვიტანა. მტერი მოდიოდა, აოხრებდა საქართველოს, ტყვედ მიჰყავდა ქართველი ხალხი, მაგრამ საქართველოს მიწაზე ასე მასობრივად არავინ არ დასახლებულა. გადავხედოთ, თუ რა სურათია დღეს! მიმდინარეობს საქართველოს გეგმაზომიერი „დაპყრობა". ის რაც დღეს ხდება, არის საქართველოს „დაპყრობა" მშვიდობიანი გზით. ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობამ და თავგამოდებულმა ინტერნაციონალიზმმა რა შედეგიც მოიტანა, კარგად ჩანს დღევანდელი რთული ვითარებით. წლების მანძილზე პირში წყლის ჩაგუბებამ, სიმართლის უთქმელობამ, დათვური სამსახური გაუწია სხვა ეროვნებებს, რომლებმაც ჩვენს დუმილში პატივისცემის სამაგიეროდ, დანაშაული ამოიკითხეს.

ამიტომ, სანამ გვიან არ არის, საჭიროა ამ საკითხების გადასაჭრელად ყველანი ერთად შევიკრათ, რათა ის უმოკლეს ვადაში გადაწყდეს, თორემ ახლო მომავალში ყველა რეგიონში გაჩნდება ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდება იმ პროცესს, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი გზით ერის გადაშენებისაკენ. ჩვენს ხალხს და ხელმძღვანელობას არავისთან არაფერი აღარ სჭირს უკან დასახევი, არავითარი დანდობა და შებრალება მიწების გამყიდველ ვაი-ქართველებს და მის უკანონოდ მიმთვისებლებს, რომელთა ვინაობაც ყველასათვის ცნობილია, ზომების მიღება კი ჭიანურდება.

დღეს, ვინც ნამდვილი ქართველია, უფლება არა აქვს დატოვოს ისეთი საქართველო, რომლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა შემდგომში ჩვენს შთამომავლობას სისხლის ფასად დაუჯდება და სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს. სხვადასხვა ეროვნული ტკივილების მიფუჩეჩებამ, წაყრუებამ მიგვიყვანა სწორედ 9 აპრილის ტრაგედიამდე.

ჩვენი კოლექტივის აზრით, შემდგომში ასეთი ტრაგედია რომ არ განმეორდეს, საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ჩამორთმეულ და დანგრეულ იქნას უკანონოდ მიტაცებული მიწები და საცხოვრებელი სახლები. დაწესდეს მკაცრი კონტროლი ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის.

იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც იტაცებენ მიწებს, ჩეხენ ტყეს, უმოწყალოდ ანადგურებენ ბუნებას, ე. ი. არღვევენ კანონს, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

იმის გამო, რომ 9 აპრილის ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი იყო აფხაზთა ცილისმწამებლური წერილი ქართველი ერის მიმართ, გამოქვეყნდეს სრული სია იმ პირებისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პასკვილს.

გარდა ამისა, ჩვენი კოლექტივი მთლიანად ეთანხმება პატივცემულ აკაკი ბაქრაძის წინადადებას, იმ კანონის შემოღების შესახებ, რომლის აზრსაც ვაყალიბებთ შემდეგნაირად:

ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რუსთაველის საზოგადოებასთან ერთად შეიმუშაოს კანონი საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შესახებ, რის მიხედვითაც შეიზღუდება სხვა ეროვნებების ჩაწერა საქართველოში და მათზე მიწების გაცემა... კანონის დამრღვევთა მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

შეიძლება ამ წერილს, ზოგიერთებმა ნაციონალიზმის იარლიყიც მიაკერონ, მაგრამ ეს არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც ქართველმა ხალხმა თავი უნდა დაიცვას. ჩვენს მიწაზე თავის დაცვა არ არის ნაციონალიზმი, ეს არის თითოეული ჭეშმარიტი ქართველის საკეთებელი საქმე, რადგანაც საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მას სხვებზე გასაცემი მიწა აღარ აქვს, რაც დავთმეთ, ისიც კმარა.

დროა მოვკიდოთ ამ საქმეს სერიოზულად ყველამ ხელი, ვიდრე განგაშის ზარი ჩამოჰკრავდეს.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების თანამშრომლები

## უცხოეთის ბეჭდვა

# საჯაროობის სივრცე: უსტერეოტიპოდ

ამ ბოლო ხანს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი აქტიურად იღვწის საერთაშორისო ურთიერთკავშირის გასაფართოებლად. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტმა **თენგიზ გამყრელიძემ** **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს** სთხოვა, ეამბნა ჟურნალისტთა კავშირის იმ საქმიანობის თაობაზე, რომელიც დღემდე ნაკლებად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის.

ვბეჭდავთ ამ საუბარს.

— უწინარეს ყოვლისა, მინდა გკითხოთ: როგორი გამოეხმაურა უცხოური, კერძოდ, პოლონური პრესა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიას? მაისში თქვენ პოლონეთში ბრძანდებოდით — რას და როგორ წერდნენ იქ ჩვენზე?

— „გაზეტა ვიბორჩამ", რომელსაც „სოლიდარობის" კომიტეტთან დაკავშირებული „დამოუკიდებელ" ჟურნალისტთა ჯგუფი სცემს, პირველსავე ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდა სტატია სათაურით „საქართველოს სურს სიმართლე იცოდეს", რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა მხარე თანახმაა თბილისში ჩავიდნენ საერთაშორისო წითელი ჯვრის ექსპერტები, რათა დაეხმარონ იმ გაზის შედგენილობის განსაზღვრაში, რომელიც, როგორც გაზეთი წერს, თბილისის „სისხლიან კვირას" გამოიყენეს. ამავე თემას ეძღვნება მასალა „ხოცვა-ჟლეტა თბილისში", სადაც მოცემულია ჩვენი პრესის ცნობები. ავტორი, ლეონ ბიუკო, წერდა, „თბილისის საქმე" სახალხო დეპუტატთა ყრილობის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იქნება. საზოგადოებრივი აზრით, აქტიური მოქმედება და საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრებიდან ძალადობის საბოლოო, თანამიმდევრული აღმოფხვრა ახლა ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ წარმოგვიდგება, — ამბობენ პოლონელი ჟურნალისტები.

გაზეთმა „ვიბორჩამ" თავისი ინფორმაციის წყაროდ საბჭოთა აკადემიკოსი ანდრია სახაროვი დაასახელა. ასეთი იყო პოლონელ ჟურნალისტთა აზრი მაისში. დღეს, როცა სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ თბილისის ამბებით დაიწყო ეს მუშაობა, ახლა კი უკვე შეუდგა მუშაობას ყრილობაზე შექმნილი კომისია. რაც შეეხება ყრილობის მუშაობისა და ქართველ დეპუტატთა საქმიანობის ჩვენეულ შეფასებას, იგი ჩამოყალიბებულია მასალაში „შეცდომის უფლება არა გვაქვს", რომელიც „კომუნისტმა" 2 ივნისს გამოაქვეყნა.

— სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა თანამშრომლობა და სოლიდარობა სერიოზული და გავლენიანი ძალა უნდა იყოს. თუმცა სხვაგვარი მაგალითებიც გვაქვს. ხედავთ თუ არა იმის საშუალებას, რომ ჟურნალისტიკა ნამდვილად ასეთი გახდეს? მხედველობაში მაქვს, უარი ვთქვათ ჩვეულ კლიშეებსა და სტერეოტიპებზე, „მტრის სახის" ორიენტაციაზე, ერთი სიტყვით, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობ კონფრონტაციაზე. როგორ გგონიათ, მზად არიან თუ არა ჟურნალისტები (მხედველობაში მყავს საბჭოთა ჟურნალისტები) „ბრძოლის ველი" საჯაროობის სივრცედ გადააქციონ?

— მე მგონი, მოვალენიც არიან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა ჟურნალისტს, განსაკუთრებით ჩვენში საყოველთაოდ ცნობილ მესაერთაშორისე ჟურნალისტებს, არა აქვთ ამის მორალური უფლება. რაც შეეხება საქართველოს ჟურნალისტებს, — ჰა ბურთი, ჰა მოედანი! ამ ბოლო ხანს ამ მხრივ ჩვენში ბევრი რამ უკვე გაკეთდა და კიდევ კეთდება. დავიწყებ იმით, რომ შარშან სექტემბერში თბილისში გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირის გაერთიანებული გასვლითი სამდივნო. ჩვენთან ჩამოვიდნენ ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელები ბოიან ტრაიკოვი, ლალიუ დიმიტროვი, ბლაგომირ სირაკოვი, ტოდორ აბაზოვი და სხვანი. ლაპარაკი იყო იმაზე, როგორ გარდავქმნათ სსრკ ჟურნალისტთა კავშირისა და ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირის მუშაობა. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, იმაში, რაც მოსკოველმა და სოფიელმა ამხანაგებმა მოგვახსენეს, რაღაც ვერ შევნიშნე ამ კავშირების საქმიანობაში გარდაქმნის რაიმე ნიშნები. ჩვენი მხრივ, გავაცანით რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქციებთან მუშაობის ჩვენეული პრაქტიკა, იმის მოკრძალებული ცდები, რომ რაღაც გავლენა მოვახდინოთ ჟურნალისტიკის დარგში საკადრო პოლიტიკაზე და ა. შ. ამავე შეხვედრაზე აღიძრა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობის საკითხიც: რამდენად შეესაბამება მისი საქმიანობა ახლებური აზროვნების, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა დაახლოების პრობლემებს. ამის გამო გამოვთქვით კრიტიკული შენიშვნები, რადგან ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა ბოლო წლებში ოდნავადაც არ შეცვლილა. მისი არსებობა თითქოს თავისთავად ადასტურებს იმას, თითქოს საჭირო იყოს ჟურნალისტთა ძალების დაყოფა დასავლურად და სოციალისტურად, ესე იგი, საჭირო იყოს ამ ძალების კონფრონტაცია, როგორც ხდებოდა ეს მრავალი ათწლეულის მანძილზე.

ამიტომ მეამა და გამიკვირდა, როცა მოსკოვიდან მივიღე მიწვევა, მონაწილეობა მიმეღო საერთაშორისო კონფერენციაში — „ჩვენი ევროპული სახლი — როგორ ესახებათ იგი ჟურნალისტებს"?.

— როგორც ცნობილია, „საერთო-ევროპული სახლის" კონცეფცია მ. ს. გორბაჩოვმა შემოგვთავაზა. ევროპა თანამედროვე ცივილიზაციის აკვანია, ჩვენი საერთო სახლია. ჩვეულებრივი კონფლიქტიც კი, ბირთვული იარაღის გამოუყენებლად, აქ კაცობრიობისათვის კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს, თუ გავითვალისწინებთ, როგორ არის ევროპა დატენილი ატომური ელსადგურებით, ქიმიით, იარაღის საწყობებით... საკმარისია, თუნდაც, ჩერნობილი გავიხსენოთ. კატასტროფა საყოველთაო იქნება. ამიტომ უარი უნდა ითქვას ძალით პრობლემების გადაწყვეტაზე. რა როლი შეიძლება შევასრულოთ აქ ჩვენ, ჟურნალისტებმა?

— ამ კონფერენციაზე „მრგვალ მაგიდას" პირველად მიუსხდნენ ავსტრიელი, ბელგიელი, დიდბრიტანელი, თურქი, დანიელი, ისლანდიელი, ესპანელი, იტალიელი, კანადელი, კვიპროსელი, მალტელი, ნიდერლანდელი, ნორვეგიელი, პორტუგალიელი, ფინელი, ფრანგი, დასავლეთგერმანელი, შვეიცარიელი და შვედი ჟურნალისტები. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში შედიან და შტაბ-ბინა ბრიუსელში აქვთ. ჩამოვიდა ამ ფედერაციის პრეზიდენტი მია დორნეტიც, თუმცა, არა როგორც პრეზიდენტი, არამედ, როგორც გაზეთ „სტანდაარტის" წამყვანი მიმომხილველი, კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როგორც იმ ჟურნალისტების ამ პირველი შეხვედრის მეთვალყურე, რომლებიც ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში შედიან და არ ცნობენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ძალასა და გავლენას. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრივ კონფერენციას ესწრებოდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და, ცხადია, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტები. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მხრიდან წარმოდგენილი იყვნენ აგრეთვე ჟურნალისტთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი ბარბარა განელი და ინგლისის, ირლანდიისა და საფრანგეთის ბევრი გაზეთის, ტელეკომპანიების ბი-ბი-სის და ბე-ბე-ცეს წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დელეგაციას ვიქტორ აფანასიევი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის წევრები იყვნენ ისეთი ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველები, როგორიც არიან ვსევოლოდ ოვჩინიკოვი და გიორგი ზუბკოვი. მოწვეული იყვნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების ექსპერტები — სულ ასამდე კაცი.

ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრა პირველად იმართებოდა და იმედი მოგვეცა, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს, გააერთიანებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ კონფერენციის მოწვევამდე სსრკ ჟურნალისტთა კავშირი და დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ჟურნალისტთა ეროვნული კავშირი შეთანხმდნენ, რომ ამ შეხვედრაზე დისკუსიის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს ევროპის ქვეყნების ჟურნალისტთა დიალოგს ჰელსინკის პროცესის ფარგლებში, ურთიერთგაგება შეუქმნას ჟურნალისტებს თანამშრომლობის განვითარების საკეთილდღეოდ და, ბოლოს, საშუალება მისცეს ჟურნალისტებს თავისუფლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ყველა ქვეყანაში და დაუბრკოლებლად გადადიოდნენ სახელმწიფოს საზღვრებს. ინფორმაციის თავისუფალი გაზიარების უზრუნველყოფის მიზნით. შეხვედრის ორგანიზატორებმა შემოგვთავაზეს განგვეხილა ასეთი საკითხები: შეუძლიათ თუ არა ჟურნალისტებს თავიდან აიცილონ ცივი ომის შესაძლო ატმოსფერო მათ მიერ შექმნილი სახეების მეშვეობით? როგორ გავაღრმაოთ ჟურნალისტთა თანამშრომლობა და როგორ ავიცილოთ თავიდან ერთმანეთის მიმართ სტერეოტიპების წარმოქმნა? საჯაროობა, როგორც ჰელსინკის პროცესის ხელშემწყობი ფაქტორი, და ბოლოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება და ევროპის იმ ქვეყნების ზოგადი პრობლემები, რომლებიც ევროპას საერთო სახლად აქცევენ; როგორიცაა, ეკოლოგიის, ჰუმანიტარული და ეკონომიკური პრობლემები.

— ერთი სიტყვით, იშვა „ჟურნალისტთა საერთო ევროპული სახლის" იდეა, ესოდენ აქტუალური ამჟამად. სახლისა, რომელშიც ყოველი ბინა არა მარტო უსაფრთხო, არამედ მიმზიდველიც უნდა იყოს, ხოლო ჟურნალისტთა თანამოქალქეობა, თუ საძირკვლის შემადუღაბებელი ფაქტორი არ იქნა, ატმოსფეროს მაინც გაწმინდავს და სუნთქვას შეგვიმსუბუქებს.

— მართალს ბრძანებთ. შეხვედრის მონაწილენი, ცხადია, რამდენადმე უფრთხოდნენ, სწავლობდნენ ერთმანეთს, ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა შეხვედრის პირველ და მეორე დღეს. მერე კი, როგორც იტყვიან, გალღვა ყინული.

პლენარულ და სექციების სხდომებზე ცხარე კამათი იყო, ორივე მხარე დაინტერესებით ბჭობდა იმაზე, თუ როგორ მოიშორონ თავიდან მობეზრებული სტერეოტიპები, როგორ შეუწყონ ხელი ხალხთა უკეთეს ურთიერთგაგებას და ასე შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ დასავლელი ჟურნალისტების ყველა კითხვას გულახდილად და ალალ-მართლად ვერ უპასუხებდა საბჭოთა მხარე და, ოვჩინიკოვისა და ზუბკოვის დიდი ცდის მიუხედავად, ჩვენი ოფიციალური დაწესებულებების — საგარეო საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები განაგრძნობდნენ, როგორც იტყვიან, წინანდელი, გარდაქმნამდელი წლების მოტივზე სიმღერას. ერთ-ერთ სხდომაზე იძულებული გავხდი, აღმენიშნა, რომ მიუღებელია ჩვენი ოფიციალური პირების პასუხები, რომლებიც ზოგჯერ გამოუვალ სიტუაციებს ქმნიან, და არსებითად კი არ აერთიანებენ, კიდევ უფრო აშორებენ ერთმანეთს სხვადასხვა ჟურნალისტებს.

კონფერენციის თავმჯდომარე ვიქტორ აფანასიევი — გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი, ცდილობდა საუბარი ორი საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციის დაახლოების კალაპოტით წარემართა, მაგრამ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ზემოხსენებული მია დორნეტი, ყოველთვის, როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა რაიმე ერთობლივი განცხადების მიღებაზე, ცდილობდა ალეკვეთა ეს ცდები.

— კონკრეტულად რაზე იყო ლაპარაკი?

— როცა გიორგი ზუბკოვმა შემოგვთავაზა ტელეხიდი გაგვედო პრაღასა (აქ არის დაბინავებული ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია) და ბრიუსელს (სადაც შტაბ-ბინა აქვს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას) შორის, ფედერაციის პრეზიდენტმა კვლავ განაცხადა, რომ მას უფლებამოსილება არა აქვს მიიღოს ასეთი გადაწყვეტილებანი, ვინაიდან კონფერენციას ესწრება როგორც მეთვალყურე და არა როგორც ფედერაციის პრეზიდენტი, რის გაგონებაც არა და არ სურდათ. ყოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ მან მიატოვა კონფერენცია. ასე ჩაიშალა საინტერესო ინიციატივა და კვლავ დადგა დღის წესრიგში საკითხი — როგორ დავაახლოვოთ ეს ორი ჟურნალისტური ორგანიზაცია; განა უაზრობა არ არის — ქვეყნის ხელმძღვანელებს გამოუნახავთ საერთო ენა, ჟურნალისტურ ორგანიზაციებს კი კვლავ კონფრონტაცია აქვთ.

— ჰო, მაგრამ ვინ არ იცის: უფსკრულზე ხიდი ორივე მხრიდან უნდა იგებოდეს, ქვეყნებს შორის არსებული სხვაობანი კონფრონტაციის საგანი ვერ გახდება, ეს უფრო იმის პირობა და მოტივია, რომ მათ შორის აზრთა გაზიარების, შეჯერებისა და შეჯიბრების ვითარება დამყარდეს. ყველაფერი გაკეთდა ამ მიმართულებით?

— ამ კონფერენციამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ სსრკ ჟურნალისტთა კავშირს არა და არ სურს შეცვალოს თავისი მუშაობის, სხვა ჟურნალისტური ორგანიზაციების მიმართ ერთგვარი დიქტატის სტილი. — ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ურთიერთობის პრაქტიკა საფუძვლად ვერ დაედებოდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციასთან ურთიერთობას. სსრკ ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელებთან პირადი საუბრების დროს საგანგებოდ გამოვთქვი ეს აზრი.

ჰოდა, იშვა იდეა გამოგვენახა ისეთი ჟურნალისტური ორგანიზაცია, რომელსაც ავტორიტეტი აქვს მთელი მსოფლიოს ჟურნალისტთა შორის და რომელიც დათანხმდება ახალი შეხვედრის მოწყობის ინიციატორობას. ასეთი ქვეყანა გახდა იტალია. გადაწყდა, გაგვეგზავნა იქ სსრკ საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია. ხელმძღვანელობა მე შემომთავაზეს. დელეგაციაში შევიდნენ ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის" რედაქტორი ვლადიმერ სირენკო, ახალი ამბების სააგენტოს სამმართველოს უფროსი ნატალია იაკოვლევა, ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი გიორგი ზუბკოვი, ჟურნალ „კომუნისტის" ერთ-ერთი რედაქტორი ევგენი შაშკოვი....

და აი, შობის წინ რომში ვართ. ჩვენმა მასპინძლებმა გადაწყვიტეს, სანამ სადიალოგო მაგიდას მივუსხდებოდით, იტალია გაგვეცნო. და, ეტყობა, რაკი მე სამხრეთელი ვიყავი, გაეცნოთ მხოლოდ სამხრეთ იტალია. ჰოდა, რომიდან ბარში, აპულიის ოლქის ყველაზე სამხრეთ ქალაქში ჩავედით.

„იტალია ბოლონიით არ მთავრდება", — მითხრა ბარის — ინფორმატიკის ცენტრის თითქმის 400-ათასიანი ქალაქის მერმა; აქ არის უნივერსიტეტი, სხვა უმაღლესი სასწავლებლები, იგი იტალიის ყველაზე სასოფლო-სამეურნეო პროვინციის დედაქალაქია.

— მე მაქვს იტალიური გაზეთები და მისდა ზოგიერთი ნაწყვეტი მოვიყვანო თქვენი დელეგაციის მოგზაურობასთან დაკავშირებით. მაგალითად, გაზეთი „ლა გაზეტ დელ მეზოჯორნო" წერდა იმ დღეებში აპულიაში თქვენი ყოფნის თაობაზე: „...როცა პირისპირ ხვდები საბჭოთა ჟურნალისტებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პასუხისმგებელ მუშაკებს, ლამის უშუალოდ გრძნობ საბჭოთა კავშირში მიმდინარე დიდ ცვლილებებს, იგი რეალურ კონკრეტულობას იძენს. დელეგაციის მეთაური დარბაისელი, ელეგანტური, დინჯი კაცია, ეროვნებით ქართველი, რესპუბლიკური გაზეთის მთავარი რედაქტორი; დელეგაციაში არიან აგრეთვე მოსკოველი, ნამდვილი „სლავი", ტელევიზიის ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველი, და [illegible] ქალი, რომელსაც [illegible] გარეგნობა აქვს და თავაზიანად იღიმება; იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საინფორმაციო სააგენტოს დირექტორია (ასევე მოსკოველია? თუმცა ასევე შეიძლება იყოს პარიზელი, რომაელი ან ნიუ-იორკელი...).

შეიძლება დელეგაციის ეს შემადგენლობა „გორბაჩოვისეული" კრიტერიუმების შესაბამისად შეარჩიეს. შეიძლება ასეც იყოს, ალბათ, ასეც არაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოსკოვმა ასე გაბედულად და გულუხვად გამოგზავნა თავისი მოწინავე ადამიანები, ბევრ რამეზე მეტყველებს".

და კიდევ: „ყველანი, ყოველი მათგანი თავისებურად, გორბაჩოვისეული გარდაქმნის უყოყმანო მომხრეები და ყოფილი, წინანდელი საბჭოური რეჟიმის გაბედული და მტკიცე მოწინააღმდეგენი არიან.

— თქვენს ციტატებს შეიძლება დავძინო, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრებმა, ეტყობა, ჩვენს მასპინძლებს მისცა იდეა, მივეყვანეთ ქალაქ პოლივანტეს ტექნიკურ-კომერციულ ინსტიტუტ „ლენოჩიში". აქ თერთმეტ ფაკულტეტზე 60 ათასი სტუდენტი სწავლობს. უზარმაზარი დარბაზი გაჭედილი იყო სტუდენტებით და მასწავლებლებით. ყოველი მხრიდან დაგვაყარეს მწვავე, ზოგჯერ ფრიად უხერხული შეკითხვები, მაგრამ ყოველივე ამას თან ხლევდა კეთილმოსურნეობა და გულწრფელი ინტერესი იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი შეეტყოთ. აი, რას წერდა იგივე გაზეთი „ლა გაზეტ დელ მეზოჯორნო":

„სტუდენტებმა (შეხვედრას სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ) საბჭოთა დელეგაციის წევრები პირდაპირ წალეკეს შეკითხვებით საბჭოთა კავშირის დღევანდელი ცხოვრების შესახებ. ლაპარაკი იყო გარდაქმნაზე, მთელ რიგ პრობლემებზე, რომლებიც დღეს აწუხებს საბჭოთა საზოგადოებას. ეროვნული უფლებების დაცვით დაწყებული და ახალგაზრდობას შორის ნარკოტიკების გავრცელებით დამთავრებული, პარტიაში მიმდინარე ცვლილებების პროცესით დაწყებული და სასკოლო რეფორმით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დამთავრებული. შეეხნენ საგარეო პოლიტიკის პრობლემებსაც, როგორიცაა ავღანეთის მდგომარეობა, დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა".

ჩვენ გულახდილნი ვიყავით და ამან, ეტყობა, მოხიბლა შეკრებილნი, რადგან დიდხანს, თითქმის ოთხ საათს არ გაგვიშვეს.

შემდეგ — ფლორენცია. ამ დროის მანძილზე ტელევიზიამ და გაზეთებმა საკმაოდ დაწვრილებით გააცნეს ჩვენი თავი, ჰოდა, ქალაქის მერთან მაქსიმო ბოჯკინოსთან (თავის დროზე იგი ლა სკალას, აგრეთვე პარიზის გრანდ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო) შეხვედრამ ისე ჩაიარა, თითქოს ძველი ნაცნობები ვყოფილიყავით. შემდეგ გაიმართა „მრგვალი მაგიდა", ხალხით გაჭედილ დარბაზში შევხვდით სხვადასხვა გაზეთის ჟურნალისტებს, იტალიის პარლამენტის დეპუტატებს, მეცნიერებს, იურისტებს, იყვნენ ამერიკელებიც, ერთი ბოლივიელი პოეტიც კი დაესწრო.

— თუ შენიშნეთ — სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების წარმომადგენლები, რომლებიც ხშირად სრულიადაც არ თანაუგრძნობენ სოციალიზმის იდეებს, გრძნო-

ბენ და აღიარებენ, რომ საჭიროა ახალი რეალისტური და ელასტიკური მიდგომები, რომლებიც თავისუფალი იქნება დოგმებისაგან?

— ცხადია, ყველას უნდოდა რაღაცის თქმა, ჩვენი აზრის მოსმენაც, და, რა თქმა უნდა, სეტყვასავით დაგვაყარეს კითხვები, გაუთავებელი კითხვები...

ამ შეხვედრების, საუბრების, კამათის შემდეგ კვლავ — რომი. აქ სიურპრიზი მოგველოდა. იტალიური პრესის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გუიდო გუიდიმ ძალზე კმაყოფილმა გვაცნობა, რომ დანიშნულია აუდიენცია რომის პაპთან, მანამდე კი საშობაო ღვთისმსახურების მონაწილენი ვიქნებოდით ვატიკანში. გუიდო გუიდის გაეღიმა და დასძინა, ორმოცდაათი წელს გადავცდი და პირველად დავესწრები ასეთ ღვთისმსახურებას.

— დარბაზი, სადაც ეს ღვთისმსახურება გაიმართა, 4 ათას კაცს იტევს. სცენა დარბაზისაგან ტიხრით არის გამოყოფილი, საფეხუროვანია, შემკულია მშვენიერი სკულპტურული კომპოზიციით, რომლის ცენტრში სული წმინდაა.

ჩვენ ტიხრის წინ, სცენის მარჯვენა მხარეს გამოგვიყვეს ადგილები. სცენის ორივე მხარეს ხელში ალებარდებით იდგნენ ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი შვეიცარიელები — პაპის გვარდია. დარბაზი უდიდეს იტალიელ არქიტექტორს ნერვის აუშენებია.

როცა პაპი გამოჩნდა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ტაშით მიესალმნენ. იგი ტახტზე დაჯდა და ყველას მიესალმა. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ამ მისალმებას დალოცვას დავარქმევთ. მან იგი იტალიურად, ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად, პორტუგალიურად, პოლონურად და იაპონურად წარმოთქვა. პოლონელებს რომ მიესალმა, ზეპირად ლაპარაკობდა. ეს იყო შობის წინ უკანასკნელი აუდიენცია კათოლიკური ეკლესიის მამამთავართან. როდესაც ოფიციალური ნაწილი დამთავრდა, პაპი ტიხართან მივიდა, რომლის იქით მოწვეულნი იყვნენ, ეტლში მჯდომ ჩვილ ბავშვს აკოცა, და შემდეგ მთელი დარბაზი ჩამოიარა. ამ დროს სცენაზე გამოდიან ნაირ-ნაირი ორკესტრები, რომლებიც ხან საეკლესიო მუსიკას, ხან მარშებს, ხან კი ჩვეულებრივ პოპულარულ სიმღერებს უკრავენ.

ერთ-ერთმა კარდინალმა ცალკე, საგანგებო დარბაზში მიგვიწვია პაპთან შესახვედრად. დარბაზში რომ შევედით, დავინახეთ ცენტრში სავარძელი, მის მარცხნივ კი ჯვარცმა, ცოტახნის შემდეგ პაპიც გამოჩნდა. იგი გულითადად მოგვესალმა საეკლესიო ძველსლავურად. ჩვენ უთარჯიმნოდ რუსულად ვუპასუხეთ. მან გვითხრა, რომ მხოლოდ ხსნისათვის, კაცობრიობის შემდგომი აყვავებისათვის საჭიროა ყოველთა ადამიანთა ერთობა. აუდიენცია დიდხანს არ გაგრძელებულა. ვატიკანიდან გამოვედით მოედანზე, სადაც უზარმაზარ საახალწლო ნაძვისხეს ამზადებდნენ. უნდა გითხრათ, რომ სწორედ ამ პაპმა — წარმოშობით პოლონელმა — შემოიღო ვატიკანში საახალწლო ნაძვისხე.

რომში გუიდო გუიდისთან მოლაპარაკება განვაგრძეთ. იოლი არ იყო ეს. მაგრამ ბოლოს გადაწყდა, რომ იტალიაში ჟურნალისტთა მორიგი ყრილობის შემდეგ, შემოდგომაზე, ჩვენთან, საქართველოში ჩამოვა იტალიელი ჟურნალისტების დელეგაცია, რათა საბოლოოდ გადავწყვიტოთ ორი საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციის შეხვედრის საკითხი, მანამდე კი იტალიელი კოლეგები ეცდებიან, რაც შეიძლება მი-

სალები პლატფორმა გამონახონ წლის დამლევს კაპრის კუნძულზე ასეთი შეხვედრის მოსაწყობად.

— ერთი სიტყვით, თქვენ გახდით თუ არა მოწმე იმისა, როგორ მყარდება, ვითარდება და ახლდება კონტაქტები და ურთიერთკავშირი სულ სხვადასხვა დონეზე? შეიძლება თუ არა დავუკავშიროთ ეს ახლებური პოლიტიკური აზროვნების ცნებას?

— უდავოდ. ამ მხრივ შემდგომი მოვლენები ასე ვითარდებოდა. ჩვენ ბულგარეთში მიგვიწვიეს ადგილობრივ ჟურნალისტებთან შესახვედრად. მე და ზაურ გომართელი — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ორგმდივანი — ბულგარეთში მარტში ჩავედით. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ რამდენიმე თვე იყო გასული, მაგრამ ბულგარელი ჟურნალისტების ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვლილიყო. გაიმართა რიგგარეშე ყრილობა, რომელმაც კავშირის ახალი გამგეობა და ხელმძღვანელობა აირჩია. ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირი რამდენადმე განსხვავდება ჩვენისაგან, უფრო პროფკავშირს ჰგავს, თუმცა შემოქმედების საკითხებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ, მაგრამ უპირატესად ჟურნალისტთა კადრების სწავლებით არის დასაქმებული.

გამოვედით ბულგარეთის ტელევიზიითაც და პრესაშიც, რამდენიმე შეხვედრა გვქონდა ჟურნალისტურ კოლექტივებთან.

შევთანხმდით, ბულგარეთისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირებმა უშუალო ურთიერთობა დაამყარონ სხვა ჟურნალისტთა კავშირის გარეშე. იმაზეც შევთანხმდით, რომ ბულგარელი ჟურნალისტები ყოველწლიურად ერთი თვით ჩამოვლენ მივლინებით საქართველოში, ორი ქართველი ჟურნალისტი კი — უვალუტო საფუძველზე — ბულგარეთში ჩავა ხოლმე. ასეთი გაცვლა ამ ზაფხულს დაიწყება. საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საერთაშორისო სარბიელზე გასვლა რამდენადმე ადრე დაიწყო. 1986-1987 წლებში ინტენსიური მოლაპარაკება გვქონდა ამერიკელ რედაქტორთა ჯგუფთან ჟურნალისტების უვალუტო გაცვლის თაობაზე; ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთებში მომუშავე ორი ჟურნალისტი ყოველწლიურად უნდა ჩამოვიდეს ჩვენთან. ისინი 3-6 თვეს იმუშავებენ ჩვენში. ამავე პერიოდში კი ორ ქართველ ჟურნალისტს გავგზავნით ხოლმე შეერთებული შტატების შესაბამის გაზეთებში. საბოლოოდ ასეთი შეთანხმება გვაქვს. მაგრამ ამ საქმეს ისიც ართულებს, რომ ვერ გამოვნახეთ ვერც ერთი ჟურნალისტი, ინგლისურად რომ წერდეს, ამერიკის მხარეს კი უკვე გამზადებული ჰყავს ჟურნალისტები, რომლებსაც რუსულად წერა შეუძლიათ.

ახლა მოლაპარაკება გვაქვს იმის თაობაზე, რომ ორმხრივი ურთიერთობა დავამყაროთ თურქეთისა და ისრაელის ჟურნალისტურ ორგანიზაციებთან.

— ჩვენ, მოწმენი კი არა, ასე ვთქვათ, თანაავტორებიც ვართ იმ ურთიერთობის თვისებრივად ახალი ხასიათის ჩამოყალიბებისა, რომელიც სულ უფრო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. პარტნიორობა ვითარდება, და ჩანს, რომ ყველა ესწრაფვის პრაქტიკულ დაახლოებას, ჟურნალისტების პირდაპირ და უშუალო კონტაქტებს?

— დიახ, თუ უცხოურ ჟურნალისტურ კოლექტივებთან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირურთიერთობის გაფართოებაზე ვილაპარაკებთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ 1986 წელს თბილისში იყო პოლონეთის პარტიული დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მეთაურობით; მის შემადგენლობაში შედიოდნენ გაზეთების „გლოს ვიბჟეჟა" (გდანსკი) და „გაზეტა კრაკოვსკას" (კრაკოვი) რედაქტორები. პოლონელებმა მოისურვეს ამ გაზეთების რედაქციებს ეთანამშრომლათ „ზარია ვოსტოკასთან". ჩვენ დავთანხმდით, და რედაქციაში გვეწვივნენ პოლონური გაზეთების წარმომადგენლები, „ზარია ვოსტოკას" თანამშრომლები კი პოლონეთში ჩავიდნენ.



პოლონეთის მხარემ შემოგვთავაზა ხელი მოგვეწერა სამუშაო ოქმისათვის რედაქციებს შორის შემოქმედებითი კონტაქტების განვითარების მიზნით თანამშრომლობის თაობაზე, რისთვისაც ყოველწლიურად უნდა გაგვეცვალა ორ-ორი ჟურნალისტი. გათვალისწინებული იყო, რომ მხარე, რომელიც მიავლენს ჟურნალისტებს, კისრულობს გზის ხარჯებს, ხოლო ჟურნალისტთა მასპინძელი მხარე კისრულობს მათი იქ ყოფნისა და ვიზიტის პროგრამის განხორციელების ხარჯებს. რედაქციები ამასთანავე ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას და პრობლემურ სტატიებს. ყოველი მხარე ასრულებს მეორე მხარის წინასწარ კონკრეტულ შეკვეთებს. თუ წინათ ასეთ კონტაქტებს მარტო „ზარია ვოსტოკას" რედაქცია ახორციელებდა, ახლა ამ პროცესში გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის ჟურნალისტებიც ჩაერთვნენ. ასე რომ, ყოველწლიურად პოლონეთში — კრაკოვსა და გდანსკში ჩავლენ „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" ჟურნალისტები, იქიდან კი ორი ჟურნალისტი გვეწვევა ხოლმე.

ეს კავშირურთიერთობა დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ამაში თვითონ დავრწმუნდი, როცა პოლონეთში ვიყავი. ჩვენი იქ ყოფნა პოლონეთში ქართული კულტურის დღეებს დაემთხვა. ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ეწყობოდეს ასეთი დღეები სხვადასხვა ქვეყანაში.

საქართველოს დღეები, რომელიც მაისში მოეწყო პოლონეთში, ვარშავაში გაიხსნა. ამ დროს კრაკოვში გახლდით, და უნდა მოგახსენოთ, რომ ადგილობრივ გაზეთებში თითქმის არავითარი ინფორმაცია არ ყოფილა ამ დღეების თაობაზე. მერე გდანსკის გაზეთებშიც შევამოწმე — ვერც იქ მივაგენი რამდენადმე გასაგებ ინფორმაციას. როგორც ვარშავაში გამართულ ამ დღეებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ჩვენი დელეგაციის წევრებმა მითხრეს, არც ერთ პოლონელ ჟურნალისტს არაფერი უკითხავს იმ ტრაგედიის თაობაზე, თბილისში რომ დატრიალდა 9 აპრილს. რაზე მეტყველებს ყოველივე ეს? იმაზე, რომ ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ასეთი დღეების გამართვის წინ კონკრეტული ამოცანები უნდა დავისახოთ ხოლმე. რას გვინდა მივაღწიოთ ამით, რა გვჭირდება, რას მოიგებს ჩვენი რესპუბლიკა ამ დღეების გამართვით. მე მგონია, ამგვარი დღეები წინასწარ უნდა მომზადდეს ხოლმე, ხალხი უნდა გაიგზავნოს ჯერ კიდევ დღეების ჩატარებამდე შესაბამისი ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირების, ამ დღეების გაშუქებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩართვისთვის. მაისში პოლონეთში ყოფნისას კონკრეტული მიზანი დავისახეთ — კოლეგების ინფორმირება 9 აპრილის ამბებზე. მანამდე თბილისში ამ საკითხების გამო მივიდა უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, მათ შორის სამი პოლონელიც იყო. ესენი გახლდნენ ტელევიზიის მუშაკები, რომლებიც სპეციალურ ფილმს ამზადებდნენ პოლონეთისათვის. სწორედ იმ დღეებში, როცა კრაკოვში ვიყავი, ეს ფილმი პოლონური ტელევიზიით უჩვენეს. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იქაურებზე. კრაკოვის გაზეთის ჟურნალისტები რამდენიმე საათს აღარ გვიშვებდნენ, კითხვები დაგვაყარეს, გვთხოვდნენ, დაწვრილებით გვეამბნა ყველაფერი. იგივე მოხდა გდანსკში, სადაც, როგორც იცით, განსაკუთრებით ძლიერი პოზიციები აქვს „სოლიდარობას". უნდა ითქვას, რომ ამ დღეებში პოლონეთი დიდი ისტორიული ამბების სარბიელია. ცნობილი „მრგვალი მაგიდის" შემდეგ, რომელზეც ოფიციალურად ცნეს „სოლიდარობა" და სხვა ოპოზიციური ძალები, დაიწყო პოლონეთის სეიმისა და სენატის წევრობის კანდიდატთა დასახელებისათვის ბრძოლა. კრაკოვშიც, გდანსკშიც, ვარშავაშიც ვნახეთ, რა აქტიურად ცდილობენ „სოლიდარობის" ჯგუფები თავიანთი წარმომადგენლების გაყვანას სეიმში. ყველგან გამოკრული იყო ფურცლები და პლაკატები, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ „სოლიდარობისა" და ოპოზიციის კანდიდატებისათვის.

გდანსკში მიგვიწვიეს პრესკონფერენციაზე. იგი ლეხ ვალენსამ გამართა, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა სტრასბურგიდან, სადაც ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლის პრემია მიიღო. მან გვიამბო, რატომ იყო სტრასბურგში, თქვა ისიც, რომ მაისის დემონსტრაცია ვარშავაში პოლიციამ გარეკა. მან ორივე მხარეს მოუწოდა, არ გამოიყენონ ძალა და დაიცვან ის შეთანხმება, რომელსაც ცნობილ „მრგვალ მაგიდასთან" მიაღწიეს. ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ არჩევნებისათვის მზადების დროს შეუწყნარებელია მეტოქეთა სახელის გატეხის მეთოდების გამოყენება. თვითონ ვალენსას ჟურნალისტებთან თავისუფალი, ლაღი საუბარი ჰქონდა.

როგორც ცნობილია, პოლონეთში არჩევნების პირველი ტური ოპოზიციის, კონკრეტულად „სოლიდარობის" უდავო გამარჯვებით დამთავრდა. შემდგომი ტური 18 ივნისს არის დანიშნული. მაგრამ დღესვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში დიდი გარდაქმნები მიმდინარეობს პოლონური საზოგადოების ღრმა დემოკრატიზაციის მიმართულებით.

— საუბრის დაწყებისას თქვენ ახალ „გაზეტა ვიბორჩაზე" ილაპარაკეთ. რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ რეგიონალური გამოცემების, ასე ვთქვათ, პერიფერიული პრესის როლი?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ისეთ გაზეთებს, როგორიცაა კრაკოვისა თუ გდანსკისა, ან, ვთქვათ, ამერიკის შტატებში გამომავალ გაზეთებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან თავიანთ რეგიონებში სწორედ ეს გაზეთები განსაზღვრავენ საზოგადოებრივ აზრს. ვთქვათ, ნიუ-იორკის, ვაშინგტონისა თუ ვარშავის გაზეთებს ნაკლებად კითხულობენ ადგილებზე, იქ პროპაგანდის ძირითადი ძალაა სწორედ ადგილობრივი გაზეთები, და მათთან ურთიერთობა არა მარტო ჰორიზონტს გაგვიფართოებს, არამედ იმის საშუალებასაც მოგვცემს, რომ აქტიური გავლენა მოვახდინოთ ქვეყნის ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონის საზოგადოებრივ აზრზე. კრაკოვშიც და გდანსკშიც დავინტერესდი ტელევიზიის როლით, განსაკუთრებით — „მრგვალი მაგიდის" შემდეგ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენთვის ბევრი რამ სასარგებლო მოვისმინე. კერძოდ, ტელევიზიას, გარკვეული დრო აქვს გამოყოფილი „სოლიდარობისა" და პოლონეთში მოქმედი სხვა ოპოზიციური ძალების პოზიციის გასაცნობად, მგონია, ჩვენშიც, საქართველოშიც დადგა ის დრო, როცა უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ტელევიზია და გაზეთები, — გარკვეული დრო და ადგილი დავუთმოთ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის პოზიციის გადმოცემას, დისკუსიებს.

— ეს უკვე კეთდება თბილისის ტელევიზიაში. მე მგონია, იმაზე მნიშვნელოვანი არა არის რა, ვიდრე ის, რომ ვიმსჯელოთ ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესების საკითხებზე, მის მისაწვდომობასა და გაცვლაზე, აგრეთვე ამ სფეროში თანამშრომლობის პრობლემებზე. ათწლეულების განმავლობაში გვაჩუმებდნენ, და თუ სიტყვას იძლეოდნენ, მხოლოდ ერთი მხარისათვის. შეზღუდვა შეზღუდვას შობს, და, ჩვენდა სავალალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საბოლოოდ ზარალობს არა მარტო ოპერატიულობა, არამედ მოვლენათა ასახვის სიზუსტეც და ობიექტურობაც. როგორ გავარღვიოთ ეს მოჯადოებული წრე? მე მესმის, რომ ეს მარტოოდენ პრელუდიაა მომავლისა. მაგრამ რამდენად ახლოა ეს მომავალი?

— სამწუხაროდ, ჩვენში გაუმართლებლად ჭიანურდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პერიოდული გამოცემის ორგანიზაცია. ასეთი გაზეთის გამოცემა საშუალებას მოგვცემს ხალხს გავაცნოთ სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანების პოზიციები, საჯაროდ ვიკამათოთ, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით, დავბეჭდოთ ის, რასაც ჯერჯერობით, ვთქვათ, „კომუნისტში" თუ „ზარია ვოსტოკაში" ვერ დაიბეჭდება. მართალია, ამ ბოლო ხანს ჩვენი პრესა რამდენადმე გალაღდა. სავალალოა ამის აღიარება, მაგრამ ამას ხელი შეუწყო 9 აპრილის ამბებმა, დასკვნებმა, რომლებიც ამ ამბებიდან გამოვიტანეთ, [illegible] — დასკვნები უნდა გამოვიტანოთ... რადგან ინფორმაცია, თუ იგი ალალ-მართალი და ყოველმხრივ შემოწმებული არ არის, ვნებას აყენებს ჩვენს საერთო საქმეს და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნისა და საჯაროობის დამკვიდრების პროცესს.

კიდევ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და იმის თაობაზე, თუ როგორ მესახება მისი მომავალი მუშაობა. მთელი ეს მოგზაურობანი, უცხოელ კოლეგებთან საუბრები სულ უფრო მარწმუნებს, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს შეუძლია და დროთა განმავლობაში უნდა გადაიქცეს კიდეც დამოუკიდებელ ძალად, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე გავა არა სხვა ჟურნალისტთა კავშირის მეშვეობით, არამედ, თვითონ, დამოუკიდებლად. მაგრამ იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ, კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ განვამტკიცოთ ჩვენი კავშირის ეკონომიკური ბაზა. მხოლოდ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, საკუთარი ვალუტის სახსრები მოგვცემს დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიას. ამ მხრივ, როგორც კი ამირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ, კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით. მალე ჩვენს უახლოეს პლენუმზე დაწვრილებით მოგახსენებთ ჟურნალისტებს, რა გაკეთდა უკვე, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ დღეებში ამერიკის უდიდეს კორპორაციასთან „სეიბი კორპორეიშენთან" ერთად დავამთავრეთ ერთობლივი საწარმოს შექმნა; ეს საშუალებას მოგვცემს უკვე მალე მივაღწიოთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, არა მარტო დამოუკიდებლობას, არამედ ჩვენი კავშირის ყველა წევრის გარკვეულ ეკონომიკურ კეთილდღეობასაც. ზემოხსენებული კორპორაცია დაბინავებულია ქალაქ სიეტლში და ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი კომპანიაა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთის სანაპიროზე. მისი ძირითადი პროფილი და საქმიანობის მიმართულებაა დიდი ადმინისტრაციული შენობებისა და სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, ვაჭრობისა და კულტურის საქალაქო ცენტრების შექმნა და კეთილმოწყობა, დიდტოქსიკური საწარმოო ნარჩენებისა და ქალაქის ნაგვის გაუვნებლობის მეთოდების შემუშავება და დანერგვა, ფართო პროფილის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, აგრეთვე (ეს არის ჩვენთვის მთავარი) პოლიგრაფიული ბაზისა და ბეჭდვითი პროდუქციის წარმოება. ჟურნალისტთა კავშირთან ერთობლივი საწარმოს შექმნას მარტოოდენ პირადი ურთიერთობისა და სიმპათიების ნიადაგზე მივაღწიეთ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხოლმე ჩვენი ამერიკელი პარტნიორებისათვის. ეს ჩვენი ერთობლივი საწარმო საშუამავლო ფირმა ხდება საქართველოში ამ ამერიკული კორპორაციის მთელი საქმიანობისათვის, მას კი ჩვენი რესპუბლიკის მიმართ დიდი და მიმზიდველი გეგმები აქვს. და კიდევ ერთი.

მე მგონია, დროა, კავშირში მთავარ როლს ასრულებდნენ არა ფუნქციონერი ჟურნალისტები, როგორც ამჟამად არის, როცა კავშირის პრეზიდიუმში და გამგეობაში უმრავლესობას სხვადასხვა გამოცემის რედაქტორები შეადგენენ, არამედ რიგითი ჟურნალისტები, განსაკუთრებით შემოქმედებითი პოზიციების განსაზღვრისას. არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ აზრთა მრავალფეროვნება იქნება, იმასაც კი ვიტყვი, რომ თვით კავშირშიც უნდა შეიქმნას სხვადასხვა ჯგუფები, ასოციაციები, რომლებიც სხვადასხვა მიზნებს დაისახავენ, ყველაფერი ეს ხომ საბოლოოდ ერთ მიზანს ემსახურება — საქართველოს აყვავებას, მისი სუვერენიტეტის, დემოკრატიული პოზიციების განმტკიცებას, საჯაროობისა და პლურალიზმის განვითარებას, ურომლისოდაც, ღრმად მწამს, შეუძლებელია წინსვლა, შეუძლებელია ისეთი საქართველოს აშენება, რომელზეც ჩვენ ვოცნებობთ.

# ბუნება ხიზანისა

ლია არჩვაძე

ოთარ ჭილაძის რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს. იგი იმ შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნება, რომელნიც დაუზოგავად ხარჯავენ შემოქმედებით ენერგიას, სიმართლისმთქმელის სიჯიუტითა და პატიოსნებით ემსახურებიან ერსა და ქვეყანას.

ლიტერატურათმცოდნეები ხშირად მიუთითებენ ოთარ ჭილაძის ისეთ დიდ მწერლებთან მსგავსებაზე, როგორებიც არიან დოსტოევსკი, ფოლკნერი, მარკესი და სხვა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ოთარ ჭილაძე უპირველესად, ქართული ფენომენია, — ერის წარსულსა და დღევანდელობაში ღრმად ჩახედული, ქართულ ზღაპარსა და მითოსზე აღზრდილი, ილია ჭავჭავაძის გზის ღირსეული გამგრძელებელი. მისი რომანების თემატიკა იმდენად რთული და მრავალფეროვანია, რომ ძნელია დადგენა, რა არის მთავარი და რა არამთავარი. რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" ცხოვრებისეული და ფილოსოფიური, სადღეისო და სახვალიო, მითი და რეალობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ეროვნულ-ზნეობრივი კი ის ნიადაგია, რაზეც აშენებულია ოთარ ჭილაძის ლიტერატურული ქვეყანა.

ვინც დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს, შეუძლებელია არ შეემჩნია, რომ ქართველი მწერლების ერთი ნაწილი და, მათ შორის, ოთარ ჭილაძე თავისი შემოქმედებით დიდი ხანია ხალხთანაა და ტრიბუნაზე დგას, რადგან იმასვე აკეთებს, რასაც ორატორი ტრიბუნაზე, გლეხი — მიწასთან ჭიდილში და მეომარი — ბრძოლის ველზე.

რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" უძრაობის პერიოდში დაიწერა და გამოქვეყნდა, რაც შემოქმედის უკომპრომისობასა და სიმართლის ერთგულებაზე მეტყველებს. რომანის კვალდაკვალ მეტად საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ, მაშინ, ჩვენდა სავალალოდ, აზრადაც არავის მოსვლია ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ჩაღრმავებოდა და მწერლის ვარაუდის სისწორე ცხოვრებასთან მიმართებაში შეემოწმებინა. პირველი და უმთავრესი კი რომანში ისაა, რომ კოლხეთის მეფემ მძიმე შეცდომა ჩაიდინა, როდესაც უყოყმანოდ და შეუმოწმებლად უცხოს კარი გაუღო და შვილივით შეიფარა. რომანის მკაცრ ლოგიკას შორს გავყავართ ჰუმანიზმის მსოფლგაგების საზღვრებიდან: ცხოვრებამ ჰუმანიზმისა და ჰუმანურობის მოთხოვნილებასთან ერთად მისი საზღვრების დადგენის აუცილებლობაც წარმოშვა. სამწუხაროდ, დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც ისევ ცალმხრივად გაგებული ჰუმანიზმის დროშით გამოდიან, არ დაგიდევენ არც ისტორიის მწარე გაკვეთილებს და არც ჩვენს დღევანდელ სავალალო მდგომარეობას. „ვაი მათ, რომლებიც ბოროტს კეთილად და კეთილს ბოროტად წარმოაჩენენ" (ესაია 5. 20).

ოთარ ჭილაძის რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" ურთულეს საკითხთა და პრობლემათა რკალში შევყავართ. ეს რომანი უაღრესად ეროვნული სახიათის მოვლენაა და, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობითა და აზრითაა სავსე. „როგორ ჰგავს ყველაფერი ოკეანეს" — წამოიძახა თურმე ერთხელ დოსტოევსკიმ. დოსტოევსკის ნათქვამი რომ გავიმეოროთ, აზროვნების სიღრმისა და აქტუალობის თვალსაზრისით ო. ჭილაძის რომანი უკიდეგანო ოკეანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ბევრ ისეთ მტკივნეულ საკითხსა და პრობლემას წარმოაჩენს, რომელთა ერთი ნაწილის წარმოშობის მიზეზი ადამიანის ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ.

ჩვენ, ამჯერად ჰუმანიზმის პრობლემებზე გვინდა შევჩერდეთ, რასაც უშუალოდ უკავშირდება მწერლის მსჯელობა ხიზნის ბუნების შესახებ. ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა ქართველს არა მარტო საქმედ, არამედ თავის უპირველეს ადამიანურ მოვალეობად უქცევია, მაგრამ თავად არაერთხელ გამხდარა უბედური იმის გამო, რომ უზომოდ კეთილს, მიმტევებელს, კაცთმოყვარესა და ჰუმანურს, თავისივე ჰუმანიზმი, თავისივე საწინააღმდეგოდ შემობრუნებია. დღევანდელმა ცხოვრებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ეს პრობლემა მეტად მტკივნეულად დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე, არის ცდა ჰუმანიზმის ჭეშმარიტი გზისა და არსის დადგენისა, მაგრამ რატომღაც ფსიქოლოგიური ფაქტორები კვლავ განზე გვრჩება.

სინამდვილისადმი ერთგვარად შერბილებულმა დამოკიდებულებამ წარმოშვა „სენტიმენტალური ჰუმანიზმი", რასაც დაუპირისპირდა ზნეობრივი უშელავათობა, რაც ასე მძაფრად გამოვლინდა ო. ჭილაძის შემოქმედებაში. 60-იანი წლების ქართულმა ლიტერატურამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ჰუმანიზმის ცნება. სინამდვილე, თავისი გადასხნილი ჭრილობებით მწერლისათვის ის მასალაა, რასაც ხელოვნების სამყაროში შევყავართ, იქ, სადაც ყველაფერს თავისებური, ამ სამყაროსათვის დამახასიათებელი ადგილი და კანონზომიერება აქვს.

„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", ჩემი აზრით, 70-იანი წლების სხვა ყველა მოვლენაზე უფრო აშკარად, ყველაზე უფრო მეტი პოლემიკური სიმძაფრით უპირისპირდება გასული ათწლეულის ახალი პროზისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ჰუმანურ პათოსს" (გ. ასათიანი).

ოთარ ჭილაძემ ფაქტიურად ახალი მითი შექმნა, როდესაც აილო თქმულება „არგონავტებზე". ამ ნაწარმოების შექმნას საფუძვლად ცხოვრების ტიპიური მაგალითები დაედო და ამ ტიპიურს „შეეწირა" მითი, წარმოსახვა და, წარმოიდგინეთ, თვით ზღაპარმაც კი მოირგო სინამდვილის ჩარჩო. სწორედ ამ სინამდვილის ფონზე წავიკითხეთ ადამიანთა ტრაგიკული ხვედრით აღსავსე ცხოვრების გზა...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კოლხეთის ძლიერმა მეფემ უპატრონო ბიჭი შეიფარა. მისი თავგადასავალი რომ გაიგო, „გული აუჩუყდა, ეს რა ხალხი ყოფილა, ასეთი ბიჭი მართლა არამია მათთვისო. მერე თავისი შვილები ქარისა და აფრასიონი მიუყვანინებია და უთქვამს: დღეიდან სამნი ხართ, აბა თქვენ იცით, უცხოობა არ აგრძნობინოთ". „უპატრონო ბიჭმა" კოლხეთში ოცდახუთი წელი გაატარა. ამ წლების მანძილზე ფრიქსე კეთილმოსურნეებით იყო გარშემორტყმული, განსაკუთრებით აიეტს უყვარდა და შვილებში არ არჩევდა. მალე აიეტი ფრიქსესა და ქარისას შვილების ბაბუაც გახდა. „ფრიქსეს ყველანი კარგად ექცეოდნენ", ის კი, თურმე, თავისებურად ხსნიდა და აფასებდა მოვლენებს, მასაც თავისი სიმართლე ჰქონდა და ეს სიმართლე ღრმად გვახედებს „ადამიანის კი არა, ხიზანის ბუნებაში". ამ კონტექსტში ავტორი მიგვანიშნებს, რომ ადამიანი ხიზანთან არ უნდა გაიგივდეს. „ხიზანის ბუნებაც ხომ ასეთია: ის, რა თქმა უნდა, მადლობელია პური რომ გაუყავი, ჭერქვეშ რომ შეიფარე, ცეცხლთან ადგილი გამოუნახე, მაგრამ, ამავე დროს, გული შურით ევსება, რადგან მას არც საკუთარი პური, არც საკუთარი ჭერი და არც საკუთარი ცეცხლი გააჩნია. მართალია, შენ (მისი შემფარებელი) ამაში სრულებითაც არ ხარ დამნაშავე, მაგრამ მისი ფარული სიძულვილი უმთავრესად შენსკენაა მომართული, რადგან შენ გაქვს ის, რაც შეიძლება მასაც ჰქონოდა და თუ კი ასეა, მაშინ ბუნებრივად იბადება მის აფორიაქებულ გონებაში ამგვარი კითხვაც, რატომ გაქვს შენ და არა მას?... ოჯახში შემოსული უცხო კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენს მზეს მაინც არასოდეს დაიფიცებს, რადგან შენს მზეს თავისი გოგრის თესლი ურჩევნია და ვიდრე შენთან მოვიდოდა, თავისი მზე ჰქონდა და ახლა ის მზე, რომელიც სადღაც ისევ არსებობს, სიშორისა და მიუღწევლობის გამო, ახმაგად საყვარელი და სანატრელი გახდომია. შენი მზე იმ მზეს ვერასოდეს ვერ შეცვლის. გახსენებით კი გაახსენებს და უაღრესად დაახევდიანებს, გააბოროტებს. ის შენს მზეს უყურებს და თავისი მზე უდგას თვალწინ, შენს პურს ჭამს და თავისი პური ენატრება, შენს წყალს სვამს და თავისი წყაროს ჩუხჩუხი ესმის, რადგან ასეთია ადამიანის ბუნება, ადამიანის არა, ხიზანისა".

აიეტი ნაწარმოების ერთ-ერთი შთამბეჭდავი სახეა. იგი სამშობლოს ძლიერებაზე ზრუნავს. კოლხეთის მეფე ტრაგიკული პიროვნებაა. ერთი შეხედვით, მისმა უმნიშვნელო შეცდომამ ქვეყანა დაღუპა. აიეტის ფიქრი, დიალოგი საკუთარ სინდისთან მის პიროვნებას ძალმოსილების და სულიერი ძალისხმევის უჩვეულო სიმძაფრეს ანიჭებს. მისი მორალური მრწამსი, ეთიკური რწმენა იქითკენაა მიმართული, რომ კარზე მომდგარ მათხოვარშიც „მოყვასი" დაინახოს და შეიფაროს. კეთილი ზნეობრივი იმპულსი მისი არსებობის გამართლებაა, რაც ერთდროულად მისი ძლიერებაცაა და სისუსტეც. ჰუმანიზმი სიკეთესა და კაცთმოყვარეობასთან ერთად გულისხმიერებასა და სტუმართმოყვარეობაში ვლინდება, რაც აიეტის ბუნებას, ერთი მხრივ, ასე კარგად წარმოაჩენს. აიეტს უჭირდა შეცდომად ეღიარებინა ის, რასაც ადამიანის მოვალეობად თვლიდა. „მოტყუებულს და გაწბილებულს ვინმე უპოვარი და უსახლკარო რომ მოსდგომოდა კარზე, დაუფიქრებლად მიიღებდა და სანამ რამეს გამოჰკითხავდა, ჯერ დააპურებდა. ასეთი იყო მისი ბუნება და ვეღარაფერი ვეღარ შეცვლიდა, ანდა რაღა დროს გადასხვაფერება იყო ამ სიბერეში". აიეტის სახეს თუ ჩავუღრმავდებით, შემდეგ დასკვნას გამოვიტანთ: როცა შენი ქვეყნის სადავეები ხელთ გიჭირავს, გულისაჩუყებისათვის დრო აღარ უნდა გრჩებოდეს. ერთი გაუთვალისწინებელი შეცდომა საბედისწერო შეიძლება გამოდგეს.

კოლხეთის მეფის დამხობის შემდეგ მის ქვეყანაში ოყაჯადო გამეფდა. შინაურმა აშლილობამ, რითაც გარეშე მტრებმაც ისარგებლეს, დაარბია კოლხეთის სამეფო: „ნათქვამია, ცხენს პატარა კოლოც მოერევა, თუ დიდი მგელი მიეშველებაო, ასედაც მოხდა. დაუშრეტელი მდინარის ნაპირები შურისმაძიებლებით გაივსო. ბევრი მათგანი შორს, ღვინისფერი ზღვის ოთხმოცდაათქალაქიან კუნძულზე დაბადებულიყო, მაგრამ მშობლებს ბავშვობიდანვე ისე ჩაენერგათ დაკარგული მიწის სიყვარული, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ სიყვარულის გამომჟღავნებაში". მწერალმა გააშიშვლა ტირანული სახელმწიფოს მექანიზმი, გვიჩვენა მისი არსი, რომელიც ძირითადად ძალმომრეობაზეა დამყარებული. ქვეყანაში, რომელიც ოყაჯადომ შექმნა, უკანონობა კანონის ძლევამოსილებას იძენს, უსამართლობა სამართლიანობად გვევლინება. მისი „სიბრძნე" მიმართულია იქით, რომ არ გამომჟღავნდეს. ამიტომაც ინიღბება საგულდაგულოდ, რადგან იცის, რაც უფრო დახვეწილად შეინიღბება მისი უსამართლობა, მით უფრო უკეთესი და დახვეწილი იქნება მისი პოლიტიკა, მოჩვენებითობა, სიცრუე, სიყალბე, ყველგან ნიღბები, ნიღბების სამფლობელო. სიცრუე ყველგან ყოვლისმომცველი ხდება, უმცირესობა უმრავლესობის მართვის იარაღად და საშუალებად გვევლინება. რა თანასწორუფლებიანობასა და სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, სადაც ყველაფერს მხოლოდ ტლანქი, უხეში ძალა, მხოლოდ დესპოტური თვითნებობა, ძალადობა და უკანონობა წყვეტს. ო. ჭილაძე გვიჩვენებს, თუ როგორ ყალიბდება ერთგვარი მოჩვენებითი თუ პირობითი სისტემა, რომელიც ადამიანებს თიშავს.

რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" დიდი ეპიკური ნაწარმოებია, რომელიც მთლიანად სიმბოლიზებული და მეტაფორიზებულია. იგი ახალი კუთხით გვიჩვენებს, თუ რა არის ნამდვილი ჰუმანიზმი, განა შეიძლება არ აგაღელვოს და დაგაფიქროს ფრიქსეს სახემ, რომელსაც „შენი ხელგაშლილობა თრგუნავს და უფრო ზრდის იმ ვალის სიდიადესა და სიმძიმეს, რომლის განაღდებასაც შენ არ ელოდები. მაგრამ „ვალი" თავისთავში ანაზღაურების აუცილებლობასაც გულისხმობს. ამგვარი „ვალი" კი უმთავრესად ისე ნაზღაურდება, როგორც ფრიქსეს ვაჟებმა აანაზღაურეს ბოროტებით. ღალატითა და სისხლით, რათა თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ, კეთილსა და შემბრალებელს დაგიმტკიცონ, რომ ისინიც რაღაცას წარმოადგენენ, რომ მთლად სამოწყალოდ არ გახდომიათ საქმე. პირიქით, ისინი ისე გაგიხდიან საქმეს, შენ თვითონ რომ დაგჭირდეს ახლა მოწყალების თხოვნა". ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბები, რომელთაც სიმბოლოებით წარმოსახავს მწერალი, გვიხსნის მთავარ სათქმელს: იმ ქვეყანაში, სადაც ოყაჯადო მეფობს, არ შეიძლება დარიაჩანაგის ბაღის არსებობა. დარიაჩანაგის ბაღი სიკეთის, მშვენიერების, სიყვარულის სიმბოლოა, რომელიც ბოლოს ლამაზი სიზმარივით ქრება. ძალმომრეობა და ბოროტება კლავს სილამაზეს. არადა, ყველაფერი კეთილი განზრახვით დაიწყო. ოთარ ჭილაძის მხატვრულ სისტემაში სიკეთე და სილამაზე იდენტური ცნებებია (დარიაჩანაგის ბაღი), მაგრამ მწერალი შორსაა იმ აზრისაგან, რომ სიკეთე და, მით უმეტეს, სილამაზე, გარდაქმნის ქვეყნიერებას, მოსპობს ბოროტებას. სიკეთე, ამ შემთხვევაში, გარკვეული მნიშვნელობით კარგავს თავის ძირითად ფუნქციას. მან ადამიანის და კეთილშობილების ნაცვლად გაბოროტება გამოიწვია. აიეტისა და ფრიქსეს დაპირისპირებულობამ გვიჩვენა ღრმა უფსკრული, რომლის გაჩენის მიზეზი ფსიქოლოგიური ფაქტორებით აიხსნება, რის გაუთვალისწინებლობასაც სავალალო შედეგი მოაქვს. თვითანალიზი, რომელსაც მწერალი მიმართავს, გმირთა ფსიქოლოგიის გაცნობიერებაში გვეხმარება.

საზოგადოდ ო. ჭილაძის რომანებში მოქმედება წარსულ დროშია გადატანილი, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე კი არ ჩერდება, მას თავისთავად ისტორია კი არ აინტერესებს, არამედ პიროვნების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესს გვიჩვენებს. რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" მრავალი საჭირბოროტო, აქტუალური პრობლემის კვლევას მოითხოვს. რომანში ზოგადად იკითხება: ცივ გონებას, რომელსაც გრძნობა არ ასაზრდოებს, შიშს, რომელიც ყოველივე [illegible] სიკეთესა და [illegible], რომელიც ადამიანის წინააღმდეგობას აკარგვინებს, [illegible] შეუძლია. არაფერი არ იკარგება ბუნებაში უკვალოდ, სახედრის ჩლიქზე აკრულ ბალახსაც თავისი აზრი და დანიშნულება აქვს. ბუნება მოწესრიგებული, კანონზომიერი, გულგრილი, ადამიანი მოუწესრიგებელი, უბედურებით გაბედნიერებული და ბედნიერებით გაუბედურებული, მოუსვენარი, მუდამ გზად მიმავალი.

ერის ცხოვრების კრიტიკულ მომენტში ქართველი ყოველთვის იმედის თვალით უყურებდა მომავალს. გასამხნევებლად, ჭკუის სასწავლებლად მწერლობას მიმართავდა და გულისყურით უსმენდა მას: „შევუნდო შემცოდეთა თუ შევაკვდე?" — კითხულობს ალ. ყაზბეგი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება ნათელი მაგალითია ეროვნული თვითგამორკვევისათვის უშელავათო და უკომპრომისო ბრძოლისა. ალ. ყაზბეგმა გარკვევით მიგვანიშნა, რომ ხანჯალი უპირველესი იარაღია ბოროტების დასათრგუნავად. „სანამ ქვეყნად ბოროტება არსებობს, სიკეთემ მახვილი არ უნდა გადააგდოს", რასაც აქამდე ჰუმანიზმად ვთვლიდით, ის შეიძლება ჰუმანიზმი სულაც არ იყო. ადამიანი თუ გიყვარს, მას სიმართლე არ უნდა დაუმალო. ამიტომაცაა, რომ ო. ჭილაძის მთავარი ფიქრი და საზრუნავი ადამიანია, რომელიც ახალი კუთხიდანაა დანახული. მწერლის თვალი კი მკაცრი და ყოვლისმხილველია.

ოთარ ჭილაძის პროზისათვის დამახასიათებელია მორალისტური სენტენციები, რომელთაც მკაფიო გამოვლინება ჰპოვეს მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსებთან. ავტორი ზოგჯერ პირდაპირ აფრთხილებს, ასწავლის მკითხველს, მაგრამ ეს მორალისტური სენტენციები, განყენებული სახით კი არაა წარმოდგენილი, არამედ მოქმედების, ადამიანის სულში მომხდარი ცვლილებების შედეგადაა გამოტანილი. აიეტის სამეფო ხომ ბრმა ჰუმანიზმმა დაღუპა.

ოთარ ჭილაძის პროზა სულის შინაგანი მეტყველების გამოხატვაა. იგი თავისი პერსონაჟის სულიერი ცხოვრების სიღრმეს გვიჩვენებს. ოყაჯადო, კუსა და ცუცა, — აი, ბოროტების სამკუთხედი, რა თქმა უნდა, თუ ბოროტებას შეიძლება სამკუთხედი ჰქონდეს, ის დღეიდან მათი სახით წარმოგვიდგება. ოყაჯადოს ქვეყანა სარეველას ამრავლებს, აქ ბავშვებს მათრახებით უმასპინძლდებიან, რათა გაფრენის სურვილი მოუსპონ, მაგრამ თავისუფალი აზრის შეჩერება შეუძლებელია, ის, რაც ფარნაოზმა ვერ შეძლო, მისმა შვილმა გააკეთა.

წარსულის მწარე გაკვეთილები მომავალს გვინათებს, სწორედ ამ განწყობილებითაა შექმნილი რომანის ფინალი, რომელიც შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია თავისი ღრმა ტრაგიზმითა და პოეტურობით. ო. ჭილაძე პიროვნების განწირულობის, მისი არსებობის აბსურდულობის შეგრძნებასთან ერთად იძლევა მისი მარადისობის, წარუვალობის, განუმეორებლობის დამკვიდრებას. ადამიანი მთელი არსებით მოწოდებულია მიზნის მისაღწევად თავგანწირული ბრძოლისათვის და ვისაც ეს თვისება არ გააჩნია, იგი აუცილებლად დაიღუპება. ფარნაოზმა ტაძართან რომ მიირბინა, იქ უკვე სისხლის გუბე აღარ იდგა, რადგან მიწა ეყარათ. „ტაძარს ზურგი შეაქცია, იქვე, მიწაწაყრილ გუბესთან ჩაჯდა და სველ მიწას ხელი ისე ფრთხილად გადაუსვა, თითქოს ეშინოდა, არ გასხლტომოდა მიწას. მიწის სიგრილემ მთელს ტანში დაუარა, სველი ხელისგული სახეზეც ჩამოისვა და თითებზე მიწებებულ თმას სული შეუბერა, ჰაერის ნაკადმა თმა დააბზრიალა და მაღლა წაიღო, ასე ცახცახითა და ტრიალით ასცდა ტაძარს, გვერდზე გაუსხლტა ჩამოქროლილი ჩიტების გუნდს, გაცრეცილ ღრუბლებში გაძვრა და მზეს მიაშურა".

# პოეზია

## ტაგუ მეგურიშვილი

### მართლა რომ მოხდეს

რომ მესმის, იგი მართლა რომ მოხდეს,
მართლა რომ მოხდეს, მართლა,
ო, მართლა,
თვით სიკვდილსაც კი — იმ წამს რომ
მოვკვდე—
ჩემს ბედისწერას ჩავუთვლი მადლად.

ელირებოდა სიცოცხლე თუმცა
მერე,
ნანატრი იმ წუთის მერე,
გამრთელდებოდა ნაკუწ-ნაკუწად
ქცეული ჩემი ამერ-იმერი.

მაგრამ რაც მესმის, მოხდეს ოღონდაც
და იზეიმონ თუნდაც უჩემოდ,
ცადამაღლება მოსდევს გოლგოთას
ერის დუმილო და სიმუნჯეო.

რა ეყურება ეს ჩემთა ყურთა,
მოკვდი მტერო და იხარე, ჭირო,
შენ, ეჭვო, რაო?
რატომ არ უნდა
ვიწამო მართლა და დავიჯერო?!

თვით სიკვდილსაც კი.—ახლა რომ
მოვკვდე, —
ჩემს ბედისწერას ჩავუთვლი მადლად,
რომ მესმის, იგი მართლა რომ მოხდეს,
მართლა რომ მოხდეს, მართლა,
ო, მართლა!

### რა დროს სიკვდილზე წერაა...

ღმერთი გამიწყრა ნეტავ, რას ჰგოდებ
ანდა რად ებრძვი უხმლო ხმლიანებს?!
რა დროს სიკვდილზე წერაა, ოდეს
ორი სიცოცხლე თავს დაგფრთხიალებს?!

თუ შენმა სისხლმა მოასწრო უკვე
შვილიშვილებად მერმისში გაჭრა,
მაშინ შენს იღბალს ძალლი არ უყეფს
და სამდურავი არა გაქვს არც რა.

დავდე კალამი და ჩავიკარი
ორივე ხელით ცხოვრება მკერდში,
ვერ მომტეხს რტოებს ასი გრიგალიც,
მე ღონე ამათ ძარღვებში მერჩის.

### ვერ გადავდგამ

რომ ვარ,
მინდა ვიყო აქაც,
მინდა ვიყო იქ, იქ, იქაც...
კაყურადო ლელს და ლაქაშს,
წელში ქარი როცა ზნიქავს.

კიდევ იქით—თავფარავნის
ტბასთან მინდა ჩოქვით ვვლიდე;
რომ ვფარავდი,
რას ვფარავდი,
პირს რად მედო შიშის კლიტე?!

შენი, ასგზის შენი როა,
არ თქვა,
კრინტი არ დაძრაო...
დიდხანს ვდუმდი,
დროა, დროა,
ჩემი როა, გითხრა, ძმაო,

ქართლი — ზემო, შუა, ქვემო,
მესხეთი თუ ჯავახეთი...
სანახევროდ როა ჩემი,
დარდით
მიტომ გავნახევრდი.

ყველგან მინდა ვიყო, სადაც
დაგვდენია სისხლის თქეში.
მერე იმ სისხლს სვავი სვამდა
თმოგვში,
გომში,
სამშვილდეში...

ვერ გადადგამ ნაბიჯს ვერსად
საქართველოს მთა და ბარში,
რომ მშობლიურ მიწის კვნესა
არ გეძგეროს, როგორც ბარჯი.

### მაინც ვარამად დამირჩი

თუმც გამსუბუქე, ვარამო,
ცოტა —
ხან ღვინით, ხან ლუდით,
მაინც ვარამად დამირჩი,
მაინც არ გასიხარულდი.

თავს ისე მომაჩვენიბდი
მთვრალს,
თითქოს მართლა განქარდი,
რა ერთგულებას მიმტკიცებ,
ფეხს რო არ იცვლი აქამდი.

შენი რიდი აქვს, სულს ლხენა
გაურბის,
არ ეკარება.
რა გაავებულ ძაღლივით
აბიხარ გულის კარებთან?!

ერთ ხანს წადი... და თუ ასე
გიყვარვარ,
კვლავაც მეწვიე.
რაკი ჩემს მუდმივ ხიზანად
გაუჩენიხარ ზეციერს.

### საკუთარ თავის ცოდვაში ჩადგა

სულხან აბდალაძეს

უყვარდა დარი და თაკარა მზე,
ფიქრის ჩიტები გულზე ესია...
და აბოდებდა ამ ქვეყანაზე
მხოლოდ სამშობლო და პოეზია.

მიუშვა სულის ხუთვა თუ კუთვა
ლექსში, მას ლექსი თავსაც
ერჩივნა,
რა არ იღონა, რა, რომ საკუთარ
თავში პოეტი გადეერჩინა.

თვისსავ სიცოცხლეს ჩაუდგა
ჯინში,
რომ ვერ ეჯობნა სიცოცხლის
ჯადოს...
და გოლიათი სიკვდილის შიში
სნეულმა ორთავ ბეჭებზე დადო.

შენდობას თხოვდა სულით
ობოლი
უფალს და დღეებს თითებზე
დათვლილს...
და წინათგრძნობის
ლახვარსობილი
აღსასრულის გზას ეძებდა
სანთლით.

გზა მოწამეთა, და მოწამეთა
ჰქონდა საფიცარ სალოცავი და
ვინმეს ცოდვაში ერთი წამითაც
კი არ ჩამდგარა, ისე წავიდა.

უკანასკნელ გზას დაადგა, რადგან
ურჩს გზა მორჩილად ფეხქვეშ
ეგება,
საკუთარ თავის ცოდვაში ჩადგა,
რომელიც მადლიც იყოს ეგება.

### სულაც არ მიკვირს

სულაც არ მიკვირს, —
რახანია,
ძილგამკრთალებო —
რომ არ იხრჩვებით .
ჩემს მდუღარე ცრემლში,
თვალებო...
არ მიკვირს, ჩემო ყურთა სმენავ.
რომ არ მეხშობი,
ამდენ ქვადქცეულ სიტყვის
შესობით.
ღმერთმა იმიტომ შემარჩინა
მე თქვენი თავი,
რომ ეს საწუთრო—ჭირით,
ლხინით,
თეთრით და შავით —
ოთხივე სარკმლით შემოჭრილი
სულში ბრუნავდეს
სხვა დასაწყისის მომნიჭებელ
აღსასრულამდე.

## დილარ ივარდავა

●

ახვეტავს ქარი
შემოდგომის გაცრეცილ ფოთლებს
და წისქვილივით
ყვითელ ფერში დაატრიალებს,
მინდვრის სიმშვიდეს
დაერევა ღელვით და შფოთვით
და მწვერვალებზე
ზამთრის ზარებს დააწკრიალებს!
დაჟანგულ ტყეებს
თვლემა-რული წაეკიდება,
სიცივეში და ძილ-ბურანში
დრო გაილევა,
გაძარცვულ მინდვრებს
ყინვა-სუსხს და ჭირხლს დაჰპირდება,
და სამომავლო გაუჩნდება
მზესაც დილემა!
მაფორიაქებს ეს დრო-ჟამი —
მკაცრ დღეთა დედა,
თავგადამკვდარი ხვალის ზრუნვით,
ხვალეზე დარდით,
ამგვარ წუხილში მშობლიურს და
ახლობელს ვხედავ.
და მეჩვენება გამჟღავნებად
ჩემი სიცხადის!

●

ჭაობებში თხმელები
ჩაფრენილან კლანჭებით;
ყვითელ ციებ-ცხელებით
რაზე კვნესის ლარჭემი?!
გაუგონარს სრულიად
ჰყვება მძაფრი ფერებით,—
თურმე პაპის სულია
ამ ლარჭემის ბგერები!

●

აკაკუნებს ეს კოდალა მორზე,
დაეუფლა პირველყოფილ მორზეს!
არ ღალატობს გუმანი და ალღო!
ჰა, მიაგნო თავის ბგერას თმენით,—
შენ კი, გულო, მითხარი, რას
ნაღვლობ,
უკაკუნე ხვალის კარებს რწმენით!
უკაკუნე, ხმა დაირხეს მძაფრი,
ტრიალებდეს ტყეში ექო ხმოვნის,
რომ გაიბას სხივი—ვერცხლის ძაფი—
სასიცოცხლო—
სიყვარულის პოვნის!

●

ციხის ქონგურებს
ხავსი მორევია,
ხმალთა ელვარებას
ვერავინ აჯანყებს,
მუმლი მუხაზე
წარღვნას მორევია,
მუხის რტოთა გაკვირტვას
ქარ-სუსხი აჯანჯლებს.
არც ერთი სათოფური
არ ელის ბუკის ხმას,
სადღაა ის გენი—
დღეს უკვე
მიმქრალი—
აწ მემატიანე
ლეგენდას გვიკითხავს...
დაფშვნილა ციხეთა
კირი და ფიქალი!
ქვაბია ქვეყანა—
კუპრში ვართ ჩაყრილნი,



აწ ფრიად მეეჭვება
ზეცაში ნავარდი,
ნუთუ სისხლი ქართული,
ოდეს ფადარაყრილი,
მიწყნარდა, მიჩუმდა
აწ და მარადის?!

●

მეციხოვნე ვიყავი და...
ციხე დამენგრა,
მომღერალი ვიყავი და...
ენა დამება,
ახლა, როცა სულს სიმშვიდე
არ ეკარება,
გამოსავალს დაერქმევა
ტანჯვა-წამება!

ვინ ვიყავ და
რა ვიყავი, რა საჭიროა,
სხვას,
სხვას ვამბობ:
— ეს შენა ხარ ყოვლის მიზეზი,
დამჭდევიხარ მთრთოლავ გულზე
ღია ჭრილობად,—
რაც დრო მიჭქრის,
ეკალ-ბარდად
სულში იზრდები!

●

გელოდე, რად არ მოხვედი!
გელი კი მთელი სიცოცხლე, —
ჰგავს ხოხბის ლაპარს კოლხეთი,
ის შენიცაა, იცოდე!

კვნესის ხიმღერა ვინა თქვას,
ხარ ჩემი ქონაც, თენებაც,
უშენოდ—დაფშვნილ მინანქარს—
ამ ჩემს გულს—
რა ეშველება?!

●

იმ ალმაფრენას
მართლაც ჰქონდა წონა და ფორმა,
რაც მოხდა მერე—
გავერანდა და გატიალდა...
და, რომ ამჩატდა,
ვერ ვიგრძენით, ნეტავი, ორმა? —
ის თვალწინ ქმნილი ბუმბულად
და მერე წყვდიადად!
ათასს ემცხეთა
და... ათასმაც გალამბა ჭორი,
ვის როგორც სურდა,
სურას ისე მოაბა ყური,—
გამოხდა ჟამი...
მახსოვს მერეც
ჩვენ—ორად-ორი
მდგარნი წყაროსპირ—
სურის ყელთან
ვითმენდით წყურვილს!

●

კოინდარზე ცვარი ქარვის
ეჯიბრება ნამდვილ ალმასს,—
მოხვევია თმები მთვარის
შენს ეზოში აშლილ ალვას!
ახლა მინდა, ახლა შველა,
სიყვარულს კი უნდა მალვა,—
მისან ქალებს გაჰყვა ველად
ჩემი გულა, ნუშისთვალა!
ჩამწყვეტია ყველა ძარღვი,
დამშრეტია კუნთში ძალა;
წუთისოფლის გზაზე დაღლილს
თავი არვინ მანაცვალა!
მოვა მალე განაჩენი,
იქნებ დღეს,
ან იქნებ ხვალა,
გაირკვევა დანარჩენიც—
შენმა ტრფობამ რად მაწვალა!

### იღბლიანი მეთევზე

იჯდა ნაპირთან და... მოთმინებით
ჩაშტერებოდა ჩქერების ლივლივს, —
შიგ ლიფსიტებად ჩაშლილ იმედის
ფაცერი ედო ვერცხლისფერ ივლისს.
მოსაღამოვდა,
დღე ნაჯაფარი
ხვალისთვის კრეფდა მზის სხივთა
ბუჩქებს
მერე კი ღამემ შავი ფაფარი
გადააფარა შუკებს და ქუჩებს.
ნაპირზე მჯდარმა წამით დალანდა:
ვით იძრა წყალში მსგავსი ცისკარის
და... თევზის ნაცვლად ანკესს ანაზდად
წამოგებოდა მთვარე ცინცხალი!..

## პროზა

„ნადირობის ტრფიალს“ რომ იტყვიან, არა-სოდეს ვყოფილვარ, თოფი მაქვს ერთი, კაი გვარიანი; როცა ვყიდულობდი, მართლა ნა-დირობის ტრფიალმა და კარგმა ეკონომისტ-...

რა სარდაფში უპატრონოდ, ნაკეცებში გატე-ხილა), რაკი ამინდს კაი პირი უჩანდა, ბრე-ზენტის შარვალ-ჯუბაჩა აღარ მიძებნია. ათი-ოდე საფანტიანი მასრა ჯიბეებში ჩავიყარე, ...

ერთი ათი წელიწადი მაინც იქნება აქეთ არ ვყოფილვარ და მართლაც რომ ჭურში ვმჯდარვარ — აშენებულა ქვეყანა და არა-ფერი გამიგია!

მზემ ტვინი ამიდუღა. მაღლობელ ნამდინა-რევის ყვერში და ჭენჭყოში ჩაწოლილმა ნესტმა, ირგვლივ ფეხდაუდგმელ მურალ სა-რეველების ძირში გამდგარმა ჩახუთულმა, ...

— კი, ქე...

## ოთია იოსელიანი

# ნადირობა





მხატვარი კარლო ფაჩულია



## პროზა

# „ამისთანა მკურნალს ვაქებ, მოლხინდეს ფაზარ-ხუთის“

კიტა ბუაჩიძემ, ცნობილმა ქართველმა მწე-რალმა, თავისი „შავი წიგნი“ კარგა ხნის წინ დაწერა.

დაწერა უდროო დროს...

საერთოდაც, ბატონი კიტა „უდროოდ“ წერს ხოლმე — ნაწერის ბეჭდვა-გამოცემის თვა-ლსაზრისით...

ვერ ითვალისწინებს, რომ დროის წინ „მოკუნ-ტრუშე“ წიგნებს მზის სინათლის ხილვა არ უწერია.

ახე იყო წინათ...

ვილუპებით — ერი ატანა თვითმკვლელ-ობის წრამ:

არ თხოვდება;

...

„თვითგამოცემულ“ წიგნთა ხვედრი მოგე-ხსენებათ: „შავი წიგნის“ ნაწყვეტ-ნაფრაგმენ-ბი შემდგომ სხვადასხვა ავტორებთან ...

...

ნაწერიც (უფრო ზუსტად — „ხელნაბეჭდი“) ხელიდან ხელში გადადიოდა წლების მანძი-ლზე და თავის საქმეს აკეთებდა... გვანჯღრი-ვდა და გვასილაქებდა ჩვენ — გულარხეი-ნებს, ლიპგადმოგდებულებსა და ენაჩავარდნი-ლებს; ლურსმანივით გვჭედავდა თავში აზრს:

...

ქმის — განრისხებული კაცის ნაწერია... საზო-გადოსა და საზოგადოებაზე განრისხებულისა.

ლუმინალით გაჭყეპილ ჩვენს საზოგადოებას, იქნებ, ამნაირმა „ფაზარ-ხუთომ“ მაინც უშვე-ლოს.

თამაზ კვაჭანტირაძე

# განთავისუფლება

რედაქციაში მოვიდა ოთხი ახალგაზრდა კაცი ყვარლის რაიონის სოფელ ჩიკაანიდან. ღელავ-დნენ, თუმცა, ეტყობა, დიდი ხნის ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ გადაეწყვიტათ ჩვენთან მო-სვლა. — მეტის ატანა აღარ შეგვიძლია, დავი-ღალეთ ამდენი მორჩილებით, მთელ სოფელს ერთი კაცი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბა-ტონობს, ხალხის ხმის გაგონება არ უნდა, თვი-თნებობით სოფელი კატასტროფამდე მიჰყავს.

გინდა თუ არ გინდა, ასეთი ცხარე განცხა-დება ხშირად პირადი წყენის გამოვლინებად აღიქმება ხოლმე და ჩვენც, ბუნებრივია, ფრთხი-...

ქვეს. მათ ყურადღება ძირითადად ჩამოსახლე-ბულ ავარიელთა საკითხზე გაამახვილეს. პოე-ტმა რეზო ამაშუკელმა აღნიშნა, რომ მართა-ლია, დადგა დრო ქართულ მიწაზე მასპინძელი მასპინძლობდეს და სტუმარი სტუმრობდეს, მა-გრამ ამ ჭეშმარიტების განსახორციელებლად გონიერებას უნდა მოვუხმოთ და არა ძალას.

კინორეჟისორმა რეზო ესაძემ ისაუბრა იმ დოკუმენტური ფილმების შესახებ, რომლებიც მან ყვარლის რაიონის სოფლებში გადაიღო ლეკების საკითხთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ არ აპირებს ამ ფილმების გამოტანას ...

...

წამოიწყო კულტურის სასახლესთან დაკავშირ-ებული ფინანსური მაქინაცია; რატომ რჩებიან კოლმეურნეები უხელფასოდ თვეების მანძი-ლზე; ვინ ცდილობდა სოფლის ყრილობის ჩა-შლას... გოჩა რეხვიაშვილის, ნინო მარჯანიძის, ნინო ლელაძის, ავთო ღვალაძისა და სხვათა გა-მოსვლებმა გამოცოცხლება შეიტანა ყრილობის მსვლელობაში.

ყრილობაზე სიტყვები სტუმრებმაც წარმოთ-...

სასახლის ეზო. მაღალი შენობის თავზე ჯერ კი-დევ ფრიალებდა საქართველოს სამფეროვანი დროშა. მოპირდაპირე მხრიდან, კოლმეურნეო-ბის ადმინისტრაციული შენობის ეზოდან კი სტალინის სტანდარტული, ყვითელი ბიუსტი იმზირებოდა...

ივანე ამირხანაშვილი
უჩა შერაზადიშვილი
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტები)

# არიქა! ანუ „ზაბეგანიე“

## რომან მიმინოშვილი

ახლა ცოტა უკან გადავფურცლოთ წიგნი და შევჩერდეთ 134-ე გვერდზე, სადაც შავით თეთრზე წერია: „სსრკ ეკონომიკა უკვე დიდი ხანია წარმოადგენს არა მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკების უბრალო ჯამს, არამედ ერთიან მაღალგანვითარებულ სახალხო-სამეურნეო ორგანიზმს“. სწორია! მაგრამ თუ ეს სწორია, რაღა ეკონომიკურ გათანაბრებაზეა ლაპარაკი? სულერთი არ არის, სად განვითარდება ეკონომიკა, „ნაციონალურ რაიონებში“ თუ „სხვა რაიონებში“, სადაც იგი უფრო ეფექტურია თურმე? გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ წარმოება განვითარდეს ეკონომიკურად არახელსაყრელ ადგილას, რათა ფეხზე დავაყენოთ რესპუბლიკის ეკონომიკა, რომელიც, სინამდვილეში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არ არსებობს! ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა ატრიალო ჩვენი ავტორების ნათქვამი, სრული უაზრობა გამოდის. სინამდვილეში ცენტრალიზებული და ურთიერთგადაჯაჭვულია საწარმოები ყოველგვარი რესპუბლიკური საზღვრების გაუთვალისწინებლად. მთავარი ის კი არ იყო, რომ ყაზახეთს, თურქმენეთს, უკრაინას ან რომელიმე სხვას მძლავრი ეკონომიკა ჰქონოდა, არამედ ის იყო მთავარი, რომ არცერთ რესპუბლიკას არ შეეძლებოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება. საოცარი რამ ხდება ამის გამო ჩვენს ეკონომიკაში. კურიოზულია, მაგალითად, ჭიათურის მანგანუმის საბადოს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ურთიერთობა. ეს ორი ქართული ქალაქი ერთმანეთისაგან რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრითაა დაცილებული. ამ დროს ჭიათურიდან მანგანუმის მადანი დასამუშავებლად გააქვთ საზღვარგარეთ და დონეცკში, ხოლო ზესტაფონში იგივე მადანი შემოაქვთ ბრაზილიიდან და... დონეცკიდან. ცდება, თუ ვინმე ფიქრობს, რომ არავის ესმოდა ასეთი ეკონომიკის უვარგისობა, ზარალიანობა. მაგრამ თუკი ჩვენი სახელმწიფო მართლაც „შეგნებულად“ მიდიოდა რაიმე მსხვერპლზე, ეს სწორედ ის მსხვერპლი იყო, გაღებული იმისათვის, რომ რესპუბლიკები ისე ყოფილიყვნენ ერთმანეთისგან დამოკიდებულნი, არავის სცოდნოდა, ვინ რას ქმნის, ვინ რისი მაქნისია და, რაც მთავარია, არავის შეძლებოდა დამოუკიდებლად არსებობა. დღეს ჩვენ ვიმკით ამ მწარე ეკონომიკის ნაყოფს, ამაზე აუარებელი რამ იწერება საბჭოთა პრესაში, — მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი წიგნის ავტორები, ეტყობა, ამ მასალებს არ კითხულობენ ან გვერდს უვლიან.

წიგნის ავტორები მოითხოვენ საკავშირო და ეროვნული პატრიოტიზმის გათანაბრებას (გვ. 157), მთავარი კი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ეროვნული პატრიოტიზმი და აქედან უნდა გამომდინარეობდეს როგორც ინტერნაციონალიზმი, ისე საბჭოთა პატრიოტიზმი. თუმცა ავტორებს ეს არ მოსწონთ, მაგრამ ასე უნდა იყოს: ესტონელი სწორედაც რომ მხოლოდ ესტონელია და შემდეგ საბჭოთა მოქალაქე. ვინც პირიქით ფიქრობს, მას, უბრალოდ, ეროვნული გრძნობა არა აქვს და საეჭვო საბჭოთა მოქალაქეა.

ავტორები მსჯელობენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ინტერნაციონალიზაციაზე და განიხილავენ მის ასპექტებს ყველა სფეროში — ეკონომიკაში, პოლიტიკაში, „ენობრივ ცხოვრებაში“... სოციალურ სფეროში ინტერნაციონალიზაცია, მათი აზრით, გამოიხატება მოსახლეობის რესპუბლიკათა შორის გაცვლაში, ენობრივ საკითხში იგი მჟღავნდება რუსული ენის გადაქცევაში ყველა ერისათვის საურთიერთობო ენად, „ნაციონალურ-რუსულ და რუსულ-ნაციონალურ ორენოვნებაში“ (გვ. 169). 172-173 გვერდებზე მოყვანილია დინამიკა რესპუბლიკებში სხვა ეროვნებათა პროცენტული ზრდისა, ყველაზე მძიმე (ავტორთა აზრით — ხელსაყრელი) მდგომარეობაა ყაზახეთში, სადაც ადგილობრივი მკვიდრი — ყაზახი მთელი მოსახლეობის მხოლოდ 36 პროცენტია! ოციანი წლების ცნობილი მიგრაციული პროცესების გარდა, ამას ხელი შეუწყო იმან, რომ 50-იან წლებში პარტიის მოწოდებით ყველა რესპუბლიკიდან დაიძრა ხალხი ამ რესპუბლიკაში ყამირის ათვისებლად (გვ. 178). ბოლოს კმაყოფილი ავტორები დაასკვნიან: „მოსახლეობის მიგრაციის პროცესი გაგრძელდება და რესპუბლიკები გახდებიან კიდევ უფრო მრავალეროვანნი მოსახლეობის შემადგენლობის თვალსაზრისით“ (გვ. 178). ასე გვამშვიდებენ ჩვენი კეთილი ავტორები. რა შეიძლება ამაზე ითქვას?

ჯერ ერთი, ძნელია დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ინტერნაციონალიზაცია მაშინ არის დიდი მონაპოვარი, რაც უფრო მეტი სხვადასხვა ერი იცხოვრებს რესპუბლიკაში და რაც უფრო დიდია მიგრაციის მასშტაბები. მეორე: ეროვნულ-რუსული ორენოვნება, უფრო სწორად, რუსული ენის გავრცელება, როგორც რესპუბლიკათა შორის საურთიერთობო ენისა, უკვე ფაქტია, და პოლიტიკაც მისი განვითარებისაკენ არის მიმართული. ხოლო „რუსულ-ნაციონალური“ ორენოვნება (თითქოს რუსები სწავლობდნენ სხვათა ენას) არის ანომალია თუ არა, იშვიათი შემთხვევა და პოლიტიკა აქამდე მიმართული იყო იქითკენ, რომ არ შექმნილიყო ამის საჭიროება. მესამე: თუ რამდენად გაამართლა ყამირის ეპოპეამ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მან რომ დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკას, ესეც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, არ შეიძლება გვიხაროდეს, რომ ყაზახეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ 36 პროცენტია. ვერავითარი ინტერნაციონალიზაცია ამას ვერ გაამართლებს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი გულარხეინი (თუ შინაგანად აღტაცებული არა) დასკვნის გამოტანა, რომელსაც ავტორები გვთავაზობენ, მიგრაცია კვლავაც გაგრძელდება და რესპუბლიკები უფრო მრავალეროვანნი იქნებიანო, უზნეობაა. ნახეთ, როგორ არიან აღშფოთებული ავტორები ზოგიერთი ხელმძღვანელის საქციელზე, ვინც ხელს უშლის ასეთ პროცესებს: „ზოგიერთი საბჭოთა და პარტიული მუშაკი თვლის, რომ მიგრაციული პროცესების რეგულირებისას იმისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რათა ყოველი გზით უზრუნველვყოთ ადგილობრივი მოსახლეობის წილის სიჭარბე. მიზანშეწონილია თუ არა საკითხის ასე დაყენება?“ — სვამენ რიტორიკულ კითხვას ავტორები და იქვე უპასუხებენ: „ვფიქრობთ, რომ არა, რადგან ასეთ შემთხვევაში მოგვიხდებოდა ხელოვნურად შეგვეზღუდა მიგრანტების შემოსვლა იქ, სადაც ეს აუცილებელია — მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ეს იქნებოდა საწინააღმდეგო საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა, კადრების ინტერნაციონალიზაციისა, დაუპირისპირდებოდა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარების ამოცანებსაც“ (გვ. 177).

რა შეიძლება ამას ვუწოდოთ? მესმის, რომ კაცმა შეიძლება დაკარგოს ყოველგვარი ეროვნული გრძნობა, არც ესმოდეს ამ მხრივ სხვა ადამიანის გრძნობები, პატრიარქალური ცრურწმენების მონაც ეგონოს, მაგრამ იმდენი ინტელიგენტობა მაინც ხომ უნდა გამოიჩინოს, რომ ამაზე არ უკიჟინოს? ასეთი სიტყვების შემდეგ ავტორები ურცხვად აცხადებენ, რესპუბლიკურ ორგანოებს მეტი უფლება უნდა მივცეთ შრომითი რესურსების გამოყენებისო. ეტყობა, ისინი არ უსაყვედურებენ, მაგალითად, ესტონეთის ხელმძღვანელობას, თუ იგი ხელს შეუწყობს ესტონელთა ციმბირში გადასახლებას და თვით რესპუბლიკაში კი მოიწვევს, ვთქვათ, აზერბაიჯანელებს!

წიგნის ავტორებისთვის ამოცანა ნათელია, მითუმეტეს, რომ ასათვისებელი გვაქვს აღმოსავლეთის რაიონები (გვ. 178), მაგრამ, თურმე, უბედურება ის არის, რომ მიგრაციას ხელს უშლის ოჯახური თუ ნათესაური კავშირები, რის გამოც ბევრს ჯერაც ვერ შეუგნია, რა უბედურებაა საკუთარ რესპუბლიკაში ცხოვრება და რა სიკეთე მოაქვს შორეულ მიწაწყალზე გადასახლებას, როგორც ინტერნაციონალიზმის გამოვლინებას. მკითხველო, მინდა შეგიბრალო და არ მომყავს სათანადო ციტატა (ნეტავ, მეც არ წამეკითხა!), მაგრამ თუ მაინც არ დაიშლი და მტკიცე ნერვები გაქვს, ჩაიხედე წიგნის 179-ე გვერდზე.

ავტორებმა იციან, რომ სტალინი უნდა გააკრიტიკონ, მაგრამ ვერ ამჩნევენ, რომ ამით საკუთარ თეორიას უთხრიან ფესვებს. მათი სიტყვებით, სტალინის დროს „ხელოვნურად ახდენდნენ ნაციონალური კულტურების გაერთიანების ფორსირებას, თითქოს ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი“ (გვ. 190). ეს მოვლენა გრძელდებოდა სტალინის შემდეგაც და თანაც უფრო ინტენსიურად, უფრო „სტალინურად“! იყო ლაპარაკი ერთა შერწყმაზეც, მაგრამ, რაც მთავარია, ყველაფერი კეთდებოდა მაშინაც და შემდეგაც იმის გასავითარებლად, რასაც ავტორები მორცხვად ინტეგრაციას უწოდებენ. ამაზე მათი წიგნიც მეტყველებს და როდის, 1988 წელს, გაგანია გარდაქმნის პერიოდში! დააკვირდით, რას ამბობენ ავტორები: „სოციალიზმი ნაბიჯ-ნაბიჯ ანადგურებს ტიხრებს ეროვნებათა შორის“ (გვ. 90). ანადგურებსო! რა კარგადაა ნათქვამი. აქ პირდაპირ არის მითითებული ანტიეროვნული პოლიტიკის აგრესიული ხასიათი. ოღონდ, სოციალიზმი რა შუაშია? არა! რაღაც სხვა ძალა მოქმედებს და ამ ძალის ერთგული ჯარისკაცები ბრძანდებიან ე. ა. ბაგრამოვი, ჟ. გ. გოლოტვინი და ე. ვ. ტადევოსიანი!

მისწრაფება ერთა „შერწყმისაკენ“, აღიარება, რომ ეს პროცესი ბუნებრივად და ობიექტურად ვითარდება, ხელის შეწყობა და ზოგჯერ ძალდატანებითი გატარება მიგრაციული პროცესებისა და მრავალი სხვა იწვევს ეროვნული თვითშეგნების დაჩლუნგებას ანუ, როგორც ავტორები თვით აღნიშნავენ, „ერის სულიერი სიმდიდრის ეროზიას“ (გვ. 191). ახლა უკვე დაიწყო საპირისპირო პროცესი, რასაც ხელი შეუწყო ნანატრმა საჯაროობამ და გარდაქმნამ. ამის შეუმჩნევლობა შეუძლებელია. ავტორებიც ამჩნევენ, მაგრამ ცალკეულ მწერლებს კიცხავენ „დრამატიზებისათვის“.

იმის დასამტკიცებლად, თუ რა კეთილ გავლენას ახდენს რუსული კულტურა აითმატოვის, ყარა-ყარაევის თუ ხაჩატურიანის შემოქმედებაზე, სრულებითაც არ არის აუცილებელი რუსული ენის აღიარება შემოქმედის მთავარ ინსტრუმენტად. წიგნის 199-ე გვერდზე ავტორები ცდილობენ სწორედ ამაში დაგვარწმუნონ. ჩინგიზ აითმატოვის რომანში რომ თავი ეჩინა ქართულ მოტივსაც, ამისათვის სულაც არ იყო საჭირო მას ის მონაკვეთი ქართულად დაეწერა. ეროვნული მწერლობა არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი. რუსთაველიც თავისი დროის მსოფლიო კულტურის მიღწევათა დონეზე იდგა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს უმღეროდა, მაგრამ ამისთვის არ იყო აუცილებელი მას ბერძნულად ეწერა.

ავტორები შემდეგნაირად გვმოძღვრავენ: „ყოველი ცდა, განხილულ იქნას სსრკ ხალხთა ეროვნული ხელოვნება საბჭოთასაგან განკერძოებულად, როგორც „სუფთა რუსული“, „სუფთა მოლდავური“ ან „სუფთა უზბეკური“, რაგინდ რა საბუთებით არ უნდა იყოს იგი განმტკიცებული „ერის სულის“ და „გულისთვის საამო სიძველის“ დაცვისათვის, იგი ნაციონალური შეზღუდულობის დაღს ატარებს და ხალხთა კულტურული პროგრესისთვის მოაქვს ზიანი“ (გვ. 200).

არა! ხალხთა კულტურულ პროგრესს არავითარ საფრთხეს არ უქმნის ხელოვნების ეროვნულობა! რას ნიშნავს „სუფთა რუსული“? განა პუშკინის პოეზია „სუფთა რუსულია“ ან დოსტოევსკის პროზა? თავისთავად არ არსებობს ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტილი ხელოვნება, მაგრამ ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც მეტად ამჟღავნებს ეროვნულ თვისებებს, რითაც იგი გამოირჩევა სხვებისგან, რითაც იგი განუმეორებელია და ამდიდრებს კიდეც საკაცობრიო კულტურას, ხელს კი არ უშლის, ხელს უწყობს „ხალხთა კულტურულ პროგრესს“! წიგნის ავტორთა ლოგიკას თუ გავყვებით, ხელოვნებაში უნდა წაიშალოს არა მარტო ეროვნული საწყისი, არამედ შემოქმედის ინდივიდუალობაც. მართლაც, რა ეგოიზმია, რომ მარკესი აითმატოვს არ ჰგავს, შატროვი — შექსპირს? ეროვნული ხელოვნების განხილვა არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო ხელოვნებისაგან იზოლირებულად არასოდეს ყოფილა და არც იქნება მართებული. მაშინ გაუგებარია, ვის ებრძვიან ერთა შერწყმის აპოლოგეტი ჩვენი ავტორები?

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ავტორები პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა საკითხებზე მსჯელობენ ჯერ კიდევ სტალინის ეპოქაში დამკვიდრებული თეორიული სტერეოტიპებით, ბუნებრივია, ისინი ვერც ხელოვნებაზე მსჯელობისას ასცდებოდნენ ამ სტერეოტიპებს. აი, მაგალითად, რას წერენ ისინი:

„როდესაც საბჭოთა ხელოვნებას განვსაზღვრავთ, როგორც შინაარსით სოციალისტურს და ფორმით ნაციონალურს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ფორმაშიც ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებანი“ (გვ 208).

სხვა საკითხია, რამდენად მართებულია შინაარსისა და ფორმის ასეთი გამიჯვნა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ეროვნულისთვის გამეტებულია მხოლოდ ფორმა და ისიც, თურმე, წიგნის ავტორთა საბედნიეროდ, მნიშვნელოვნად იცვლება, ე. ი. არაეროვნული ხდება. არ შეიძლება საკითხის ასე დასმა! ეროვნულობა ვლინდება ფორმასა და შინაარსში და არც ერთი მათგანი არ იცვლება თვისობრივად, ის მხოლოდ თუ გამდიდრდება საერთო-საკაცობრიო და, თუ გნებავთ, საკავშირო კულტურის მონაპოვრით. ეროვნულის შეცვლა ნიშნავს სხვა ეროვნულის მიღებას!

ერთ რამეს კი ვერ დავუკარგავ ჩვენს ავტორებს და არ შემიძლია, აღფრთოვანება არ გამოვხატო. მიმხვდარან, რომ ენათა შერწყმა და მათგან მესამე ენის მიღება პრაქტიკულად არ ხდება (გვ. 219), იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი კიდევ დიდხანს იცხოვრებენ და დარწმუნდებიან, რომ ერების შერწყმა და ამის შედეგად სხვა ერის წარმოშობაც პრაქტიკულად გამორიცხულია. ავტორები თვლიან, რომ რუსული ენის გავრცელება არ იწვევს ეროვნული ენების შევიწროებას და რომ „ამაში მდგომარეობს რუსი ხალხის სიდიადე“ (გვ. 222). არაფერი გვაქვს, არც რუსი ხალხის სიდიადისა და არც რუსული ენის სიდიადის საწინააღმდეგო. არც იმის საწინააღმდეგოდ გვეთქმის რამე, რომ რუსული ენის რესპუბლიკებში გავრცელება პროგრესული მოვლენაა, მას არ შეუძლია ეროვნულ ენათა შევიწროებაც, თუ მისი გავრცელება არ მოხდება ჩვენი ავტორების მიერ შემოთავაზებული რეცეპტების საშუალებით. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ რუსების მხოლოდ 3,5 პროცენტმა იცის საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა ხალხის ენა, მაშინ, როცა რუსი მოსახლეობის თითქმის 25 პროცენტი მუდმივად ცხოვრობს სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მეტად დამაფიქრებელია. უსამართლობა იქნება, ჩვენ ამაში დავინახოთ რუსების მხრივ რაიმე ქედმაღლობა, რაც ამ ერის სიდიადეს ჩრდილს მიაყენებდა. ეს მხოლოდ არასწორი ეროვნული პოლიტიკის ბრალია. იმის ბრალია, რომ რესპუბლიკებში ზოგან მთლიანად, ზოგან ნაწილობრივ საქმის წარმოება ხდება რუსულ ენაზე. სხვა ენის სწავლის საჭიროება პრაქტიკულად არ არსებობს! ეს კი იწვევს მოსახლეობის თანდათანობით გარუსებას, გინდაც ეს [illegible] არ უნდოდეს რუს ხალხს!

რუსული ენის საყოველთაო გავრცელებას ამ პირობებში სიკეთესთან ერთად ზიანი მოაქვს. იგი ზღუდავს ეროვნული ენების მნიშვნელობას, უკეთეს შემთხვევაში ტოვებს მათ სამწერლობო ენად, მაგრამ ხელს უშლის ენათა განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. ენა კი მარტო მწერლობით არ ვითარდება, იგი არა მხოლოდ საკომუნიკაციო, არამედ აზროვნების ინსტრუმენტიც არის, აზროვნება კი არ შეიძლება მხოლოდ „პოეტური“ იყოს.

ენათა ურთიერთგავლენა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ნაძალადევ ენობრივ ექსპანსიას მხოლოდ ზიანი მოაქვს. იგი არ აძლევს თვით პრივილეგირებულ ენასაც გამდიდრების საშუალებას, პირიქით, აღარიბებს კიდეც მას, დაჰყავს რაღაც საინფორმაციო მინიმუმამდე, რაზედაც სამართლიანად მიუთითა სსრკ მწერალთა კავშირის შარშანდელ პლენუმზე რუსმა მწერალმა ქალმა მაია განინამ. ყველა სხვა ეროვნების კაცს სულ ხუთასამდე რუსული სიტყვა სჭირდება და პრაქტიკულ ურთიერთობაში თვით რუსისთვისაც საკმარისი ხდება ასეთი „მარაგი“. ჩვენს ავტორებს კი ეჩვენებათ, რომ ერთმანეთს ვუნაწილებთ ენობრივ სიმდიდრეს და ამით ვბედნიერდებით, მითუმეტეს, რომ რუსული ენა გვექცევა „მეორე მშობლიურ ენად“ (გვ. 224). ეს მკრეხელობაა! მეორე მშობლიური ენა არ არსებობს!

ჩვენს ავტორებს მიაჩნიათ, რომ სსრკ ხალხთა „ენობრივი ცხოვრების განვითარება ხდება არა თვითდინებით, არამედ სკკპ-ს ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკის გავლენით, რომელიც სულ უფრო მიზანმიმართული ხდება და ძლიერდება“ (გვ. 226). აი, სწორედ ეს გეგმაზომიერი პოლიტიკაა საშიში, თუ მას ჩვენი ავტორების მსგავსი ადამიანები წარმართავენ, რადგან პოლიტიკას ადამიანთა გარკვეული წრე ქმნის, ხოლო ენობრივ კულტურას — მთელი ხალხი. „თვითდინება“, რასაც აუგად მოიხსენიებენ ავტორები, სინამდვილეში არის ჭეშმარიტად დემოკრატიული, ბოლომდე ამოუცნობი ენობრივი ევოლუციის კანონთა ბუნებრივი განვითარება, ენობრივი პოლიტიკა კი მისი ხელოვნური გამრუდებაა ყველა შემთხვევაში, რაგინდ გენიოსები იყვნენ ამ პოლიტიკის ავტორები.

თუ რა პოლიტიკას მიესალმებიან ჩვენი ავტორები, ჩანს თუნდაც შემდეგი მსჯელობიდან: „იმსახურებს მხარდაჭერას და გავრცელებას ლონისძიებანი ზოგ რესპუბლიკაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვებში რუსული ენის სწავლება, ხოლო რუსი მოსახლეობის ბავშვებში ეროვნული ენის სწავლება იწყება ხუთი წლის ასაკიდან ჯერ კიდევ სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში“ (გვ. 230). ეს საშინელებაა! არაფრით არ შეიძლება 5 წლის ბავშვს, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუგრძვნია მშობლიური ენის სამყარო და არ განვითარებია მის საფუძველზე ლოგიკური აზროვნების უნარი, ხელი შევუშალოთ გონებრივ განვითარებაში და ვაზიაროთ მეორე ენობრივ და აზროვნებით სამყაროს. ლაპარაკია არა ვუნდერკინდებზე ან მომავალ პოლიგლოტებზე, არამედ ჩვეულებრივ ბავშვზე. პედაგოგიური მეცნიერება, თუ იგი რაიმეს ნიშნავს ჩვენი ყოვლისმცოდნე ავტორებისათვის, ამის სასტიკი წინააღმდეგია. არ შეიძლება აკვიატებულ და არავისთვის საჭირო „ერთა შერწყმის“ პოლიტიკას ვანაცვალოთ მომავალი თაობა, არ შეიძლება „ორი მშობლიური ენა“ დედის რძესავით შეერგოს პატარას. ამიტომ ასეთ ინიციატივას მხარი კი არ უნდა დავუჭიროთ და გავავრცელოთ, არამედ პედაგოგიკაში მაამებლობა მკაცრად უნდა დავგმოთ. რაც შეეხება რუს ბავშვებს, ზღაპარია, რომ ისინი საბავშვო ბაღებში, გარდა რუსულისა, სხვა ენას შეისწავლიან. ამის თქმა ავტორებს მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ აჩვენონ, ჩვენი ენობრივი პოზიცია არ არის ცალმხრივიო. სხვა საკითხია, რომ თვისობრივად უნდა გაუმჯობესდეს რუსული ენის სწავლება არასრულ საშუალო სკო-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ 23.

ლებში. დრო, სხვათა შორის, რაც ამისთვის არის გამოყოფილი, საკმარისზე მეტია! ვერ დავიჯერებ, რომ 7-8 წელი არ არის საკმარისი, რათა ბავშვმა ნებისმიერი ენა ისწავლოს, კარგადაც ისწავლის.

ახლა ვნახოთ, როგორ ესმით წიგნის ავტორებს პატრიოტიზმი. ისინი წერენ, პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულია, იგი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან იღებს სათავეს, „ეს გრძნობა... მტკიცდებოდა საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში“. (გვ. [illegible]).

წიგნის ავტორები აკრიტიკებენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებს, რომ მათ არასწორად გაიგეს მარქსისა და ენგელსის ფრაზა „მანიფესტიდან“ იმის შესახებ, რომ „მუშებს არა აქვთ სამშობლო“, მაგრამ, მე მგონი, ეს სიტყვები სწორად ვერ გაიგეს არა მარტო ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა, არამედ ზოგმა საბჭოთა იდეოლოგმაც და მათ შორის ჩვენმა ავტორებმა (გვ. 238). ისინი ცდილობენ დანერგონ აზრი, რომ სამშობლოა არა, მაგალითად, პატარა საქართველო, არამედ მხოლოდ ერთი მეექვსედი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია, რომ სამშობლო არა ეთნიკური ტერიტორიაა, არამედ ერთი იდეოლოგიით, ერთი სოციალური წყობით მოცული ევრაზიის კონტინენტის უდიდესი ნაწილი ([illegible]). ამ ლოგიკით გამოდის, რომ არსებობს ორი სამშობლო — სოციალისტური და კაპიტალისტური.

წიგნში ვკითხულობთ ასეთ ფრაზას: „რუსეთის კომუნისტების პოზიციაში ნაციონალური ნიჰილიზმის ნიშანწყალიც არ იყო“ (გვ. 284). არ არის ეს სწორი! მაშინ ლენინმა ვის უწოდა „დერჟიმორდები“? თუ მენშევიკები არ იყვნენ ასეთი ნიჰილიზმით დაავადებულნი, ბოლშევიკებს ხომ იგი რევოლუციის შემდეგაც გადმოჰყოლიათ? ცოტა, ღმერთო შემცოდე, ამ ავადმყოფობის ბაცილები დღესაც საგრძნობია თუნდაც ამ წიგნით, ერთა მომავალ შერწყმას და მორცხვ „ინტეგრაციას“ რომ ქადაგებს. წიგნის ავტორებს ისიც არ შველით, რომ ეროვნული ნიჰილიზმისადმი მარქსიზმის კლასიკოსთა დამოკიდებულება იციან: „მარქსიზმის ფუძემდებლები პირდაპირ მიუთითებდნენ ეროვნული ნიჰილიზმის კავშირს ბურჟუაზიულ შოვინიზმთან, — წერენ ისინი, — რამდენადაც ეროვნებათა უარყოფა ფაქტიურად შეიძლება იქნეს მოიაზრებული რომელიღაც სანიმუშო ერში მათი გათქვეფისა“ (გვ. 287) და ცოტა ქვემოთ აღნიშნავენ: „გადმონაშთის სახით შოვინიზმის გამოვლინება შესაძლებელია სოციალისტურ საზოგადოებაშიც, რომელიც გამოიხატება მცირე ხალხთა უფლებების ანგარიშგაუწევლობაში“ (გვ. 288). გეგონება თავის თავზე წერენო, თავს თვითონ იმართლებენ მარქსიზმის კლასიკოსებზე მითითებით!

კაცს რომ სიხარულის გრძნობა შეიპყრობს, როცა ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილება გაუცოცხლდება, სწორედ ისეთი რამ განვიცადე შემდეგი ფრაზის წაკითხვისას: „ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკები — ეს არის აყვავებული („процветающие“) სახელმწიფო წარმონაქმნები“ (გვ. 241). რა ნაცნობი და ლამაზი სიტყვებია! შემდეგ კიდევ უკეთესი სიტყვები წერია ამ წიგნში: „საბჭოთა ადამიანებისათვის სამშობლო ეს მხოლოდ ის მიწა როდია, სადაც შენ დაიბადე, სადაც ცხოვრობდნენ შენი მამა-პაპანი. სამშობლო არის მთელი ჩვენი მამული — წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან პამირამდე და კავკასიონამდე“ (გვ. 242). ცოტა კი გული დამწყდა, რომ არა თქვეს — პამირისა და კავკასიონის ჩათვლით, მაგრამ ეს რა მოსატანია, როცა ყურში საამოდ აჟღერდა მშობლიური ომახიანი სიმღერა — ლებედევ-კუმაჩის ლექსი და დუნაევსკის მელოდია:

Широка страна моя родная,
много в ней лесов, полей и рек,
я другой такой страны не знаю,
где так вольно дышит человек!
От Москвы до самых до окраин,
с южных гор до северных морей
человек проходит как хозяин
необъятной Родины своей.
Всюду жизнь и вольно и привольно,
точно Волга полная течет..

ეჰ!

ვწეროთ ისევ ასეთი ლექსები, სტალინური ეპოქის შესაფერისი, ასეთი წიგნები, ვიკუსტოუშოთ ისევ..

წიგნის ავტორები თვლიან, რომ ეროვნული თავისებურებანი მსოფლიოში სოციალიზმის საყოველთაოდ დამყარების შემდეგაც კარგახანს იქნება (ბოლოს, როგორც ეტყობა, მოისპობა), მაგრამ ობიექტურ პროცესებს ხელი არ უნდა შევუშალოთ. ობიექტური პროცესიც კი, მათი აზრით, ეროვნულ თავისებურებათა თანდათანობით მოშლაა (გვ. 242). მთელს მსოფლიოში დღეს ერთა თვითგამორკვევისა და კონსოლიდაციის პროცესი მიმდინარეობს, რასაც, რამდენადაც ვიცი, მიესალმება ჩვენი პარტია, რადგან ეს პროცესები ეწინააღმდეგება საიმპერიო თუ მონოპოლისტურ ინტერესებს.

ჩვენს ავტორებს ეროვნული პატრიოტიზმი საერთო საბჭოთა პატრიოტიზმის ნაწილად მიაჩნიათ (რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო ერთი ციცქნაა მისი პატრიოტიზმი!), არ უნდათ გაიგონ, რომ ერთია პატრიოტიზმი, რომელიც ერის კარჩაკეტილობას ისახავს მიზნად და ნაციონალიზმში გადაიზრდება და მეორეა პატრიოტიზმი, რომელიც გამდიდრებულია ხალხთა მეგობრობის გრძნობით იმავე საკუთარი სამშობლოს სასარგებლოდ. წიგნის ავტორები საბჭოთა პატრიოტიზმსაც არ სჯერდებიან, ცდილობენ გააფართოონ ეს ცნება „სოციალისტურ“ პატრიოტიზმამდე, რადგან „სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის პატრიოტიზმი ერთია“ (გვ. 254). როგორ მოგწონთ ვარშავის ხელშეკრულებით დაკავშირებული სახელმწიფოებისა და ნატოს ქვეყნების პატრიოტიზმები?

წიგნის ავტორები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან რესპუბლიკებში, მათი აზრით, ინტერნაციონალიზმის დამახინჯების ფაქტებს და მაგალითად მოჰყავთ ლატვია. თურმე ნუ იტყვით, ლატვიის უმაღლესი განათლებისა და კულტურის სამინისტროებში, გამსახკომში ხელმძღვანელ სამუშაოებზე ლატვიელები ყოფილან და არა რუსები! (გვ. 266) როგორ შეიძლება რესპუბლიკას ეს უსაყვედურო? კაცი, რომელმაც რესპუბლიკის ენა არ იცის, შეიძლება ხელმძღვანელობდეს ასეთ ეროვნულ უწყებებს? წიგნის ავტორები ნაციონალიზმსა და კუთხურობაში სდებენ ბრალს იმ რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, რომლებიც ცდილობენ, როგორმე თავი აარიდონ ცენტრალური უწყებების დიქტატს და ზრუნავენ რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების შესანარჩუნებლად (გვ. 273-274). ავტორთა აზრით, რესპუბლიკამ არ უნდა შეუშალოს ხელი სხვა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის მოზღვავებას. რესპუბლიკა მათ მაინც „დამამზადებელ კანტორად“ (რ. გამზათოვი) მიაჩნიათ და არა ეროვნულ ერთეულად. წიგნის ავტორებს სრულებითაც არ ადარდებთ ის გარემოება, რომ რესპუბლიკებში ჩამოსახლებული სხვა ერის შვილები ნაკლებად არიან იმ რესპუბლიკის პატრიოტები, სადაც ცხოვრობენ, მაგრამ ის მაინც უნდა ადარდებდეთ, რომ მათში, ვფიქრობ, ამის გამო დაჩლუნგებულია საერთო-საკავშირო პატრიოტიზმის გრძნობაც. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ რესპუბლიკებიდან საკავშირო, ე. წ. „საუკუნის მშენებლობებზე“ მიდიან ძირითადად არა სხვა ერის შვილები, არამედ იმ ერისა, „რომელმაც სახელი მისცა რესპუბლიკას“. ასეთი მდგომარეობა, პირიქით, ავტორთა შეხედულებით, ხელს უწყობს ერთა შერწყმის პროცესების დაჩქარებას და ამიტომაც კარგია! ავტორებს ძალიან აწუხებთ, როცა იქმნება პირობები იმისთვის, რომ ამა თუ იმ რესპუბლიკაში დასახლებული სხვა ერის შვილი სტოვებს რესპუბლიკას.

წიგნის ავტორები მსჯელობენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების წესზე. რა არის ძირითადი დამახასიათებელი ჩვენი ცხოვრების წესისათვის? „ჩვენი ცხოვრების წესი — ეს არის ცხოვრების შრომითი წესი“ (გვ. 289). რაღაც არა მგონია, რომ კაპიტალისტური იაპონიისათვის არ იყოს დამახასიათებელი შრომა! არ გვეყო კუნტრუში და ძახილი — ჩვენ ყველაზე კარგები ვართო? რაღაც არ ჩანს, რომ შრომამ აგვაყვავა!..

ახლა მინდა, მკითხველს გავაცნო წიგნის ერთი პიკანტური ადგილიც: „ეროვნებათაშორისი ქორწინების სოციალური მნიშვნელობა აშკარაა: იგი ამსხვრევს წარსულის ცრურწმენებს იქ, სადაც ეს უკანასკნელნი ყველაზე მეტად ინარჩუნებენ თავს — ყოფაცხოვრების სფეროში, საქორწინო-ოჯახურ ურთიერთობაში... ჩვენ ვზეიმობდით (?!) ნაციონალურ-შერეული ქორწინებების გამო, მაგრამ ვცდილობდით არ შეგვემჩნია, თუ ზოგჯერ რა ძნელად სდებოდა ეს, თვალებს ვხუჭავდით იმაზე, თუ რამდენ ხშირად ირღვეოდა... ვფიქრობთ, მომწიფდა იმის აუცილებლობა, დავიწყოთ რესპუბლიკებში ოჯახური ურთიერთობების საფუძვლიანი შესწავლა და ვეცადოთ ამ ურთიერთობებში რაც რამ საუკეთესოა, განვაზოგადოთ და გავხადოთ საზოგადოების კუთვნილება“ (გვ. 308-309).

ქართველ მკითხველს და ტელემაყურებელს კარგად ახსოვს ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური(!) მიმომხილველის ვ. ცვეტოვის კომიკური გამოხდომა და შემდეგ ბოდიშები ამავე საკითხზე. როგორც ეტყობა, ასეთი აკვიატებული აზრი შერეული ქორწინების ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე ზოგიერთი ტვინნაღრძობი მოღვაწისთვის არ არის შემთხვევითი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფ. ბურლაცკის მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა სპეციალისტთა ერთი ჯგუფი პარტიის პროგრამის ახალი პროექტის შედგენაზე (ჟურნ. „ნოვი მირ“. № 10, 1988, „სტალინის შემდეგ“):

„პეტრე ნიკოლოზის ძეს (აკად. პ. ნ. ფედოსეევს. — რ. მ.) ზოგჯერ მოჰყავდა ორი-სამი ფილოსოფოსი ჩამატებებისათვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცალკეული წინადადებების შესადგენად მათი პროფესიული ორიენტაციის მიხედვით. ერთმა ასეთმა ფილოსოფოსმა, ეროვნებით სომეხმა, რუს ქალზე დაქორწინებულმა, გაგვაწამა ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათაშორისი ქორწინებების წაქეზების გზით ეროვნულ ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებული ჩამატებებით. მას ეს წარმოედგინა ერების დაახლოების, მათი შერწყმისათვისაც კი მთავარ საშუალებად იგი საერთო სამუშაო მაგიდასთან დაბეჯითებით, ჯიუტადაც ცდილობდა ჩაეჩხირა თავისი დამატებები და ერთობ მოაბეზრა ყველას თავი, თვით გაწონასწორებულ და მშვიდ პეტრე ნიკოლოზის ძესაც. ერთხელ როგორღაც მან მთხოვა ამელო წარმოდგენილი გვერდები, გამეკეთებინა მათთვის რედაქცია და დამებრუნებინა საერთო მაგიდაზე. მე კი, იმის ნაცვლად, რომ მიმეხედა ტექსტისათვის, რომელიც სრულიად უვარგისად მიმაჩნდა, გადავწყვიტე ხუმრობით დავკმაყოფილებულიყავი და ავტორის საკრამენტულ ფორმულირებას — „ერების დაახლოების საუკეთესო გზას წარმოადგენს განვითარება საქორწინო ურთიერთობისა“ დავამატე: „და სქესობრივი ურთიერთობის სხვა ფორმებისა სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შორის“. როცა ეს ფორმულა წავიკითხე საერთო მაგიდასთან, მან გამოიწვია ჰომერული ხარხარი და პეტრე ნიკოლოზის ძემ, მიუხედავად გაცხარებული პროტესტისა, ყოველგვარი დანანების გარეშე მოისროლა მთელი ტექსტი“ (გვ. 192).

სამწუხაროდ, ფ. ბურლაცკი არ ასახელებს იმ ფილოსოფოსის გვარს, მაგრამ მე მგონია, იგი ერთ-ერთი ჩვენი ავტორი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მისი სულიერი ძმა მაინც არის აშკარად!

ვატყობ, რომ ეს ჩანაწერები ცალმხრივი გამომდის. მარტო კრიტიკა არ კმარა, ავტორებს რაიმე რჩევაც ხომ უნდა მივცე. ამიტომ მე მათ ვურჩევდი, ჩათვალონ ყველაზე დიდ ინტერნაციონალისტებად შაჰები და სულთნები, რომელთაც ასობით სხვადასხვა ეროვნების ცოლები ჰყავდათ. გარდა ამისა, აღიარონ, რომ „შერეული“ ქორწინება ინტერნაციონალიზმის ნიშანია, ხოლო ერის შიგნით ქორწინება — ნაციონალიზმისა; ერთი რამ არ მესმის მხოლოდ და ამიტომ თვით მათ უნდა ვკითხო: ღმერთი რომ გაწყრეს და სხვადასხვა ეროვნების ცოლ-ქმარს უთანხმოება მოუვიდეთ, ჩავთვალოთ ეს „რეგიონალურ კონფლიქტად“ და გენერალური ასამბლეის სესიაზე განვიხილოთ?

წიგნის ავტორების ლოგიკით იდეალური ქართველი ასეთი უნდა იყოს: დედა ჰყავდეს რუსი, ცოლი — სომეხი, რძალი — ყალმუხი, სიძე — ბელორუსი, ცხოვრობდეს უზბეკეთში, უყვარდეს საქართველო.

და ბოლოს, კიდევ ერთი ციტატა: „დასავლეთის პოლიტოლოგიაში ფართო გასავალი მიეცა მისწრაფებას — ერების დაახლოების პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერს სკკპ, გააიგივეონ ხალხთა ძალდატანებით ასიმილაციასთან და ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების კოლონიზაციასთან“, საბჭოთა ხალხი ამ პოლიტოლოგთა მიერ, თურმე განიხილება როგორც „საბჭოთა რუსული სუპერნაცია“ (გვ. 318).

არა მგონია, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დასავლეთის პოლიტოლოგებმა აზრი შეიცვალონ. თუ ერთა დაახლოების პოლიტიკა ტარდება იმ ხერხებით და მეთოდებით, რომლებზედაც წიგნშია ლაპარაკი, კერძოდ, ერების მაქსიმალური ათქვეფა ერთმანეთში მიგრაციის საშუალებით, შერეულ ქორწინებათა გამო ზეიმი, რესპუბლიკათა უფლებების მაქსიმალური შეზღუდვა, ეროვნული ინტერესების სახელმწიფო ინტერესებისადმი დამორჩილება (თუ საჭიროა, მსხვერპლად შეწირვა), ცალმხრივად გაგებული ნაციონალიზმი, როგორც ეროვნული კარჩაკეტილობის, კუთხურობის ეგოიზმის, ყოყოჩობის გამოვლენა, ასეთი პოლიტიკური დამღები, რომლითაც შესაძლებელია ეროვნული ინტერესის ყოველგვარი დაცვის მონათვლა, — გასაკვირი არ არის დასავლეთის პოლიტოლოგთა შეხედულება, რადგან ეს ყველაფერი არის ასიმილაცია და არა ერთა დაახლოება.

როგორც ვნახეთ, საკმაოდ მძიმე სურათი დაგვიხატეს ავტორებმა, თუმცა, თვითონ აღფრთოვანებულები არიან მისი მშვენიერებით. მართალი გითხრათ, გამაკვირვა წიგნის გამოცემის თარიღმა — 1988 წელი. სწორედ ამ წელს — გარდაქმნისა და საჯაროობის ვითარებაში შეუძლებელი მეგონა ასეთი წიგნის გამოცემა. არ გამიკვირდებოდა, სხვა თარიღი რომ ყოფილიყო, მაგალითად, 1987 წელი, ან თუნდაც 1984 წელი, მაგრამ 1988? ყველაფერი, რაზედაც ავტორები წერენ, თუ რეალური არა, სასურველი ხომ მაინც არის მათთვის? ჩქარობენ ისინი, ჩქარობენ ერთა „შერწყმას“!

# წერილები რედაქციას

ეროვნული

ყაზბეგის რაიონის ახალგაზრდობა, მასწავლებლები, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყაზბეგის რაიონული ორგანიზაციის და ხევის ახალგაზრდული გაერთიანების „თემის საბჭოს“ წარმომადგენლები უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ თქვენ მხარი დაუჭირეთ ჩვენს თხოვნას: დაიდგას თბილისში, პავლოვის ქუჩაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი და ამ ქუჩას ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის პროსპექტი ეწოდოს. ამასთან გაცნობებთ, რომ გაზეთის პრინციპულ და დროულ გამოსვლას ჯერჯერობით არავითარი დამაიმედებელი შედეგი არ მოჰყოლია.

ჩვენ კარგად გვესმის რესპუბლიკის დღევანდელი ვითარება. ხალხი და მთავრობა ერთსულოვნად ცდილობს გამოასწოროს წარსულში დაშვებული შეუსაბამობანი — ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს, ყველაფერს თავისი სახელი უწოდოს. ჩვენი აზრით, ახლანდელი პავლოვის ქუჩისათვის ალექსანდრე ყაზბეგის სახელის მინიჭება და ამ პროსპექტზე მწერლის ძეგლის საფუძვლის ჩაყრაც ამ რიგის ამოცანათა რიცხვს მიეკუთვნება.

ალექსანდრე ყაზბეგი დიდხანს ცხოვრობდა თბილისში, აქ ქმნიდა თავის შედევრებს და ეს ფაქტი აუცილებლად უნდა აისახოს.

გვსურს, თქვენი გაზეთის საშუალებით, ერთხელ კიდევ შევახსენოთ რესპუბლიკის შესაბამის უწყებებს ეს გადაუდებელი საქმე.

**შოთა არაბული**

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყაზბეგის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

**მირიან წიკლაური**

ხევის ახალგაზრდობის გაერთიანების „თემის საბჭოს“ ხელმძღვანელი.

●

იმის გამო, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ არ დაგმო ა. წ. 9 აპრილს ქ. თბილისში ჯარების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია, რომელშიც მრავალი კომკავშირელი მონაწილეობდა და რომელმაც ათეულობით ადამიანის, ძირითადად არასრულწლოვანთა და ქალების, სიცოცხლე შეიწირა, პროტესტის ნიშნად, უარს ვამბობ საქართველოს კომკავშირის პრემიაზე (მომენიჭა 1982 წელს სამეცნიერო ნაშრომებისათვის) და ვუბრუნებ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის დიპლომს, სამკერდე ნიშანსა და ფულად ჯილდოს.

ვსარგებლობ შემთხვევით და შემომაქვს წინადადება, დაარსდეს საქართველოს ახალგაზრდობის პრემია.

პატივისცემით

**გიორგი გვინჩიძე**

არქეოლოგი, სკკპ წევრი 1981 წლიდან 1989 წლის 10 აპრილამდე.

12.VI.1989.

სვანი ბიჭები

არნოლდ გეგეჭკორის ფოტო



# სტუმარ-მასპინძლის წესი

თედო პაატაშვილი

ეროვნული თვითშეგნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის დღევანდელი არნახული აღზევების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლმხედველობრივი კონცეფციის, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის შექმნა. სასურველია, დამყარდეს ატმოსფერო, როდესაც რესპუბლიკის მოსახლეობა ყველა პრობლემასა თუ სატკივარს ერთსულოვნად გაიაზრებს. მხოლოდ მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია — უნარი სხვისი ტკივილის ტკივილად აღქმისა აძლევს პიროვნებას მორალურ უფლებას მოიძიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხთა მოგვარების მისეული, ინდივიდუალური გზები. ასეთი ზნეობრივი ატმოსფერო არის აუცილებელი საზოგადოებრივ ძალთა კონსოლიდაციისათვის. მწვავე, გადაუდებელ პრობლემათა ობიექტური არსებობა, მათი აღიარება და პრობლემათა ერთად გადაჭრის სურვილია სწორედ წინაპირობა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა, როგორიც ფრონტია. ფრონტის არსებობა თავისთავად გულისხმობს, რომ ის აერთიანებს ერთი იდეისათვის მებრძოლ განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული თუ რელიგიური შემადგენლობისა და შეხედულებების საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს. ბოლოს, როგორი ფრონტი შეიქმნება — ეროვნული, სახალხო თუ საზოგადოებრივი — დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ მოსახლეობის რომელი ეროვნულ-სოციალური ფენები გაიზიარებენ რეალურად არსებულ პრობლემატიკას და გულდიად, ალალად გამოთქვამენ სურვილს თანამშრომლობისას პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში. ამ დროს აუცილებელია თანამშრომლობდეს მოსახლეობის როგორც ეროვნული, ასევე სოციალური თუ რელიგიური ძალების სრული სპექტრი, რათა შეიქმნას საკითხთა მაქსიმალურად სამართლიანი გადაწყვეტის პირობა. ეს თავისთავად აზრთა პლურალიზმსა და დემოკრატიული პრინციპებით თანამშრომლობას გულისხმობს. დემოკრატია არ ნიშნავს აბსოლუტურ თანასწორობას, კერძოდ, სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფთა ინტერესების დაპირისპირების შემთხვევაში. ბუნებრივია, რომ საკუთარ სამშობლოში პრიორიტეტი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებს უნდა მიენიჭოს.

შუააზიასა და ამიერკავკასიაში მომხდარ თუ მიმდინარე ბოლოდროინდელ მოვლენათა მწარე გამოცდილების შემდეგ, უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავს საკითხთა მოუგვარებლობა ყოვლად გაუთვალისწინებელ ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანს. ასე რომ, დგას პრობლემათა გადაჭრის და არა მიჩუმათების აუცილებლობა.

საქართველო ორასი წელი იმ სახელმწიფოს პერიფერიული ნაწილია, რომელმაც სოციალისტური მეტამორფოზა განიცადა და რომელსაც თავის დროზე რუსეთის იმპერია ერქვა. თვითმპყრობელობის თვალსაზრისით ეს რომ მართლაც მეტამორფოზა იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, თუ რა ზარზეიმით აღვნიშნავდით „ხალხთა საპყრობილესთან“ სხვა ერების „ნებაყოფლობითი შეერთების“ თარიღებს.

მატერიალისტურ-ათეისტურმა სახელმწიფომ მხოლოდ სრული ეკონომიკური კატასტროფის პირისპირ მდგარმა აღიარა ძალზე მტკივნეულ „რევოლუციურ გარდაქმნათა“ აუცილებლობა. თუმცაღა უბედურების მომასწავებელი მწვავე სიგნალები იმთავითვე გაისმოდა სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სულიერი სფეროებიდან. სწორედ რეალობის ამ მაღალი სფეროების კანონთა უხეშმა დარღვევებმა, ხშირ შემთხვევაში მათმა სრულმა იგნორირებამ, მიიყვანა ყველანაირი რესურსებით არნახულად მდიდარი ქვეყანა სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობამდე. ეჭვს, გარდაქმნა-დემოკრატიზაციის პროცესის საბოლოობისა და შეუქცევადობის შესახებ ასაზრდოებს ის აზრი, რომ ეს პროცესი ჩვენი სინამდვილის დაბალმა ეკონომიკურ-მატერიალურმა მდგომარეობამ განაპირობა და არა განწმენდის სურვილმა. მადლობა ღმერთს, რომ ამ პროცესთა შეუქცევადობისა და ბოლომდე მიყვანის გარანტიად არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებათა თუ პოლიტიკურ ორგანიზაციათა დაპირებები არსებობს, არამედ ღვთიურთხეული სამყაროს კანონები, რომლებიც გამორიცხავენ ყოფიერების ერთ ან რამდენიმე სფეროში, (ვთქვათ, ეკონომიკაში) რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას სხვა სფეროთა შესაბამისი, ჰარმონიული განვითარების გარეშე.

მიმდინარე რეფორმებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს ე. წ. განყენებული საკითხები. ნებისმიერი საკითხი ათასი ძაფით არის დაკავშირებული სხვა მრავალთან, რომელთა ერთიანობაც ერთ მთლიან, განუყოფელ ცხოვრებისეულ რეალობას წარმოადგენს. ჩამორჩენილ წარმოება-დაწესებულებებში მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელი გახდა მათი სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლა, რამაც თავისთავად დღის წესრიგში დააყენა ქალაქთა, რეგიონთა, თუ მთელ რესპუბლიკათა სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საკითხი. ეს რესპუბლიკათა სრული სუვერენიტეტისა და თავისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მომენტია. იმ თავისუფლებისა, რომელიც თავიდანვე, სამწუხაროდ, მხოლოდ ფორმალურად იდო საბჭოთა კავშირის შექმნის იდეაში. ეკონომიკურ რეფორმებს საკანონმდებლო და სამართლებრივი რეფორმების აუცილებლობა მოჰყვა. ამ საკითხთა ნაჩქარევად გადაჭრის მცდელობამ დადებითი შედეგი არ გამოიღო. საკავშირო კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა პროექტის განხილვამ ცხადყო, რომ ისინი ბევრ მცდარ და ყოვლად მიუღებელ მომენტს შეიცავდნენ. ის ფაქტი, რომ ქვეყნის ძირითადი, ცენტრალური ნაწილი პროექტის განხილვისას ფაქტიურად არ რეაგირებდა ეროვნულ რესპუბლიკათათვის განსაკუთრებით მწვავე, ყოვლად მიუღებელ მომენტებზე (ქართველმა დეპუტატებმა პროექტის ამ მუხლთა ავტორების დასჯაც კი მოითხოვეს), ნათლად მეტყველებს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ცენტრალიზაციის წესით, ზემოდან შეიქმნას ერთი საერთო კონსტიტუცია, რომელიც კავშირში შემავალი ყველა ეროვნული რესპუბლიკის სპეციფიკასა და თავისებურებებს გაითვალისწინებს. როგორც ჩანს, აუცილებელია ამ ეტაპზევე შემუშავდეს ცალკეულ რესპუბლიკათა კონსტიტუციები და შემდგომ, უკვე მათზე დაყრდნობით, კონფედერაციულ პრინციპებზე მოხდეს საერთო საკავშირო ხელშეკრულებრივი შეთანხმება, რათა რესპუბლიკათა კავშირი ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი, საჭიროებითა და აუცილებლობით იყოს განპირობებული და არა იძულებით.

ეროვნულ რესპუბლიკათა ძირითადი საკავშირო საურთიერთობო პრინციპი ინტერნაციონალიზმის პრინციპია. ინტერნაციონალიზმი ერთა თანასწორუფლებიან, სრულფასოვან ურთიერთობას ნიშნავს. იმისათვის კი, რომ ერმა სხვა ერებთან ასეთი სრულფასოვანი ურთიერთობა შეძლოს, მას საკუთარი რაობის სრულად გამოვლინების საშუალება უნდა ჰქონდეს. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ერს აქვს სახელმწიფოებრივი სტატუსი, სამართლებრივი კანონმდებლობა — კონსტიტუცია და საკუთარი ტერიტორია — სამშობლო.

მსოფლიოში სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა ეროვნული და ტერიტორიული პრინციპებით არის შექმნილი. საბჭოთა კავშირში არსებული რთული ნაციონალური საკითხები ყველაზე მძაფრად, ჩვენსავე მეზობლად, სწორედ სადავო ტერიტორიათა პრობლემების სახით გამოვლინდა. მსგავსი სიმწვავის გამოვლინებათაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემებისაგან თავისუფალი არც სხვა რესპუბლიკებია. კავშირში ყველაზე მწვავედ ეროვნულ-ტერიტორიული საკითხები სწორედ ამიერკავკასიაში დგას, რაც განსაკუთრებით ფრთხილ, ქმედით მიდგომას მოითხოვს და არა წაყრუებას. ჩვენს რეგიონში ამ პრობლემათა გამძაფრება ობიექტურმა ისტორიულმა მიზეზებმა განაპირობა. ჩვენთან ტერიტორიათა ბოლოდროინდელი გადანაწილება ისეთ ეპოქასა და პოლიტიკურ ატმოსფეროში მოხდა, როდესაც ფაქტიურად იგნორირებული იყო ეროვნული ინტერესები პოლიტიკურ ინტერესთა სასარგებლოდ. არა თუ მცირე ეროვნებათა, თვით რუსეთის ნაციონალური ინტერესები იმ დროს პოლიტიკურ მიზნებს დაუქვემდებარეს და ამის გამო საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელთა მოქმედება რუსულმა ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა ღალატად შერაცხეს. იგივე პროცესის (გერმანია-თურქეთთან ახლადშექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს საზავო მოლაპარაკების) შედეგი გახლდათ ამიერკავკასიაში ტერიტორიათა არევ-დარევაც, რომელიც შემდგომ უკვე ბელადის ქართველმა მიმდევრებმა, აქაოდა ეროვნული პატრიოტიზმი (ნაც. უკლონიზმი) არ დაგვბრალდესო, დანაშაულებრივი გულმოდგინებით განაგრძეს. მდგომარეობა ნაწილობრივ შეამსუბუქა 1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ბრძოლამ. ყველაფერ ამას წინ უძღოდა სამხრეთ საქართველოში პასკევიჩისეული მემკვიდრეობა, ხოლო დღეს კვლავ მწვავე პრობლემას წარმოადგენს მიწების საკითხი შავიზღვისპირეთში, ბოლნის-მარნეულის, ახალციხე-ბოგდანოვკა-ახალქალაქის რაიონებსა თუ კახეთში. ასე რომ, მდგომარეობა ძალზე რთულია, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოვლად გაუმართლებელია დღეს ჩვენგან ტერიტორიულ პრეტენზიათა წამოყენება მეზობლებისადმი, — ღმერთმა ის მიწა მოგვახმაროს მშვიდობით, რომელიც გვეკუთვნის.

მიწა-წყალი, არა თუ იმ უმაღლესი ზოგად-სულიერი მნიშვნელობით, როგორიცაა ერისათვის სამშობლო, თვით ისეთი კონკრეტულ-აგრარული სახითაც კი, როგორიც ოჯახისათვის სამეურნეო მიწის ნაკვეთია, უდრეხად სათუთ და სამართლიან დამოკიდებულებას საჭიროებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომელიც ჩვენივე უბადრუკი მრეწველობის ფონზეც კი სავალალოდ გამოიყურება. მიწისადმი სულიერებისაგან დაცლილმა სოციალისტურმა დამოკიდებულებამ არ გაამართლა. დღეს უკვე ოფიციოზიც აღიარებს, რომ «общая земля это ничья земля». და, რომ ამ პრინციპით მიწასთან მხოლოდ დანაშაულებრივი ურთიერთობა მყარდება, რასაც ბუნების შესაბამისი რეაქცია მოსდევს. გულისხმიერება მხოლოდ პიროვნული, ინდივიდუალური არსებობს და არა „საერთო სახალხო“ ან „კოლექტიური“, ხოლო გულისხმიერებას მოკლებული ყოველგვარი ურთიერთობა, მით უფრო კი ურთიერთობა ცოცხალთან, არაჯანსაღი, პათოლოგიური ურთიერთობაა.

მდგომარეობის გამოსწორებისაკენ მიმართულმა მოქმედებამ გადაუდებლად დასვა საკითხი, რომ მიწას კონკრეტული, რეალური პატრონი ჰყავდეს და არა ზოგად-აბსტრაქტული. ფერმერი თუ მოიჯარე უარს ამბობს მიწისადმი მზრუნველ, გულისხმიერ ურთიერთობაზე და სავსებით სამართლიანად მოითხოვს იურიდიულ-სამართლებრივ გარანტიებს იმისას, რომ მისი მეურნეობა მის შვილებს, მის შთამომავლობას დარჩება. ამასთან დაკავშირებით უკვე გამოიკვეთა ხელისუფლების პოზიცია, რომელიც აპირებს ასეთი სამართლებრივი გარანტიების შექმნას. და თუ დღევანდელ „საბჭოთა ფერმერთა“ ჯერაც არდაღვრილი ოფლი წინასწარ მოითხოვს და იმკვიდრებს მიწის მემკვიდრეობითობის სამართლიან გარანტიას, ამავე მიწაზე წინაპართა მიერ ზღვად დაღვრილ სისხლსა და ოფლს იგივე მოთხოვნაზე არ შეიძლება უარი ეთქვას!

ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორია ისევე საჭიროებს მზრუნველ, გულისხმიერ დამოკიდებულებას, როგორც საკარმიდამო თუ სამეურნეო ნაკვეთი. მოსახლეობასა და ქვეყანას შორის გაცილებით რთული, მრავალმხრივი ურთიერთობა მყარდება, რაც მასშტაბურობითა თუ შედეგთა მნიშვნელობით ბევრად აღემატება კონკრეტული ოჯახის თავისსავე მიწის ნაკვეთთან ურთიერთობის ყველა შესაძლო ფორმასა და მათგან მომდინარე შედეგებს. ამიტომ აუცილებელია ამ ურთიერთობის თვისობრივად გაცილებით მაღალ რანგში აყვანა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ეს გრძნობა ყოველგვარ შოვინისტურს მოკლებული პატრიოტიზმით უნდა დაგვირგვინდეს. სამშობლოს სიყვარული — პატრიოტიზმი, ერთი თაობის დამსახურება, ერთი თაობის მონაპოვარი არ არის. ის ისევე გადაეცემა წინაპართაგან შთამომავლობას, როგორც სისხლით და გენით, ჯიში და რასა, როგორც მშობლიური ზეცა და მიწა-წყალი. სწორედ ეს გააცხადა კიდევ ერთხელ გასული წლის 22-29 ნოემბერს, თბილისში, პრაქტიკულად ეროვნულ-პატრიოტულ აღზრდას მოკლებულმა ახალგაზრდობამ: სამშობლოს სიყვარულის გრძნობა; ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ჰკრავს ერში ერთ მთლიანობად ღვთისა და წინაპართაგან ბოძებულ ფიზიკურ, ორგანულ და სულიერ მემკვიდრეობას. პატრიოტიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია სრული და ჯანსაღი, როცა ამ სამი სახის მემკვიდრეობიდან მას არც ერთი არ აკლია: არც მშობლიური ზეცა და მიწა-წყალი, არც ჯიში და რასა და არც ეროვნული სული — კულტურა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ინტერესთა დაპირისპირების შემთხვევაში პრიორიტეტი მკვიდრი ეროვნების ინტერესებს უნდა მიენიჭოს. უფლებათა ეს პრივილეგია განპირობებულია ვალდებულებათა პრივილეგიით, რაც ადგილობრივ ერს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს და ანიჭებდა ქვეყნის მოვლა-პატრონობისა თუ დაცვის საქმეში. ძნელბედობის ჟამს ხომ ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც წესი, ადგილობრივი ეროვნების მოსახლეობა იდევნებოდა და ულტე- ზოდა განსაკუთრებული სისასტიკით. სწორედ მშობლიური ერის წარსულია წინაპართა ყოველი თაობის ჯანსაღი პატრიოტიზმისა, რომელიც განსაკუთრებული ძალით [illegible] მხოლოდ ადგილობრივ ერს შეიძლება გამოვლინდეს (სხვა ქვეყანაში თუნდაც ასწლეულთა განმავლობაში მცხოვრებ ერს, რომელიც თავის განსხვავებულ ეროვნებას, ენასა და კულტურას ინარჩუნებს, იმ ქვეყნისადმი, რომელშიაც სახლობს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ პატრიოტიზმის გაორებული გრძნობა შეიძლება ჰქონდეს). სწორედ ეს აძლევს მკვიდრ ერს უფლებას იყოს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, იყოს თავის სამშობლოში მასპინძელი.

დღეს ეროვნულ თუ დემოგრაფიულ საკითხთა უმრავლესობის სიმძაფრეს სწორედ ნაციონალურ რესპუბლიკებში სტუმარ-მასპინძლის სტატუსის იგნორირება, მისი არევ-დარევა განაპირობებს. ეს სოციალური პოლიტიკის მიერ ნაციონალური პოლიტიკის საკითხებში დაშვებული იმ უხეში შეცდომების ბრალია, რომელიც ათეისტური ინტერნაციონალიზმის გზით გარდაუვალად მიიჩნევდა ეროვნებათა შერწყმას (რაც პრინციპულად განსხვავდება თეისტური კოსმოპოლიტიზმისაგან. პირველი, მაგალითად, მიიჩნევდა, რომ რუს პროლეტარს რუსსავე ინტელიგენტზე მეტად გერმანელი პროლეტარი უნდა ჰყვარებოდა და ამ ვარაუდის განხორციელებას კლასობრივი ანტაგონიზმით — ერთი ერის შიგნით სოციალურ ფენათა შორის შეურიგებელი სიძულვილის გაღვივებით ცდილობდა. მაშინ, როდესაც თეისტური კოსმოპოლიტიზმი ყველა ჩვენთაგანში არსებული ღვთაებრივი ბუნების თავზე მეტად შეყვარებით ცდილობს დააძლევინოს ადამიანებს ურთიერთგანსხვავებით გამოწვეული უხერხულობა და სიძულვილი).

ელემენტარულია ჭეშმარიტება: არანორმალურია მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში ადგილობრივ ეროვნებას რაოდენობრივად უცხო ტომი სჭარბობს. ეს საშიშროება ჯერ ჰორიზონტზედაც კი არ უჩანთ, მაგრამ თავისუფალი სამყაროს განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები კარგა ხანია მიმართავენ ქმედით ღონისძიებებს მდგომარეობის საკონტროლებლად: ქვეყნის მოქალაქის სტატუსის მინიჭების წესების საოცარი გამკაცრებით, მოქალაქეთა სტატუსის რამდენიმე რანგის შემოღებით თუ წესებით, რომლის ძალითაც ემიგრანტმა — ქვეყნის არა მოქალაქემ 24-საათში უნდა დატოვოს ქვეყნის ფარგლები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თუკი მას ამ სახელმწიფოს მოქალაქე რაიმე პრეტენზიას წაუყენებს. ეს მაშინ, როცა ინგლისსა თუ გერმანიაში, კუვეიტსა თუ საემირატოებში ჩასული თურქი, ირანელი, ეგვიპტელი თუ სურინამელი ან ცდილობს და ახერხებს კიდეც, რომ ერთ წელიწადში მატერიალურად „წელგამართული“ დაბრუნდეს სამშობლოში, ანდა, თუ მას იქ დარჩენა სურს, ერთი სული აქვს როდის ველარ განარჩევენ მას ფრანგის, ინგლისელისა თუ კუვეიტელისაგან.

დემოგრაფიულ-ეროვნული პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავით სწორედ მეზობელ რესპუბლიკათა მოსაზღვრე, ამავე ეროვნებებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში დგას. (იგივე ეროვნების მოსახლეობით დასახლებულ, ვთქვათ, თბილისის რაიონებში ეს პრობლემები გაცილებით ნაკლებმწვავეა, რადგან აქ სტუმარ-მასპინძლის სტატუსი არ არის აღრეული, თუმცა არცთუ ისე დიდი ხნის წინ — საუკუნის დასაწყისში ასე არ იყო). საქართველოს ეს რაიონები იქ მოსახლე ეროვნებათა სამშობლოთაგან მხოლოდ პირობითი საზღვრით იმიჯნება, ამასთან, ამ რესპუბლიკებში უკვე ათწლეულთა მანძილზე მიმდინარეობს კამპანია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ, საერთაშორისო თუ მეცნიერულ დონეზე „დაამტკიც“-დაამკვიდრონ ამ ქართულ ტერიტორიათა არაქართულობა: მოსახლეობის საკუთარ წესზე მონათვლით, ტოპონიმიკის შეცვლით, ისტორიულ დოკუმენტთა დამახინჯებით, ეროვნული კულტურის ძეგლთა ხელყოფა-გადაკეთებით, მოსახლეობის უკანონო მიგრაციით და თვით

იარაღის ძალითაც კი! დღეს ამას ემატება ჩვენში კარგად ცნობილი ლოზუნგი: „ყველგან, კავშირში, ნებისმიერი ეროვნების ადამიანმა თავი უნდა იგრძნოს საკუთარ სახლში“, ეს თანასწორობის მოჩვენებითად სამართლიანი იდეაა. არათანასწორთა ხელოვნური გათანასწორება, მხოლოდ პრობლემებს წარმოშობს. შეუძლებელია, კაცმა ნამდვილად შინ იგრძნოს თავი იქ, სადაც მისი სულიერი სახლი, მისი სამშობლო არ არის. (სხვა საკითხია და, რა თქმა უნდა, თავი ცუდად არ უნდა იგრძნოს). ყოველივე ეს ქმნის შემზარავ მდგომარეობას, როდესაც საქართველოში ქართველი ხდება სტუმარი, მოსული ერი კი მასპინძელი. ამასთან, ქართველ „სტუმარს“ მასპინძლობის ბუნებრივი პრეტენზიები აქვს, ხოლო მოსულ „მასპინძელს“ ქართველის მასპინძლობის გაგონებაც არ სურს. ამიტომ საქართველოს გარკვეულ რაიონებში ქართველებს აღარ ედგომებათ. მარტო უკანასკნელ 20-30 წელიწადში ქართველი მოსახლეობის რიცხვი აქ კატასტროფულად შემცირდა, ზოგან კი საერთოდ გაქრა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორება ქმედითი, ალბათ, ერთგვარად მტკივნეული ღონისძიებებით შეიძლება მხოლოდ, ისევე როგორც დიდი ხნით ნებაზე მიშვებული წყლულის მკურნალობა. ეროვნულ პრობლემათა ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი — ფსიქოლოგიური ფაქტორი გახლავთ. ეს ფაქტორი დასაბამს ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებიდან იღებს — გადააქციოს ადგილი, სადაც ის სახლობს, მისთვის ყოველმხრივ საუკეთესო სამყოფლად — თუ შესაძლებელია სამშობლოდაც. მეზობელ რესპუბლიკათა მოსაზღვრე საქართველოს რაიონების არაქართველი მოსახლეობის ამ მოთხოვნილებას, როგორც აღვნიშნეთ, პათოლოგიურს, დანაშაულებრივსაც კი ხდის ამავე მეზობელ რესპუბლიკებში გაჩაღებული ანტიქართული კამპანია. ცხადია, ყოველივე აძით ზურგგამაგრებულ ტენდენციებს ვერ აღუდგებოდა წინ საქართველოს რესპუბლიკის ხსენებული პირობითი საზღვარი, რომელიც იმდენად პირობითია, რომ ზოგიერთ ამ რაიონში, სასაზღვრო ზოლის საბაბით, საქართველოდან ჩასვლა გაცილებით ჭირს (საპასპორტო რეჟიმის გამო), ვიდრე მეზობელი რესპუბლიკებიდან. ის ფაქტი, რომ არაქართველი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (რესპუბლიკაში თუ მის ფარგლებს გარეთ), ამ უძველეს ქართულ მიწებს არაქართულ ტერიტორიებად მიიჩნევს, უკვე წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს, მიუხედავად იმისა, აცხადებენ თუ არა ეს ერები დღეს ამ ტერიტორიებზე პრეტენზიებს. ის, რომ ამ რაიონებში არაქართველი მოსახლეობა გაცილებით სწრაფად მრავლდება, ვიდრე იგივე ერი საკუთარ სამშობლოში, ნათლად მეტყველებს ამ პროცესის განმაპირობებელ (ცნობიერ თუ არაცნობიერ) ერთგვარ სტრატეგიულ მიზნებზე. ხოლო თუ მოსახლეობის ეს უჩვეულო მატება, ამ რაიონებში განსაკუთრებულად კარგი ცხოვრების პირობებით არის გამოწვეული, მაშინ ამ მოსახლეობამ მათთვისვე ამავე მიწა-წყლის ქართულობის შემახსენებელი თუ დამამკვიდრებელი ღონისძიებანი უნდა გაიგოს და მადლიერების გრძნობით მიიღოს. მხოლოდ განსაკუთრებულად უარყოფითი, ყოველგვარი გაგების მომენტს მოკლებული გაღიზიანებული რეაქცია მათ მტრულ, სტრატეგიულ მიზნებს ადასტურებს, რაც მით უფრო აუცილებელსა და საჩქაროს ხდის ამგვარ ქმედით ღონისძიებათა გატარებას, რათა მეზობლად მიმდინარე კატასტროფიული პროცესები ჩვენთანაც არ განმეორდეს.

აუცილებელია მოინახოს მუდმივმოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ჩვენთან მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ცნობიერებაში ჩვენი რესპუბლიკის ეროვნულობას — ქართულობას დაამკვიდრებს.

პირველი ასეთი აუცილებელი ფაქტორი რესპუბლიკის ტერიტორიის ნაციონალურ საკუთრებად გამოცხადებაა (რაც კონსტიტუციურად უკვე გაკეთდა ბალტიისპირეთში), ყველა რესპუბლიკა პირველ რიგში ეროვნული რესპუბლიკაა და მხოლოდ შემდეგ საბჭოთა თუ სოციალისტური. მიუხედავად მოსახლეობის დღევანდელი სიჭრელისა, სწორედ ერთ მკვიდრ ერს ეკისრება და ეკისრებოდა ათასწლეულთა მანძილზე ქვეყნის ტერიტორიის მოვლა-პატრონობის, დაცვისა და შენარჩუნების უმძიმესი მისია.

მეორე ფაქტორი ეროვნული რესპუბლიკის მოქალაქეობის სტატუსი გახლავთ. რომელიც ალბათ, ქართული ენის ცოდნის მიხედვით უნდა მიენიჭოს. შეუძლებელია, დაიბადო და გაიზარდო ქვეყანაში, ჯეროვან პატივს სცემდე მის ერს, მის კულტურას, აქტიურად მონაწილეობდე ქვეყნის ცხოვრებაში — იყო სრულფასოვანი მოქალაქე, თუ ამ ერის ენა არ იცი. (ხომ წარმოუდგენელია იყო ინგლისის, საფრანგეთის თუ გერმანიის მოქალაქე და არ იცოდე, სურვილიც კი არ გქონდეს, ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენის სწავლისა.

მესამე ფაქტორი — ეროვნული გადასახადია. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ თუნდაც რამდენადმე საგრძნობი ეკონომიკური სირთულეები შეუქმნას ამ გადასახადმა რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნების მოსახლეობას. რა თქმა უნდა, მასში მცირედაც კი ვერ აისახება ის მადლი და სარგებელი, რაც ერის კუთვნილ მიწა-წყალზე ცხოვრება-მოღვაწეობას, მისი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას მოაქვს. ეს გადასახადი უფრო სიმბოლური, ფსიქოლოგიური ხასიათის უნდა იყოს, რათა მან ხელი შეუშალოს ცნობიერებაში მკვიდრი ერის მიმართ ისეთი მტრული და საშიში გრძნობების გაღვივებას, როგორიცაა უმადურობიდან მომდინარე ეროვნული პრეტენზიულობა. ადამიანს საერთო სახალხო და საყოველთაო საკუთრებაზე არანაკლებ, უფასოდ — უსასყიდლოდ მიღებული მადლისა და სიკეთის დაფასება უჭირს. მას, ვისაც მადლიერების ოდნავი გრძნობა მაინც გააჩნია იმ ერისა და ქვეყნის მიმართ, სადაც ცხოვრობს, ამ გადასახადის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს. აუცილებელია სტუმარ-მასპინძლობის სტატუსი საზოგადოების შეგნებაში დამკვიდრდეს და აღარ წაიშალოს.

ზემოთაღნიშნული სტუმარმასპინძლობის საუკეთესო მაგალითია ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა! ებრაელებს ეყოთ შინაგანი ტაქტი და კულტურა, რათა სტუმრად მოსულებს მასპინძლობის პრეტენზიები არ გასჩენოდათ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათგან საკუთარი „სტუმრის“ სტატუსის არდავიწყებამ საქართველოში (და ვგონებ მხოლოდ საქართველოში) ებრაელებთან ყოველგვარი ეროვნული შუღლი და დაპირისპირება გამორიცხა.

სამწუხაროდ, ჩვენს დღევანდელ, სოციალისტურ სინამდვილეშიც კი მსგავს ქმედით ღონისძიებათა გატარება ნაციონალურ ინტერესთა დასაცავ-დასამკვიდრებლად ჯერჯერობით შეუძლებელია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა შემდგომი გაღრმავების აუცილებლობას. რესპუბლიკაში თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ერთობ საშიშ, ანტიქართულ პროცესებს რეალური ქმედებანი უნდა დავუპირისპიროთ. ძნელია სხვა ეპითეტი მოუძებნო თუნდაც საქართველოში აზერბაიჯანული კულტურული ავტონომიის შექმნის საკავშირო პრესაში გამოქვეყნებულ იდეებს. (იხ. „ლიტერატურული საქართველო“ [illegible].1989), იმისათვის, რომ ეს ქმედებანი ნაყოფიერიც იყოს და საკანონმდებლო-კანონიერიც, აუცილებელია კანონმდებლობის, უპირველეს ყოვლისა კი რესპუბლიკის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის შეცვლა, სწორედ ეროვნულ პრობლემათა თუ თავისებურებათა გათვალისწინებით. საკავშირო კონსტიტუციის შესწორებებისა და დამატებების შემდეგ, რესპუბლიკური კონსტიტუციის შეცვლის აუცილებლობა საეჭვო არ უნდა იყოს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები უკვე იძლევიან ამ მიმართულებით საკმარისად დახვეწილი პოლიტიკური ბრძოლის მაგალითს, სადაც ერთ მუშტად შეკრული ერი და ხელისუფლება წარმატებით ამკვიდრებს ეროვნულ თვითმყოფადობასა და სუვერენიტეტს. დღეს ეროვნული სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ერთად მებრძოლი ერი და ხელისუფლება ის რეალური ძალაა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება.

1989 წლის მარტი.

# საფრთხე ყველასათვის

ეკოლოგიური პრობლემები ზოგადსაკაცობრიო, საყოველთაო მნიშვნელობისაა. „ჩვენ სხვაგან ვერსად წავალთ. ამიტომ უნდა ვაუფრთხილდეთ დედამიწას — ადამიანთა ერთადერთ საცხოვრებელს“, — განაცხადა ამას წინათ ერთმა ინგლისელმა ეკოლოგმა... დღეს ეკოლოგია „მომგებიანი“ თემაა ჟურნალისტისათვის. მასზე ბევრი იწერება, იგი მუდმივი კამათის საგანია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. ეროვნული მოძრაობის მკვეთრი აღმავლობა ჩვენს სინამდვილეში, სწორედ ეკოლოგიურად კონფლიქტური წერტილების ირგვლივ წამოჭრილი აზრთა სხვადასხვაობით დაიწყო.

... უკვე აღარავინ კამათობს იმის შესახებ, რომ დღეს ეკოლოგიური ბრძოლის ერთიანი სტრატეგია და ტაქტიკა გვჭირდება ფართო საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით. ახლახანს რესპუბლიკის ბუნების დაცვის საზოგადოების, საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო საზოგადოებრიობასთან შეხვედრა თემაზე: „ქალაქ თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაცვის პრობლემები“. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრის ფორმა სწორად იქნა მიგნებული. ეს იყო შეუზღუდველი, წინასწარი ჩარჩოებისაგან თავისუფალი მსჯელობა მწვავე ეკოლოგიურ საკითხებზე, ამიტომ კამათი ხშირად სცილდებოდა შეხვედრის ძირითად თემას.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შოთა ჭალაგანიძემ ყურადღება გაამახვილა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალ მაჩვენებელზე; მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია 2-2,5-ჯერ აღემატება დასაშვებ ზღვარს. ეს ციფრები თავისთავად მრავლისმთქმელია... ყოველივე ამის შედეგად უპირველესად ადამიანის ჯანმრთელობა ზიანდება და ნადგურდება, მატერიალურ ზარალზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად კი საჭიროა დაფიქრება, სათანადო დასკვნების გამოტანა და სიტყვიდან საქმეზე გადასვლა.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის მიხეილ ლოლობერიძის მოხსენება თანამედროვე ქალაქების ატმოსფერული ჰაერის სიწმინდის პრობლემებს ეხებოდა. სამართლიანად აღინიშნა, რომ ჰაერის დაბინძურება სოციალური დაავადებაა. დიდ ბრიტანეთში მის მიერ მიყენებული ეკონომიკური ზარალი 252 მილიონ ფუნტს შეადგენს. (საბჭოთა კავშირში ეს ციფრები არ ქვეყნდება). ამიტომ, ბუნებრივია, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს დამაბინძურებელი წყაროების გაუვნებლობა, უნდა შეიქმნას უნარჩენო ტექნოლოგია, მაგრამ ურბანიზაციის მართვის პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა დიდძალი თანხები. საერთოდ კი, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრინციპები გათვალისწინებული უნდა იქნეს ქალაქმშენებლობაში. ამ მხრივ თბილისის ხელმძღვანელობის მიერ პრაქტიკულად ძალიან ცოტა რამ კეთდება. მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა ქალაქ რუსთავშიც. დღის წესრიგში დგება გარდაბნის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოებისათვის 270 მ სიმაღლის საკვამლე მილის მშენებლობის საკითხი. ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შემოწმება სხვადასხვა ადგილებში უნდა ხდებოდეს კონტროლის ავტომატიზირებული სისტემებით (როგორც ეს უცხოეთშია).

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს უფროსის მურმან არდიას ცნობით, ყოველწლიურად წარმოებს 300.000 დაკვირვება ჰაერის შემადგენლობაზე, მოქმედებს რვა სტაციონარული საგუშაგო. აღინიშნა, რომ ჰაერის გაჭუჭყიანების ინდექსი ძალიან მაღალია მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში, უახლოვდება კრიტიკულ დონეს. მაგრამ სამსახურის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს ფაბრიკა-ქარხნებში არ ექცევა სათანადო ყურადღება. შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს მშენებლობის დაბალი კულტურა — მაღალია მტვრის შემადგენლობა ჰაერში. გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც — ოპერატიული ინფორმაციის ცენტრების უქონლობა, საზოგადოების ეკოლოგიური განათლების დაბალი დონე.

იუსტიციის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა გიორგი მიქანაძემ კრიტიკულად შეაფასა რესპუბლიკის იურიდიული სამსახურების მუშაობა ეკოლოგიურ დარღვევათა თავიდან ასაცილებლად. ბუნების დაცვის, ბუნებათსარგებლობის კანონები ასახულია კონსტიტუციაში, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსში, მაგრამ მათი ქმედითუნარიანობა დაბალია. ადამიანმა ვერ გაითავისა ეს პრობლემები, კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის კანონმა ბუნების სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს. აღინიშნა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კანონით გათვალისწინებული სასჯელი არც ერთ დამრღვევს არ შეხებია, რის გამოც არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო აქტების შემდგომი სრულყოფა.

ერთი შეხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონი თითქოს სრულყოფილია, მაგრამ პრაქტიკულ შედეგებს იგი ნაკლებად იძლევა,—ითქვა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სპეციალიზირებული რესპუბლიკური ინსპექციის უფროსის რეზო ცხვიტავას გამოსვლაში. ამ საკითხზე აუცილებელია დაწესდეს სახელმწიფო კონტროლი, საზოგადოების თითოეულმა წევრმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, დარღვევების შესახებ აცნობოს შესაბამის სამსახურებს, მითუმეტეს, რომ თბილისის ფაბრიკა-ქარხნების უმეტესობას არ გააჩნია სანიტარული დაცვითი ზონა, მტვერდამჭერი, აირდამჭერი მოწყობილობები.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის საქალაქო საბჭოს ცენტრის დირექტორმა კონსტანტინე ცხაკაიამ წარმოადგინა თბილისის ეკოლოგიური პროგრამა, რომელიც განხილვის პროცესშია... განსაკუთრებით საგანგაშოა მდინარე მტკვრის სანიტარული მდგომარეობა. მისი დამაბინძურებელი მსხვილი საწარმოები საკმაო თანხების არსებობის მიუხედავად არაფერს აკეთებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი გიგაურმა აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და სხვათა მაღალი ტემპებით განვითარებასთან დაკავშირებით გარემოს დაბინძურებამ გლობალური მასშტაბები მიიღო და უკიდურესად მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია შეიქმნა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ გარშემო არსებული ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციების გაძლიერებას. ტყე ჰაერის ქვედა ფენებს გაჭუჭყიანებისაგან იცავს, რიგ მცენარეებს მავნე აირების დეტოქსიკაციის უნარი გააჩნიათ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილემ გივი ოდიშარიამ მოიყვანა სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტომანქანების მავნე გამონაბოლქვი რვაჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. აღინიშნა, რომ ვერ ხერხდება დიზელის ძრავიანი მანქანების შემოწმება, იგრძნობა სპეციალისტთა ნაკლებობა. ავტოინსპექცია იმიტომაც არის დაინტერესებული ამ საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტით, რომ ტოქსიკური ჰაერი მძღოლზე საზიანოდ მოქმედებს. ტრანსპორტის გადაყვანა ბუნებრივ და თხევად გაზზე ნელი ტემპებით მიმდინარეობს, დაბალია გამოყენებული ბენზინის ხარისხი. ტექმომსახურების ადგილებში ყველა საჭირო დეტალის შეძენა უნდა იყოს შესაძლებელი. ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ქმედითი ზომების მიღება.

ახალგაზრდა მეცნიერმა, ბიოლოგმა ნინო ფორაქიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ სიძნელეებზე, რომელსაც ახალგაზრდები წააწყდნენ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე მუშაობის პროცესში. ეს არის სახსრების პრობლემა, არასაკმარისია ეკოლოგიური სამსახურებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი თანხები; არ არსებობს მოქმედების ერთიანი კონცეფცია. მან საინტერესო პროექტი წარმოადგინა თბილისის გამწვანების მეცნიერული საფუძვლების შემუშავების შესახებ. მცენარეებს გააჩნიათ ამორჩევითი დეტოქსიკაციის უნარი, მათ შეუძლიათ შეასრულონ ინდიკატორის ფუნქცია.

როგორ უყურებენ ამ პრობლემას თვით „დამაბინძურებელი“ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები? მათი გამოსვლები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო. ქარხანა „ცენტროლიტში“ (დირექტორი გ. გოჯუხაშვილი) საწარმო პროცესების სრულყოფის მიზნით დაიდო ხელშეკრულებანი სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ქარხანა „ელექტროიზოლიტი“-ს ხელმძღვანელობა ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში დააჩქაროს ძველი დანადგარების რეკონსტრუქცია, მათი ახლით შეცვლის პროცესი. გარდა ამისა, წარმოებიდან მოიხსნა ერთ-ერთი მომწამვლელი სახეობის იზოლაცია, მიმდინარეობს სხვა პროცესების გაუვნებლობა. საყურადღებოა, რომ ქარხანა მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ უბანში, არა აქვს სანიტარული ზონა.

საგანგაშო ზარების ხმა მოისმა კამათში გამოსულთა სიტყვებში: დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი აზრიც გამოითქვა. ზოგიერთი გამოსვლა სასურველია მეტად კონკრეტული, საქმიანი ყოფილიყო. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის ვახტანგ ჯაოშვილის, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარის გივი თუმანიშვილის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის რამაზ გოგლიძის მიერ გამოთქმულ შენიშვნებში სხვადასხვაგვარად აისახა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზები, მეთოდები. გამოითქვა რიგი კრიტიკული შენიშვნები ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის მიმართ. კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ანდრიაძემ პასუხი გასცა ზოგიერთ წამოჭრილ კითხვას, დაინტერესებულ პირთ აღუთქვა რეალური დახმარება.

აღსანიშნავია, რომ ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემათა განხილვას არ ესწრებოდნენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ქართველი ექიმები.

„ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიზანი პრაქტიკული, საქმიანი წინადადებებისა და რეკომენდაციების გაანალიზება და მათი მთავრობის წინაშე დაყენება იყო, ეს პროცესი ჯერ კიდევ გაგრძელდება“, — გვითხრა დასასრულს შოთა ჭალაგანიძემ.

გამოითქვა აზრი, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან პრესაში სისტემატურად გამოქვეყნდეს ფაქტები იმის შესახებ, ვინც ხელყოფს საქართველოს ბუნებასა და თანამემამულეთა ჯანმრთელობას. ეკოლოგიური უშიშროების მისაღწევად კი დიდი გულმოდგინებაა საჭირო, რადგან საშუალებანი, რომლითაც ჩვენ კეთილდღეობას ვიქმნით, ხშირად ჩვენსავე წინააღმდეგ შემობრუნდება ხოლმე...

ნინო კვიტაშვილი

# საჭირო განმარტება

## შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის შესახებ

დიდხანს ვყოყმანობდი, სანამ ამ წერილის დაწერას გადავწყვეტდი, ვფიქრობდი, ვინმეს პირადი წყენის შედეგად არ ჩაეთვალა იგი. ბოლოს მაინც საჭიროდ მივიჩნიე სწორად აღმენუსხა შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის მოპოვების ფაქტი თანამედროვეობის მისადაგებით. ეს 30 წლის წინათ მოხდა, მაგრამ 30 საუკუნეც რომ იყოს გასული, ამბავი, რომელიც შოთა რუსთაველთანაა დაკავშირებული, ხანდაზმულად მაინც არ ჩაითვლება.

1958 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" (№ 8) ჩართულ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი წერილი „აღმოჩენილია შოთა რუსთაველის, პეტრე იბერის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები. 1. შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან". იქვე იყო მოთავსებული შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის ასლი ნიკო ჩუბინაშვილის არქივიდან, ზემოაღნიშნულ სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჟამსა ყოფნისასა წმიდასა ქალაქსა იერუსალიმს, 1845 წელსა, მაისის 3-4 და შემდგომცა რაოდენჯერმე, წარვედით მოხილვად მონასტრისა, რომელიც არს სავალი ნახევარი ჟამისა, ძველად დაფუძნებულ არს ქართველთაგან ვითარცა აღწერს მოსრული აქა 1757-1758 ქართველი მთავარეპისკოპოსი ტიმოთე"...

ნიკო ჩუბინაშვილი შოთა რუსთაველის პორტრეტს შემდეგნაირად აღწერს: „ამას ქვემოდამ დახატულნი არიან წმ. მაქსიმე და იოანე დამასკელი, ამათ შუა მუხლზე მდგომი მოხუცი თეთრი სქელი და გრძელი წვერით, თავზე ხურავს მაღალი თეთრი არაჩინი. შავი ძაძა შემოდებული, მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზეიდამ ასხია ჭიგრისფერი ხირლა სარისკაცო სამხრითა. ამას აწერია: „ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ. შოთა რუსთაველი". იქვეა მითითებული წყაროს მაჩვენებელი, ხოლო თვით წყარო ჩვენგან ხაზგასმულია.

ამ წერილს სწრაფად გამოეხმაურა მეცნიერთა ერთი ჯგუფი. გაზეთ „კომუნისტში" 1958 წლის 12 ნოემბერს დაიბეჭდა რეცენზია სათაურით „სინამდვილის დამახინჯების წინააღმდეგ".

სარეცენზიო წერილის ავტორი იყო აწ განსვენებული პროფესორი ილია აბულაძე, იმჟამად ხელნაწერთა განყოფილების უფროსი. ამ განყოფილებაში იყო მოთავსებული საეკლესიო არქივის მასალებიც.

პატივცემულმა პროფესორმა განიზრახა გაეუფასურებინა ჩემს მიერ გამოქვეყნებული შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის მნიშვნელობა. მან თავისი წყენა სარეცენზიო წერილის სათაურშივე გამოხატა „სინამდვილის დამახინჯების წინააღმდეგ", უფრო მეტი, ბატონი ილია, ცხადია, გრძნობდა, რომ მისი რეცენზია ვერ იყო დასაბუთებული, რეცენზიას რომ მეტი ძალა მისცემოდა, წერილზე ხელი მოაწერინა აკადემიკოსებს: გიორგი ჩუბინაშვილს, შალვა ამირანაშვილს, პროფესორ ალექსანდრე ბარამიძეს და დოცენტ ვახტანგ ბერიძეს.

ვნახოთ, რას მისაყვედურებდნენ: სხვათა შორის, წერილის დასაწყისი მეტად კეთილისმყოფელია: „თვით ფაქტი ამ სურათების ჟურნალში გამოქვეყნებისა ფართო საზოგადოების საყურადღებოდ მისასალმებელია"-ო, ამბობენ ისინი და იქვე დასძენენ, „მაგრამ პუბლიკაციას თან ახლავს ზოგი ისეთი რამ, რაც ყალბ წარმოდგენას ქმნის საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ". აი ისინიც: 1. სინამდვილეს არ შეეფერება სენსაციური სათაური ხსენებული სურათების ახლად „აღმოჩენის" შესახებ. ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერი და სურათები, რომელიც მას ერთვის, დიდი ხანია ცნობილია: მათ იცნობდა უკვე პროფესორი ალ. ცაგარელი. რომელმაც გამოაქვეყნა ნ. ჩუბინაშვილის ხელნაწერი ტექსტი". (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" 1960 წ. № 12, გვ. 7).

ჯერ ის ვთქვათ: თუ სინამდვილე დამახინჯებულია, ყალბია, მაშინ რა გამოდის, სინამდვილის დამახინჯებაა მისასალმებელი?

შემდეგ რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის აღმოჩენის შესახებ მეცნიერთა ჯგუფი წერს: „ამგვარად, ბ. კანდელაკის სიტყვები შ. რუსთაველის პორტრეტის შესახებ: — „ახლა აღმოჩნდა ამ პორტრეტის ასლი", „ამ პორტრეტის პირი ახლახანს ხელნაწერების გადათვალიერების დროს საბედნიეროდ მე შემხვდა" — სინამდვილეს ამახინჯებს. შეიძლება თქმულიყო მხოლოდ, რომ რუსთაველის პორტრეტის ჩანახატი ახლა პირველად ქვეყნდება". (იქვე. გვ. 8).

ჯვრის მონასტერში რომ შოთა რუსთაველის პორტრეტი იყო მიხატული, ეს ადრევე იცოდნენ ტიმოთე გაბაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, პეტრე კონჭოშვილმა, ფერაძემ და სხვებმა, მაგრამ არცერთ მათგანს იგი არ გამოუქვეყნებია. ამავე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" (1960 წ. № 12. გვ. 5) ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი „შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში, ახალი დიდი მონაპოვარი რუსთველოლოგიაში" წერენ: „1888 წ. ეს პორტრეტი ნახა ალ. ცაგარელმა, მაგრამ წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, მას პორტრეტი არ გადაუღია".

1901 წელს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის პორტრეტი ვერ იპოვეს, რადგან ბერძენ ბერებს იქ ყოველგვარი ქართული კვალის დაფარვის მიზნით იგი სქელი სალებავის ქვეშ მოექციათ. ამდენად, შოთა რუსთაველის პორტრეტი ჯვრის მონასტერში დაკარგულად იყო მიჩნეული. აბა, რა გასაკვირია, რომ 1958 წელს ჩემს მიერ შოთა რუსთაველის პორტრეტის გამოქვეყნება აღმოჩენად მიიჩნიათ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (გვ. 765) სიტყვა აღმოჩენა ასეა განმარტებული: „მიგნება, ნახვა იმისა, რაც მანამდე არ იყო ცნობილი". მეცნიერთა ჯგუფიც ხომ ადასტურებს, რომ „შეიძლება თქმულიყო მხოლოდ, რომ რუსთაველის პორტრეტის ჩანახატი ახლა პირველად ქვეყნდება", მაშინ რაღა რჩება სადავო და გასარკვევი, ან სასაყვედურო? ეს სურათი ხომ პირველად მე გამოვაქვეყნე. ესე იგი მე მივაგენი.

2. ბრალდება. „ბ. კანდელაკი სარგებლობს ამ წიგნით, მას სიტყვასიტყვით აქვს გადმოწერილი იქიდან მთელი წინადადება... მაგრამ ამ აზრს თავისად ასაღებს. წყაროს მოუხსენებლად".

ილია აბულაძის ხსოვნის ღრმა პატივისცემის მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ მეცნიერებს დაბეჭდვამდე არ წაუკითხავთ რეცენზიის ტექსტი. მაშ როგორ, ნუთუ ვერცერთმა ვერ დაინახა, რომ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" 1958 წ. № 8, გვ. 11, მესამე აბზაცში ჩვენ გვიწერია: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები A (კოლექცია), გვ. 248. ეს ტექსტი დაბეჭდილია პროფ. ალ. ცაგარლის წიგნში „Сведения о памятниках Грузинской письменности", 1884 г. т. стр. 47—52».

მეტი რა დამეწერა, ეს წყარო არ არის? ამდენი სამეცნიერო მონოგრაფიისა და შრომის ავტორებს ასეთი „პატარა" ლაფსუსი არ ეპატიებათ.

3. „ცნობილია, რომ ჯვრის მონასტერი XVII საუკუნეში თავიდან მოიხატა, ასე რომ ყველა იქაური პორტრეტი ან სულ ახლად, XVII საუკუნეში არის შექმნილი, ან დახატულია ხელმეორედ, ამგვარად, ეს გამოხატულება, რომელიც რუსთაველად მიაჩნიათ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს უფრო სანდო დოკუმენტად, ვიდრე რუსთაველის სხვა ცნობილი გვიანდელი გამოსახულებანი". (იქვე გვ. 8). ამას უკვე არ მოველოდი, ბ. კანდელაკს რომ არ დაინდობდნენ, ვიცოდი, მაგრამ რუსთაველს თუ გასწორავდნენ — არა. იმჟამად რეცენზენტებისათვის პასუხის დაბეჭდვის საშუალება არ მომცეს. არცერთ რედაქციას არ გამაკარეს. მართლა ასეა? ნუთუ, ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკა მე-17 საუკუნისაა?

1960 წლის დეკემბერში, როდესაც მეცნიერთა ჯგუფმა აკადემიკოსების გიორგი წერეთლის, აკაკი შანიძისა და პოეტ ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით იერუსალიმის — ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის ადგილი (მითითებული იყო ჩემს მიერ იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკებს შუა — ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" 1958 წ. № 8), გაწმინდეს, გადაიღეს შოთა რუსთაველის იგივე პორტრეტი და ჩამოიტანეს, მათ ეს ამბავი თავიანთ აღმოჩენად მიითვალეს და განაცხადეს: „ამ საკითხის (იგულისხმება შოთა რუსთაველის პორტრეტის საკითხის გარკვევა — ბ. კ.) გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გამოსახულ შოთა რუსთაველის პორტრეტს, რომელიც ამჟამად პირველად ქვეყნდება". (იხილეთ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" 1960 წლის № 12. გვ. 7). როდესაც ამას წერდნენ, ნუთუ არ ახსოვდათ, რომ იგივე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შოთა რუსთაველის პორტრეტი სამი წლით ადრე მე გამოვაქვეყნე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" (1958 წ. № 8). ამასთან დარწმუნებული ვარ, ჟურნალის ამ ნომერს თითოეული მათგანი იცნობდა.

მეცნიერთა ჯგუფს — გიორგი ჩუბინაშვილს, შალვა ამირანაშვილს, ალექსანდრე ბარამიძეს, ვახტანგ ბერიძეს და ილია აბულაძეს, ირაკლი აბაშიძის, გიორგი წერეთლის და აკაკი შანიძის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან ჩამოტანილი შოთა რუსთაველის იგივე პორტრეტი არ დაუწუნებიათ და არ უთქვამთ, შოთას ეს პორტრეტი მე-17 საუკუნისაა და მას არავითარი ღირებულება არ აქვსო, პირიქით, მაშინ შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტი მეცნიერთაგან შეფასდა, როგორც „ახალი დიდი მონაპოვარი რუსთველოლოგიაში".

1966 წელს გამომცემლობა „მეცნიერების" მიერ გამოცემულ შოთა რუსთაველის საიუბილეო კრებულში პროფესორმა ალ. ბარამიძემ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „შოთა რუსთაველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში", რომელშიც უარყო თავისი შეხედულება იერუსალიმური შოთა რუსთაველის ფრესკის დათარიღების შესახებ და წერილის ბოლოს აღნიშნა: „თქმული რომ შევაჯამოთ, შემდეგ უმთავრეს დასკვნებს მივიღებთ 1. შოთა რუსთაველის სახე საბუთიანად უკავშირდება იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

... 7. შოთა რუსთაველ-მეჭურჭლეთუხუცესს მე-12-13 საუკუნის მიჯნაზე განუახლებია და მოუხატვინებია ჯვარის მონასტრის დაზიანებული ნაწილები, რის სანუფქოდაც მონასტრის ძმობას განუწესებია მისი ხსენების დღე და სვეტზე შესაფერისი პორტრეტი გამოუხატავს". (დასახელებული კრებული, გვ. 7-26).

სამეცნიერო ექსპედიციის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილმა შოთა რუსთაველის პორტრეტის გამოქვეყნებამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩემი აზრი, იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის პორტრეტი ჯვრის მონასტერში მოიხატა მის სიცოცხლეში იმ უხვი შეწირულების სამაგიეროდ, რომლითაც აღადგინეს ჯვრის მონასტრის სამხრეთი კედელი, გუმბათი და სხვ. შოთა რუსთაველი წმინდანი არ ყოფილა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ჯვრის მონასტერში ფრესკა მოეხატათ. ფრესკა მისივე დროინდელია და იგი მე-12-13 საუკუნით თარიღდება. ამგვარად, მეცნიერთა ჯგუფმა, ვერც ეს მესამე ბრალდება დაასაბუთა...

1978 წ. მეცნიერმა მკვლევარმა თინათინ ვირსალაძემ წიგნში „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა და შოთა რუსთაველის პორტრეტი" („მეცნიერება", რუსულ ენაზე გვ. 7) აღნიშნა:

„ნიკო ჩუბინაშვილის ნახატების ამ პუბლიკაციამ (ლაპარაკია ჩემი წერილის შესახებ: „აღმოჩენილია შოთა რუსთაველის, პეტრე იბერის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები. 1. შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან". — ბ. კ.) დადებითი როლი შეასრულა, ინტერესი გაუღვიძა და ხელი შეუწყო ჯვრის მონასტრის ისტორიული საუნჯის შესწავლას, რამაც ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა იმ წლებში უშუალოდ შეესწავლათ ჯვრის მონასტრის აღაპების ტექსტები და მიკროფილმები".

ასეთია სინამდვილე შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის გამოქვეყნებისა.

ბორის კანდელაკი

# გულით ნათქვამი

ამას წინათ გამოვიდა დანიელ ხახიაშვილის ლექსების კრებული „ვერ შეველევი". კრებულს რომელიც „მერანმა" გამოსცა, წინ უძღვის რევაზ ჯაფარიძის პატარა შესავალი წერილი, რითაც იგი გზას ულოცავს წიგნს.

რევაზ ჯაფარიძე წერს:

„... ჯერ კიდევ მსოფლიო ისტორიის გარიჟრაჟზე დევნილი ხალხის შვილს, რომელთაც დევნა და ვარამი არც შემდგომ საუკუნეებში მოჰკლებია, თავისი ლექსების ნაღვლიან ინტონაციაში გასდევს ტრაგიკული სევდა და წუხილი თანამემამულეთა ბედის გამო, მამაპაპური საცხოვრისი რომ მიატოვეს და სამშობლოდან შორს გადაიხვეწნენ".

მართლაც თვალში საცემად შეიმჩნევა — სევდა და ნაღველი დანიელ ხახიაშვილის ლექსებში, მაგრამ ეს გრძნობები დაუძლეველი არ არის, იგი იმედის ქურაშია ნაწრთობი და სწორედ იმედის ნაპერწკლებივით სცვივა სტრიქონებად ბევრი ლექსიდან. რაჭის მკვიდრი ებრაელი კაცი საქართველოს სიყვარულით ცხოვრობს.

ამ პატარა წიგნში თავმოყრილი ლექსები თემატურად საკმაოდ განსხვავებულია. პოეტი იგონებს სიყმაწვილის წლებსაც, უმღერის სამშობლოს მთებსაც, არც ებრაელთა ბედ-იღბალი აქვს დავიწყებული და არც ის დიდი ტკივილი, რაც საქართველოდან წასულ ებრაელებს თან გაჰყვათ.

ასეთი ლექსები აქ რამდენიმეა, მაგრამ მაინც მათ შორის ორი გამოირჩევა: „სიზმარში ვნახე საქართველო" და „დედა ენის მონატრება".

„ნუთუ ისრაელმა ცრემლი რომ
 შადინა,
არ კმარა თვალებს რომ გამაკრა
 ბინდი,
— შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, ჩემო
 საქართველოვ,
სიზმრად ერთი წუთით მაინც
 შემირიგდი".

ეს გულწრფელი ვედრება საკმაოდ ლამაზად გადმოსცა პოეტმა.

მეორე ლექსის „დედა ენის მონატრება" — თემა პოეტისათვის ისრაელიდან მოსული მეგობრის წერილს მიუცია. აი რას წერს მეგობარი: — „იერუსალიმში გოგონა შემეძინა, რომელსაც ქართული სახელი მარინე დავარქვი, — გოგონა ქართულად სწავლობს ლაპარაკს. ძალიან გთხოვთ ქართული დედაენა გამომიგზავნო, — ისე ჩავთვლი, მარინე თუგინდ საქართველოში აღმეზარდოს".

დანიელ ხახიაშვილი რაჭაში მცხოვრები პოეტია, გულის სიღრმემდე მიუტანია რაჭის დაცარიელებისაგან გამოწვეული ტკივილი, ასეთი ლექსებია „რაჭველი გლეხი ონის ბაზარში", „აღდგომელა", „თეთრი ხარი", „ძეგლევი", „საუბარი სოფელთან" და სხვა.

კვლავ მინდა რევაზ ჯაფარიძეს დავესესხო ამ წიგნის წინასიტყვაობიდან:

„... დანიელის ლექსებმა იქნებ ვერ გაგაოცათ ფორმის სიახლით და მრავალფეროვნებით, მაგრამ ყოველი მათგანი მაინც გამოირჩევა გულითადობითა და გრძნობის სიწრფელით..."

მეც რაღა დამრჩენია, გულწრფელად მივულოცავ „რაჭველ ებრაელს" ამ ახალ წიგნს, გულით ნათქვამ ლექსებს და ჩემეულად მიუძღვნი მისსავე სტრიქონებს:

„კურთხეულ იყოს ის
 ერთგულება,
შეკრული ათას თაიგულებად —
ის სიხარული და ეს ტკივილი,
დედის დალოცვა, დედის
 ღიმილი".

ბივი ქრისტესიაშვილი

# თეატრი

## როზაქიძის დაბრუნება თეატრში

გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებას უკვე მივაჩვიეთ ყური, მაგრამ სცენაზე მისი გმირების გაცოცხლება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე შეწყვეტილის აღდგენასთან გვაქვს.

ქიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრი პირველი ქართული პროფესიული თეატრია, რომელმაც გრიგოლ რობაქიძის სახელის აღდგენის შემდეგ, მისი პიესა დადგა და ხათავე დაუდო მწერლის დრამატურგიის ახალ სიცოცხლეს სცენაზე. ეს ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია და აღნიშვნის ღირსია ქიათურელთა სპექტაკლის ღირსება-ნაკლოვანებათაგან დამოუკიდებლად.

გრიგოლ რობაქიძის, როგორც მწერლისა და პიროვნების გზა, თავიდანვე გარკვეული იყო. მისი პოზიცია ყოველთვის ეროვნული გახლდათ; შემოქმედების სათავეებიც მხოლოდ ეროვნულია და მწერლის სახელის აკრძალვის პერიოდში მისი ნაწარმოებების ვაჟა-ფშაველასთვის „მიწერის" მიზეზიც უნდა ვეძებოთ იმ საერთო მითოსურ ძირებში, რომელთა ძიებაც ვაჟასა და რობაქიძის შემოქმედებას ანათესავებს

„ლონდა" გრიგოლ რობაქიძემ 1919 წელს დაწერა. უფრო ზუსტად თვითონ აღნიშნავს: 1917 — ხილვა, 1919 — შესრულება. პიესის ფაბულა, ამბავი, რომელზეც აგებულია „ლონდა", ბერძნულ ტრაგედიასავით გენიალურია და მარტივი; ამაღლებულად ტრაგიკულია და მიწიერი. მაგრამ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დრამატურგიულად პიესის შესრულებამ ხილვის დონეს ვერ მიაღწია. დასაწყისში ოთარ მეშაირე ხალხს უყვება ლეგენდას, რომლის მიხედვით ტყის დედოფალი სიყვარულით აჯილდოებს ლამაზ მონადირეს, ოღონდ პირობას ჩამოართმევს, რომ უბრალო მოკვდავ ქალთან არ შეცდება. მაგრამ მონადირე არათუ ვინმე უბრალო მოკვდავთან, საკუთარ რძალთან „შეცდება", რისთვისაც დედოფალი მას თავის მოკვლამდე მიიყვანს.

ასე იძიებს თქმულებაში შურს ქალი — ტყის დედოფალი. პიესის გაგრძელებასა და ცხოვრებაში კი ქურუმი გვალვისგან გამწარებული ხალხისგან, ღმერთის სახელით ითხოვს მსხვერპლს — ულამაზესსა და ყველასგან გამორჩეულ ქალს, ლონდას, რომელიც მთავრის შვილს, თამაზს უყვარს. ქურუმს დიდი ძალაუფლება აქვს, მას ოთარ მეშაირის „ფილოსოფია" არ აინტერესებს. მთავარს კი ქურუმისგან თავისი შვილის სატრფოს დაცვაც კი არ შეუძლია. ფინალში თამაზი ითხოვს, რომ მას მისცენ ლონდას სასჯელის — უფსკრულში გადაჩეხვის აღსრულების უფლება და ყველასთვის მოულოდნელად თვითონაც მასთან ერთად ჩაიჩეხავს თავს. თქმულებაში ზებუნებრივი ძალის მქონე ტყის დედოფალი სჯის ულირსებს, ცხოვრებაში კი განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე ქურუმისა და უუფლებო ხალხი მსხვერპლი ხდება ლონდა, რომელიც საყოველთაო სიყვარულს იმსახურებს. მისი ზებუნებრივი ძალა — სილამაზე. უძლურია ბნელი ძალების წინაშე.

თავის დროზე „ლონდას" უწოდეს „რევოლუცია ქართულ მწლე დრამატურგიაში"... რა თქმა უნდა, ამის მთქმელი აზრობრივ სიმძლავეს გულისხმობდა. რაც შეეხება თვით „ლონდას" დრამატურგიულ ნაკლს (რომელსაც, რა თქმა უნდა, თეატრის კანონებიდან გამომდინარე შეიძლება დაერქვას ნაკლი), დრამატურგიული სიმწვავეა. თუ პროზაულ ან ეპიკურ ნაწარმოებში შეიძლება რომელიმე თემა ან ხაზი მოკლედ აიხსნოს, ან მთავარი თემის პარალელურად წამოიჭრას, აღარ განვითარდეს და მხოლოდ კოლორიტი შესძინოს ნაწარმოებს, თეატრში ეს შეუძლებელია. სცენაზე ყველაფრისთვის საჭიროა ლოგიკური განვითარება და სათანადო ხორცშესხმა.

„ლონდა" თვით რობაქიძისავე საუკეთესო პიესასთან, „ლამარასთან" შედარებითაც კი არ არის სრულყოფილად დამუშავებული. თუ აქ საკმარისი მასალაა რეჟისორის ფანტაზიის გაღვივებისა და გამჟღავნებისთვის, მსახიობებისთვის ასეთივე მასალას ვერ იძლევა, ვინაიდან სინამდვილეში დრამატული პოემა უფროა, ვიდრე თანამედროვე საზომით შექმნილი პიესა და გმირთა სახეებისა და აქედან გამომდინარე, მსახიობთა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას არ იძლევა. პროფესორი ვასილ კიკნაძე, წერილში „გრიგოლ რობაქიძის თეატრალური სამყარო" („საბჭოთა ხელოვნება" № 2, 1988 წ.) აანალიზებს გ. რობაქიძის დრამატურგიას და წერს: „გ. რობაქიძის პიესები სავსეა სიმბოლოებით — ზოგჯერ შებუნდოვანი, შეუცნობელი მინიშნებებით, პათეტიკური შეძახილებით, მოწყვეტილი, ლაკონური მრავალნიშნა ფრაზებით. არის სქემატური სახეებიც, სადაც უპირატესი როლი ენიჭება ფილოსოფიურ სენტენციას. დინამიზმს ქმნის არა სახიათის განვითარება, არამედ რიტმი, მელოდია სიტყვისა და დიალოგის აგების შინაგანი სტრუქტურა". აქვე უნდა ითქვას, რომ „ლონდა" თავის დროზე საკმაოდ სხვადასხვაგვარად შეაფასეს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ აშინებდა ქიათურის დიდი ტრადიციების მქონე თეატრსა და მის ახალგაზრდა მთავარ რეჟისორს გოგი გაბილაიას, როდესაც ისინი „ლონდას" შეეჭიდნენ. სხვა შემთხვევაში ამ პიესას ხელს არ მოკიდებდნენ. მაგრამ რობაქიძის ეს ნაწარმოები მათ ტრადიციული მანერით, ხერხებითა და საშუალებებით განახორციელეს და სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი არ შეეცადა ნაწარმოების ახალი, დღემდე დაფარული პლასტების წინ წამოწევას. ეს, რა თქმა უნდა, იმანაც განაპირობა, რომ რობაქიძის პიესების დადგმის ტრადიცია დიდი ხნის გაწყვეტილი იყო და რეჟისორმა ყოველგვარი თეატრალური „ბიძგისა" და სტიმულატორის გარეშე მოკიდა ხელი ნაწარმოების დადგმას. მისი ერთადერთი მამოძრავებელი გახლდათ ლონდას, როგორც მსხვერპლის პრობლემა, რაზეც შეეცადა რეჟისორი სპექტაკლის აგებას. მაგრამ ამ გზაზეც წააწყდა სირთულეებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებებს უკავშირდება და სცენაზე კიდევ უფრო მეტად შესამჩნევია, ვიდრე ნაწარმოების კითხვის დროს. „ლონდა", ლეგენდის მსგავსად, შეკუმშული ნაწარმოებია, რომელსაც ტექსტის სიმცირის გარდა, გმირთა საქციელის შესატყვისი მოტივირებაც აკლია. რაც მას ლიტერატურულად დააკლდა, იმის შევსება მხოლოდ ორიგინალური ფორმის გამოძებნისა და რეჟისორის კონცეფციის მკვეთრად წარმოჩენით შეიძლებოდა. „ლონდაში" იკვეთება ძალაუფლებისგან მოტანილი ბოროტების, სიყვარულის, ლეგენდისა და სინამდვილის დაპირისპირების თუ სხვა თემები და საკითხები, რომელთაგან ყოველი ცალკეული სათანადო დამუშავებას ითხოვს. მცირე ზომის „ლონდა" კი ყოველივე ამას სიმბოლური სახეებითა და პოეტურ-ფილოსოფიური ხერხებით ასახავს.

რა თქმა უნდა, ამას ვერც გ. გაბილაიას სპექტაკლი გაექცა... ქიათურელთა წარმოდგენას მაყურებლამდე მიაქვს რობაქიძის მგზნებარე სიტყვა, რომელსაც მსახიობები დიდი ტემპერამენტით, თავდაუზოგავად გადმოსცემენ და ამას სიამოვნებით აკეთებენ. მხატვარ გოგი გეგეჭკორის მიერ ძუნწი შტრიხებით შექმნილი წარმართული სამყარო, კომპოზიტორ ედიშერ გარაყანიძის მიერ ნაწარმოების შესაფერისად შექმნილი მუსიკა მთლიანობაში ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ რეჟისორიცა და მსახიობებიც გრძნობენ, რომ ერთბაშად, ერთი პიესითა და ერთი სპექტაკლით ყველა ზემოთ ნახსენები თემის წარმოჩენას ვერ შეძლებენ და ამიტომ ყურადღებას საერთო ეფექტის შექმნაზე ამახვილებენ. ამას თეატრი კარგად ახერხებს და სპექტაკლი შთამბეჭდავია, მაგრამ რაც ნაწარმოებში დრამატურგიულად მიუღწეველია, იმის მიღწევა, ბუნებრივია, სპექტაკლშიც არ ხერხდება.

„ლონდა" და მისი შემსრულებელი მსახიობი ეკა მანჯავიძე, მაგ-ხასა და სპექტაკლში სიმბოლურ სახეებს წარმოადგენენ, რომელთაც ავტორის ჩანაფიქრის სრულად გამოხატვის ფიზიკური საშუალება არა აქვთ. ოთარ მოშაირის სახე კი ერთგვარი შემაკავშირებლის ფუნქციას ასრულებს. იგი სხვა სახეებზე ნაკლებად ითხოვს განვითარებას და შედარებით მომგებიანია. მოშაირის როლი ახალგაზრდა მსახიობის ზებიკ ბარათაშვილის პირველი ნამუშევარია.

ის, რაც ამ წერილში ითქვა, მიზნად ისახავს როგორც გ. რობაქიძის პიესების მომავალში უკეთ განხორციელებას, ასევე მწერლის ნაწარმოებებში უფრო ღრმად ჩაწვდომისა და მათთვის ორიგინალური თეატრალური ფორმის გამოძებნის სურვილის გაღვიძებას. საერთოდ კი გრიგოლ რობაქიძისა და ქართული თეატრის ურთიერთობის აღდგენა, ახალგაზრდა რეჟისორის მიერ მწერლის შემოქმედებით დაინტერესება მისასალმებელია და სასიხარულოა, „ლონდას" ლიტერატურული ღირსებები, მისი ფილოსოფიური სიღრმე, რობაქიძის გმირებისა და მათი სალაპარაკო ენის გამორჩეულობა ასეთივე ულფერს ანიჭებს ქიათურელთა სპექტაკლსაც. იქმნება საერთო სურათი, რომლის ფონზეც მაყურებელი ნაკლებად გრძნობს აღნიშნულ ნაკლს.

რაც მთავარია, გრიგოლ რობაქიძესთან ქართული თეატრის ურთიერთობა აღდგენილია, ხვალ როგორც ქიათურის, ასევე საქართველოს სხვა თეატრებიც ახლებურად ზეხედავენ, როგორც „ლონდას", ასევე გრიგოლ რობაქიძის მთელ შემოქმედებას. დღევანდელმა ქართულმა რეჟისურამ ახლებურად წაიკითხა და ჩვენც თითქოს თავიდან დაგვანახა დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, გრიგოლ რობაქიძე ამის არანაკლებ საშუალებას იძლევა. ვფიქრობ, გადამწყვეტი სიტყვა რეჟისორებს ეკუთვნით.

ზურაბ ბაქრაძე

## გზა დავულოცოთ




ანდრო გამრეკლიძეს იშვიათი პატივი ხვდა წილად: სულ რაღაც ჩვიდმეტიოდე წლის ყმაწვილმა ლექსების პირველი კრებული გამოსცა. მსგავსი რამ საქართველოში, ამ ჭეშმარიტად მაღალი პოეტური ტრადიციების ქვეყანაში, მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედთა პრეროგატივას წარმოადგენს. მწერლობაში გაცნობიერებულ მკითხველს, ალბათ, გაახსენდება რამდენიმე სახელი, რომელთაც ცხადად გამოაჩინეს ადამიანის სულიერი ენერგიის ფართო შესაძლებლობანი. ამ ენერგიის გამოვლენა სულაც არაა დამოკიდებული „ასაკის ფაქტორზე": ტალანტი თამამად ამსხვრევს ჩვენს წარმოდგენებს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ცენზზე და გვაიძულებს მივიღოთ იგი, როგორც მოულოდნელი, მაგრამ სავსებით ანგარიშგასაწევი რეალობა. ხშირად ასეთი რეალური მოვლენაა

ანდრო გამრეკლიძის ნიჭიერება, გრძნობად-კონკრეტული განცდის ლირიკული გარდასახვის მიხეული უნარი.

პოეზიაში, როგორც წესი, სუბიექტური საწყისის პრიმატი ბატონობს. ეს არცაა გასაკვირი. ლირიკა ხომ ადამიანის სულიერი ცხოვრების პოეტური ტრანსფორმაციის შედეგად იბადება. ლირიკული პერსონაჟი კი, ვითარცა ავტორის ყველაზე ინტიმური „მესაიდუმლე", მთელი სიღრმე-სიგანით წარმოაჩენს ხოლმე სულის ყველაზე დაფარულ რეფლექსიებს, იმას, რისი გამოხატვაც შეუძლებელია გარეგნული უესტებითა თუ მოძრაობებით. „თუ სიყვარული სხვისი ხვედრია, მე განმარიდე სიძულვილს, ღმერთო!"

ამგვარად აირეკლა ა. გამრეკლიძის ერთ ლექსში სულიერი ცხოვრების მარადიული ანტინომია. აქ ერთმანეთს უპირისპირდება სიყვარული და სიძულვილი, გამარჯვება და დამარცხება, თავისუფლება და მონური ცხოვრება. ახალგაზრდა ავტორის ლირიკული პერსონაჟი მძაფრად შეიგრძნობს ადამიანური ყოფის წინააღმდეგობრივ ბუნებას და ამიტომ მხოლოდ უფლისადმი მიმართულ ვედრებაში ამჟღავნებს აღნიშნულ დაპირისპირებათა დრამატულ შინაარსს: „თავისუფლება სხვას თუ რგებია, მე მონობაში არ მომკლა, ღმერთო!"

„ღმერთთან დაბრუნების", ღვთაუსისაკენ სულის მიდრეკის მოტივი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ა. გამრეკლიძის მიერ დახატულ ლირიკულ სიტუაციებში. მათში მთელი თავისი კოლორიტულობით წარმოჩნდება ადამიანის სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტი პარამეტრები: „დახვეტავს ქარი ნარჩენებს დღიურს და გაიხსნება ცა უსასრულო... შენ უნდა ძახილს უსმინო ღვთიურს, შენ უნდა უფალს შეერთო, სულო!"

ან კიდევ: „სინანულით ვუცქერ შორს ნისლიან ფერდობს, ნიჭი გაძლებისა შენ მომმადლე, ღმერთო!"

ახალგაზრდა პოეტის ინტერესთა სფერო მრავალ თემასა და მოტივს მოიცავს. მათი მხატვრული გარდასახვის პროცესი კი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მიმდინარეობს. ავტორი მეტწილად პოეტური აზროვნების ტრადიციულ, მყარ და ნაცად ხერხებს მიმართავს. რიტმულ-ინტონაციური ეფექტის მაქსიმალური ამეტყველებისაკენ მიდრეკილება ა. გამრეკლიძის ლექსების ხაზგასმულ თავისებურებას წარმოადგენს. მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც არ ჩქმალავს სათქმელის სიცხადეს. მუსიკა და ფერწერა აქ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და სახოლოოდ მეტად შთამბეჭდავ მთლიანობად ყალიბდება; ასე, მაგალითად: „წვიმს და ნაპირს აწყდება ამღვრეული წყალი, ქარი ისევ არ ცხრება, ქარი ისევ ქრის. როგორც უფლის წყალობა მენატრება წყნარი ქვეყნად შემობრძანება გაზაფხულის დღის".

ა. გამრეკლიძის არაერთი ლექსი კონკრეტულ-რეალური ვითარების ლირიკული გარდასახვის წარმატებულ ცდას წარმოადგენს. ყოფით სინამდვილეში იგი ასერხებს იმ არსებითი ნიუანსისა თუ დეტალის მიგნებას, რაც გარკვეული განწყობილების შემქმნელ ლაიტმოტივად იქცევა. საკმარისია წავიკითხოთ „ამო თბილელის მონოლოგი", რომ უმალ თვალწინ დაგვიდგება სიკვდილის გზაზე შემდგარი წმინდანის სულიერი ღელვის მთელი სიმძაფრე. მაგრამ ლექსში საგანგებოდ აქცენტირებულია ამ მღელვარების გამომწვევი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დეტალი, კერძოდ, თვით სიკვდილზე აღმატებული განცდა წმინდანისა, რომელიც ღვთაებასთან წილნაყარობის უზენაეს სიხარულს ეზიარა: „შორით გიხილე, დიდება შენდა! ნუთუ ოდითგან აქვე სახლობდი... „მომიახლოვდი", — მიბრძანე შენ და მეც სიხარულით მოგიახლოვდი".

მომდევნო სტრიქონები კი მხატვრული სიმართლით ადასტურებს ამ სიხარულით დამუხტული სულის ამაღლებას, სიკვდილზე საბოლოო გამარჯვების მაუწყებელი რწმენის გამოჩენას: „მოგიახლოვდი... და უფრო მეტად მეადვილება ახლა სიკვდილი".

ა. გამრეკლიძის კრებულში ლექსებთან ერთად დაბეჭდილია პოემაც. მასში ასახულია 80-იანი წლების სახტიკი მოვლენები. ავტორი აქაც თხრობის ტრადიციულ მანერას იყენებს. საერთოდ, ტრადიციის ერთგულება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ა. გამრეკლიძის ლექსების პრინციპულ თავისებურებად იკვეთება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პოეტი შორსაა ყოველგვარი ეპიგონობისაგან. მხატვრული მეტყველების მისეული სტილი სადაა და თანაგრძნობის აღმძვრელი. მეტწილად მედიტაციას მიმართავს და აქაც არ ღალატობს ზომიერების გრძნობა. მწამს, რომ მკითხველს უთუოდ გაიტაცებს ა. გამრეკლიძის ლექსების კითხვა. მათში ახალგაზრდა კაცის მღელვარე მაჯისცემა ისმის.

„გზა დამილოცეთ", — ასე ჰქვია ამ პატარა წიგნს. მოდით, ჩვენც სულითა და გულით დავულოცოთ გზა მის ავტორს.

გივი ლომიძე

## წერილი რედაქციას

ჩვენი წერილით გვინდა მივმართოთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ერის სულიერი საგანძური და ვინც დაუზარლად შრომობს ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციისა და შესწავლისათვის. რაიმე განსაკუთრებული თვისებებით სხვა ქართველი ახალგაზრდებისაგან არ გამოვირჩევით, თუმცა მონდომებამ შეგვაძლებინა შეგვესწავლა „მუმლი მუხასა", „მავლევო", „წინწყარო", „გაფრინდი შავო მერცხალო", „შენ ხარ ვენახი".

გვინდა აღვნიშნოთ, გარკვეული უხერხულობები, რომელთა წინაშეც აღმოვჩნდით: აუცილებელია ნოტების ცოდნა; გრამფირფიტები, რომლებიც იბეჭდება, სიმღერის შესასწავლად თითქმის არ გამოდგება; ტელევიზიით გადაცემული გაკვეთილები მოითხოვს დროისა და ჩაწერის აუცილებლობას.

საქმე ბევრად გაგვიადვილდებოდა, რომ გამოსულიყო ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი ფირფიტები, რომელთაც ექნებოდა წარწერა „სასწავლო", და რომელზედაც თანმიმდევრობით ჩაიწერებოდა რომელიმე სიმღერის პირველი, მეორე და მესამე ხმები, ხოლო შემდეგ სიმღერა სრულად.

ეს მოგვიხსნიდა დროის, ნოტების ჩაწერის აუცილებლობას და ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი დაინტერესებული ქართველისათვის.

კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები:

რამაზ ხელაშვილი, ანზორ ბაჩანაძე, ილია ზვერავა, მერაბ აბდალაძე, ხათუნა ტაბატაძე, ირინა კოხულაშვილი, ანა ფურცელაძე, მაია ხაბადაშვილი.

# ფინათგრძნობა? არა, რაღაც მეტი...



9 აპრილი...

უმზეო მზე დამხობია რუსთაველის პროსპექტს.
ის ორლესული ნიჩბები, ჩატყვიებული ხელკეტები და შხამიანი ქიმიური იარაღი მარტო ჩვენმა მოზომშილე გოგონებმა როდი იწვნიეს, ყველას თანაბრად გვერგო — მომიტინგეებსა თუ შინმყოფთ.
ის დიდგორსაც მოხვდა და ბასიანსაც.
კრწანისსაც და გეორგიევსკსაც!
არც მთაწმინდა დაინდო და ალარც სვეტიცხოველი!
ახლა კიდევ აქეთ გვიკიჟინებენ და გვამუნათებენ — „ფილმი კი ვნახეთ, მაგრამ ფაქტები ვერა!“..
მაი, ლედახა! — სიმართლის დროშა ხომ ყველა დროშაზე მაღლა უნდა ლელავდეს?!..
მაგრამ... ახლა იმ კაცის განცდილ-ნანახი უნდა გადმოგცეთ, აგერ, წინ რომ მიზის და ერთ წერტილს მიჩჩერებია:
„...იმ დილით კარგახანს დავბორიალებდი - რუსთაველზე. გაოგნებული და დაზაფრული მივბრუნდი შინ. პირდაპირ სახელოსნოში შევედი და უღონოდ ჩავესვენე სავარძელში. ფიქრის თავიც არა მქონდა... ერთმანეთში მერეოდა იმდილანდელი სურათები.
არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიჯექი ასე გაოგნებული. მგონი ძალლის ყეფამ გამომარკვია. მიმოვიხედე და... ერთ კომპოზიციაზე მიმეყინა მზერა, მეფისტოფელივით რომ ხარხარებდა და ყველაფერს ყინავდა ირგვლივ. ეს ხომ ის „ჯალათი“ იყო, პლასტელინში რომ გამოვძერწე ამ თხიოდე წლის წინათ!
უცებ ეს კომპოზიცია იმ ტრაგიკული ღამის ცოცხალ ილუსტრაციად წარმომიდგა.
ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის, ერთობ უცხოა ამგვარი კოშმარული თემა. დღესაც არ ვიცი, რამ გამომაძერწინა ეს საშინელება!...“

ალბათ, წინათგრძნობამ, წუთითაც რომ არ უხვენებს ხელოვანს, ხალვადორ დალის „სამოქალაქო ომის წინათგრძნობაც“ ხომ ასე გაჩნდა. განა, ამ ალღომ არ ათქმევინა ტიციანს „ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენო!“ ანდა, ეხენინს: „ჩემი საფლავიც აბალახდება, დატირებული ქარით და წვიმითო“...

განა, ამ წინათგრძნობით არ შეიქმნა გოგი ოჩიაურის ქანდაკებაც, აგერ, ახლახან რომ დაიდგა უნივერსიტეტის მახლობლად?

ამგვარმა წინათგრძნობამ თუ შემოიყვანა მოქანდაკე გოგა შხვაცაბაიას სახელოსნოშიც „ჯალათი“.

**ლაშა ბახარია.**

სურათზე: გ. შხვაცაბაიას კომპოზიცია „ჯალათი“.





თუშური ჩანახატები



სიმონ ცილაძის ფოტოები

## მკითხველთა და ავტორთა საყურადღებოდ

იმის გამო, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის წინამდებარე მოედანს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ლადო გუდიაშვილის სახელი, შესაბამისად, შეიცვალა ჩვენი მისამართიც — დღეიდან რედაქციის მისამართია 380005, თბილისი, „გუდიაშვილის მოედანი“ №2.

გთხოვთ გაითვალისწინოთ!

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.

მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

## „საბჭოთა ხელოვნება“ № 5

ჟურნალი ბეჭდავს მ. ბერძენიშვილის სიტყვას „ეს შემართება არ დამცხრალიყოს“, რომელიც მან 15 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამხ. ე. შევარდნაძესა და გ. რაზუმოვსკისთან შეხვედრის დროს წარმოთქვა.

ახალგაზრდა თეატრმცოდნეების — ა. ლოლობერიძის, ქ. ტრაპაიძის, გ. ცქიტიშვილის რეპორტაჟი „თეატრალური ხელოვნების პრესტიჟი“, ცხინვალის თეატრის ქართული და ოსური დასების პრობლემებს ეხება.

ჟურნალის ანკეტაზე „რას ვფიქრობთ ქართულ კინოზე“ პასუხობენ კინოდრამატურგები რ. კვესელავა, ე. ახვლედიანი და კინორეჟისორი რ. ესაძე.

ჟურნალი გვთავაზობს ნ. გურაბანიძის წიგნის „რეჟისორი რობერტ სტურუა“ — მეშვიდე თავს.

ე. მენაბდიშვილის სტატია „პრობლემა: მაყურებელი!“ მკითხველს აცნობს მოსახლეობის თეატრისადმი ინტერესის სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგს.

ჟურნალში დასტამბულია ნაწყვეტი მაიკლ ჯექსონის ავტობიოგრაფიული წიგნიდან — „გზა როკისაკენ“; მ. ახმეტელის „აკომპანიატორი-მწერალი“ (ვ. ჩაჩავა); ვ. ჩაჩავას „კონცერტმეისტერის ჩანაწერები“; მ. კალანდარიშვილის „როსინი, მეიერბერი და დიპლიპიტო“; ნ. არველაძის „საგასტროლო მოგზაურობის დღიური“; „ალუბლის ბაღი“ ბრუკლინიდან“; საუბარი კინორეჟისორ ო. გვასალიასა და ტელეფილმების სტუდიის დირექტორ დ. შალიკაშვილთან; ბრანდაუერის „ბრძანებებს ვერაფრით ვერ ვეგუები“; რ. ჯავრიშვილის „მცირე მოგონება“ და „გაუხუნარ ფერთა შუქი“, რომელიც მხატვარ რ. სტურუას ეძღვნება; ვ. ასათიანის „ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის“; ნ. სულავას „ანტიკური ხანის სამკაულები ლეჩხუმიდან“; ე. ციციშვილის „პირველი პერსონალური“ (შ. ხოჭოლავას გამოფენა); მ. ვაჩნაძის „გოროვიცი და მისი პიანისტური ხელოვნება“; თ. მესხის „ქართული ქალაქური სასიმღერო შემოქმედება“; ნ. გუნიას „მეტი სიზუსტე გვმართებს“; გრ. რობაქიძის „მზის ხანა ქართველთა“.

ნომერში გამოქვეყნებულია ჯ. იოსელიანის ისტორიული დრამა „დედოფალი მარიამ“.

ჩანართში წარმოდგენილია 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ფოტომასალა, რეპორტაჟი ბ. ვადაჭკორიასი.

# ხელოვანის გახსენება



მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი არქიტექტორი, სსრკ არქიტექტორთა კავშირის წევრი გიორგი ცნობილაძე.

თბილისს დააკლდა კიდევ ერთი კოლორიტული პიროვნება, შესანიშნავი შემოქმედი და მოქალაქე, რომლის ცხოვრება მამულის უანგარო და უშურველი სამსახურის ნიმუშს წარმოადგენდა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ბატონ გიორგის შემოქმედებით მემკვიდრეობას. მისი პროექტებით არაერთი დიდებული შენობა აიგო როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. მაგალითისათვის თუნდაც სენაკის ახალგაზრდობის სასახლე და მოსკოვის აეროსადგურის ინტერიერი იკმარებდა.

გულღია და მოსიყვარულე ადამიანი საოცარ სიკეთეს ასხივებდა. იყო პრინციპული და პირდაპირი კაცი.

ბუნებას იუმორის დიდი გრძნობით დაეჯილდოებინა და ალბათ ესეც ამლებინებდა ჩვენს საოცრად რთულ და მოუწყობელ სამყაროში.

სვეტიცხოველი უყვარდა განსაკუთრებით. აღმერთებდა მის მშენებელს, ოცნებობდა თავისი ქვეყნის უკეთეს მომავალზე.

ღიმილი ამშვენებდა მის ვაჟკაცურ და სათნო სახეს. ღიმილით წარმოთქვა სიკვდილის წინ, „რა მოკლე ყოფილა წუთისოფელიო“ და აღესრულა კიდეც.

ასეთად დაგვამახსოვრდება იგი, ღირსეული ადამიანი, შესანიშნავი ხელოვანი, მოქალაქე, მეგობარი, ჭეშმარიტი ქართველი.

**ვასო სალლიანი**

22 ივნისს, მწერალთა კავშირის სასახლეში, კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის სექციის სხდომაზე გივი ვარდოსანიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე:
„კრიტიკა და ლიტმცოდნეობა 1988 წლის „მნათობისა“ და „განთიადის“ ფურცლებზე“.
დასაწყისი — 16 საათზე.

დღეს, 16 ივნისს, საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართება სახალხო ფრონტში გაერთიანებულ მწერალთა კავშირის წევრთა საორგანიზაციო კრება. კრებას დაესწრებიან მხოლოდ სახალხო ფრონტის წევრები.

**დღის წესრიგი:**

1. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები
2. სახალხო ფრონტის ყრილობის დელეგატთა არჩევნები
3. მიმდინარე საკითხები

დასაწყისი — 15 საათზე.

**საინიციატივო ჯგუფი**

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

ლიტერატურული საქართველო
რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2
ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ამაშუკელი, თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ გურეშიძე, ივანე თარბა, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, დავით მჭედლური, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, მამუკა წიკლაური, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00312